



ოკულტური და რელიგიური ჟურნალის

აკორიძე

საქართველოში

მეცნიერების რელიგია ჯადოსნური

№11, ოქტომბერი, 2015 e.v.



ოკულტური და რელიგიური ჟურნალის
აპოკრიფი
საქართველოში

№ 11.
ოქტომბერი, 2015 e.v.

პროექტი დაარსებულია 2003 წელს.
ქართულ ენაზე გამოდის 2013 წლის სექტემბრიდან.

მთავარი რედაქტორი: Fr. Nyarlathotep Otis (ადრიანოვი რ. ო.)
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში: Kasandra

ინტერნეტი:

ქართულ ენაზე: <http://apokrif93.com/gruziya/>, <http://vk.com/apokrif93geo>
რუსულ ენაზე: <http://apokrif93.com>, <http://vk.com/apokrif93>

ელექტრონული ფოსტა: 93in39@gmail.com

ჯურნალი გამოიცემა — <http://imago-666.livejournal.com> — ის მხარდაჭერით.

© ჟურნალი «აპოკრიფის» რედკოლექცია და ავტორები, 2015

თბილისი
თეთრი მაიმუნის ორდენი



შინაარსი

№ 11. ოქტომბერი 2015 e.v.

სტატიები:

ადამიანის ნატიფი სხეულები (ზოგადი)	6
ადამიანის ნატიფი სხეულები	10
ეგრეგორი — ადამიანის აზროფორმა	16
მედიტაციის საფუძვლები დამწყებთათვის	19
მედიტაციის ტექნიკა.....	23
სამყაროს მართვის 108 კანონი.....	25
შამანთა კოდექსი.....	32
ცხოვრების მთავარი საიდუმლო	35
პარალელური სამყაროებიპარალელური სამყაროები.....	44
როგორ ვისუნთქოთ სწორად?	48
კარმული დაავადებების მიზეზები.....	51
მინერალური ქვების წმენდა და დამუხტვა.....	56
პირამიდა მინერალური ქვისგან	61
დენდროთერაპია — ხეებით მკურნალობა	63
როგორ შევცვალოთ ჩვენი ბედი ჩვენი აზრებით	66
გზა სიმდიდრისკენ	68
მუდრები ხატწერაში	70
დამცავი სიმბოლოები	77
ზოგიერთი ეზოთერული სიმბოლო	79
წარმატების მომტანი სიმბოლოები	82
რა არის ქანქარა?.....	84
აიურვედა	86
დროის ცნება ვედებში	92
რეიკი — უნივერსალური სასიცოცხლო ენერგია	94
სულიერი განვითარების ტექნოლოგიები.....	97
ეზოთერული ფილოსოფია სიყვარულსა და ქორწინებაზე	99
სიზმრის სამყაროში	103
კარმული ასტროლოგია.....	106
სულიერი მამები რეინკარნაციაზე	114
ტვინის ტალღების სიხშირეების თეორია	119
სალონი «კასანდრა».....	121



*იუმორისა და საღი აზრისთვის!
გააკეთე რაც გსურს — გსურდეს შეუძლებელი!*

*ჟურნალისა და მისი ცალკეული მატერიალის
კოპირება და გავრცელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში,
თუ მითითებულია წყარო და ჟურნალის ელექტრონული მისამართი.*

რედაქციის აზრი შეიძლება არ დამეთხვეს ავტორისას.

*რედაქცია იტოვებს უფლებას
უარი თქვას მატერიალის გამოქვეყნებაზე მიზეზის აუხსნელად.*

გამოცემისთვის მზადება
დასაწყისი 01.08.2015 წ.

გამოცემა გამოშვებულია
01.10.2015 წ.

ინტერნეტი:

ქართულ ენაზე: <http://apokrif93.com/gruziya/>, <http://vk.com/apokrif93geo>

რუსულ ენაზე: <http://apokrif93.com>, <http://vk.com/apokrif93>

ელექტრონული ფოსტა: 93in39@gmail.com

ჯურნალი გამოიცემა — <http://imago-666.livejournal.com> — ის მხარდაჭერით.

ანგარიში სისტემაში Яндекс.Деньги: 41001416643125

ანგარიშები სისტემაში WebMoney: Z318373604178, E263825672387, R412990927571,
U141526320068, B411510488425, G198524212114

ტელეფონის ნომერი: 89632921917

რუსეთის ზბერბანკის კარტა: 67619600 0475725116

რუსეთის ზბერბანკის რეკვიზიტები: **Калининградское ОСБ № 8626/01236**

ИНН 7707083893 БИК 042748634 КПП 390602001

к/сч 30101810100000000634 р/сч

47422810920009902000

Назначение платежа: Адрианову Роману

Олеговичу,


лицевой счёт № 4230781082001344693448

მისამართი საფოსტო გზავნილებისთვის: 236022, Калининград, ул. Нарвская, д. 17, кв. 11,

Адрианову Роману Олеговичу



თქვენ მოგესალმებათ პირველი pdf-ჟურნალი
მაგიაზე, ოკულტიზმზე, ეზოტერიკაზე და თეოლოგიაზე
ქართულ ენაზე — ჟურნალი «აპოკრიფი»!
ჩვენ ვიბეჭდებით 2003 წლიდან რუსულ ენაზე,
ხოლო ახლა, გამოვიდა ჟურნალი «აპოკრიფის»
ქართულენოვანი ვერსია.
სასიამოვნო კითხვას გისურვებთ!



სტატიები




გიორგი ხუნზახიშვილი

ადამიანის ნატიფი სხეულები (ზოგადი)



თვლება, რომ ადამიანი შედგება სულისა და სხეულისგან. სული — უმაღლესი საწყისი, სხეულს გადასცემს სასიცოცხლო მუხტს, სხეული კი სულს გამოვლინების, თვითრეალიზაციისა და ზრდის საშუალებას აძლევს. ადამიანის სხეულს გარს აკრავს ელექტრო-მაგნიტური ველი, რომელიც აურის სახელით არის ცნობილი. თუმცა ეს არ არის უბრალო ენერგეტიკული გარსი. ის თავის მხრივ, იყოფა განსაკუთრებულ ენერგეტიკულ შრეებად. სხვაგვარად, ამ შრეებს სხეულებსაც უწოდებენ. ფიზიკური სხეულის ჩათვლით ადამიანს აქვს 7 (1 ფიზიკური და 6 ნატიფი) სხეული. ესენია:

- ფიზიკური სხეული;
- ეთერული სხეული;
- ასტრალური სხეული;
- მენტალური სხეული;
- კაუზალური სხეული;
- ზეციური სხეული (ბუდჰა);
- ღვთიური სხეული (ატმანური).



ფიზიკური სხეული

ადამიანში ფიზიკური სხეული ყველაზე დაბალვიბრაციულია და ძირითადად.

მატერიალური სამყაროს ელემენტებისგან შედგება.

განვიხილოთ ნატიფი სხეულები:

ეთერული სხეული

ეთერული სხეული ადამიანის ბიოველია. ხშირად მას აურად მოიხსენებენ. ის ფიზიკური სხეულის ზუსტ ასლს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, დაავადებები პირველად მასზე აისახება, სანამ ფიზიკურ სხეულში ვლინდება. ეთერული სხეული

პასუხისმგებელია ადამიანის სტრუქტურის შენარჩუნებასა და მისთვის საჭირო სასიცოცხლო ენერჯის მიწოდებაზე. ფიზიკურ სხეულზე მისი გარშემოწერილობა დაახლოებით 5 მმ-დან 5სმ-დე მერყეობს.

ასტრალური სხეული

ეს ყველაზე ნათელი და ინფორმაციული სხეულია. განაგებს ადამიანის ემოციონალურ მხარეს. ასტრალური სხეული ასევე პასუხისმგებელია ადამიანებს და სამყაროს შორის

ენერჯების გაცვლაზე. მისი საშუალებით ადამიანი ამყარებს კავშირს სოციალურ და რელიგიურ ენერგო-ინფორმაციულ სტრუქტურებთან (ეგრეგორებთან). ფორმით არ ჰგავს ფიზიკურ სხეულს, უფრო გამჭირვალეა და

მოგვაგონებს ღრუბლისებრ მასას. მისი ფერი და ზომა დამოკიდებულია ადამიანის ჯამრთელობაზე, ემოციურ

და ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ასტრალურ სხეულში ყველაზე ნათლად ჩანს ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეები, ამიტომ ადამიანი რაც უფრო პოზიტიური და ჯანმრთელია, მით დიდია მისი ასტრალური სხეული. თანამედროვე ტექნოლოგიები დღეს უკვე იმის საშუალებას იძლევა, რომ ასტრალურ სხეულს სურათიც გადავუღოთ.

მენტალური სხეული

მენტალური სხეული ადამიანის რაციონალური ნაწილია. მასში შედის ცოდნა, ლოგიკა და აზრები. ის შედგება უფრო ნატიფი ნივთიერებებისგან და სცდება ემოციონალური სხეულის ფარგლებს. უკავშირდება მენტალობასა და აზროვნებას. მენტალურ სხეულს მკვეთრად მანათობელი ყვითელი ფერის სხივები დაჰყვება. ის სათავეს იღებს თავისა და მხრების მიდამოდან, შემდეგ კი მთელ სხეულზე ვრცელდება.

კაუზალური სხეული

ეს სულის სხეულია. თუ ყოველი მომდევნო ინკარნაციისას ფიზიკური და მასთან ერთად უფრო დაბალი დონის ნატიფი სხეულები (ასტრალური, მენტალური და ა.შ.).

თავიდან იქმნებიან, კაუზალური სხეული სულს თან დაჰყვება და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ეს არის ადამიანის ალტერ ეგო, სულიერი ძიება და განვითარება. ადამიანის ბიოველში ის ჩანს თავის არეში გამჭვირვალე, ოქროსფერი არწივის ფორმის ენერჯის სახით. ადამიანი რაც უფრო სულიერად განვითარებულია, კაუზალური სხეული აურაში მით უფრო გამოკვეთილია.

ზეციური (ბუდჰა) სხეული

სანსკრიტულად ბუდჰა ნიშნავს უმაღლეს გონს. ის აჯამებს სულის მრავალმხრივ გამოცდილებას. ზეციური სხეული მოიცავს ჩვენს ინტუიციას, რადგან მისი გავლით მოგვეწოდება ინფორმაცია, გვინათდება გონება და ვიღებთ კითხვებზე სწორ პასუხებს. ეს სხეულის ის დონეა, რისი საშუალებით განვიცდით სულიერ ექსტაზს, გამოწვეულს მედიტაციითა თუ სხვა სულიერი პრაქტიკით. როდესაც ადამიანი ამ მდგომარეობაში შედის, აცნობიერებს კავშირს მთელ სამყაროსთან, ყველაფერში ხედავს სინათლესა და სიყვარულს. ასევე გრძნობს, რომ თავადაც ამ სინათლისგან შედგება.

ღვთიური (ატმანური) სხეული

ეს არის ღვთიური სინათლე, რომელიც ადამიანშია. ამ სხეულში ინახება ინფორმაცია ადამიანის დანიშნულების შესახებ — იმ გამოცდილებაზე, რაც ცხოვრებაში უნდა შეიძინოს. ატმანური სხეულის განვითარება პირდაპირ არის დაკავშირებული ადამიანის სულიერ ზრდაზე.

ალექსანდრ ილინსკი

ადამიანის ნატიფი სხეულები

თარგმანი: მამუკა გურული



1. ფიზიკური სხეული

ადამიანის სხეულების განხილვას დავიწყებთ ფიზიკური სხეულით: ამ სხეულთან მუშაობაში ვგულისხმობთ ისეთი პროცესების მართვას, როგორცაა სუნთქვა, სიარულისა და დგომის მანერა, კვება, დასვენების ფორმები; ფიზკულტურა, როგორც დინამიკური, ასევე სტატიკური, ძილი და ა.შ.

ჩვეულებრივ ადამიანის სხეული ისეთ მდგომარეობას იკავებს სივრცეში, როგორც მის ჩვეულ ცხოვრების მანერას შეესაბამება. იგივე შეიძლება ითქვას სუნთქვაზეც, და მის სხვა გამოვლინებებზეც.

ესაა ზოგიერთი უბრალო მაგალითი, თუ როგორ შეგვიძლია ვიმოქმედოთ ხასიათის თვისებებზე ფიზიკური სხეულის მეშვეობით:

- ცივი წყლის გადავლება თასით აძლიერებს ნების ძალას — მანიპურა.
- ცივი წყლის გადავლება წვრილი ნაკადის სახით აძლიერებს მოთმინებას — აჯნა + მულადჰარა.
- ყოველდღიური ზომიერი სიარული აძლიერებს სიმყარეს — მულადჰარა.
- ჩასუნთქვაზე ხანგრძლივი ამოსუნთქვა აძლიერებს გულისხმიერებას — ანაჰარა.
- ამოსუნთქვაზე ხანგრძლივი ჩასუნთქვა აძლიერებს ქმედითუნარიანობას და აქტოვობას — მანიპურა + სვადჰისტჰანა.
- ცხარე სანელებლების გამოყენება აძლიერებს აქტოვობას — მანიპურა + სვადჰისტჰანა.

- ალკოჰოლი გამორთავს მარცხენა ნახევარსფეროს და ააქტიურებს მარჯვენას (ხსნის აკრძალვებს, მორალურ შეზღუდვებს, მცირდება შეგრძნება «ვალდებული ვარ») შესაბამისად გამორთავს ცენზორს და ჩართავს შინაგან ბავშვს.
- ფართე და მჭიდროდ მორგებული ქამარი ხელს უწყობს ძალების მოკრებას და თავდაჯერებულობას — მანიპურა.
- ფართხუნა შარვალი და გრძელი სამკლავები ზრდიან შემოქმედებით პოტენციალს — ვიშუდჰა.

2. ეთერული სხეული



ეთერული სხეული — ესაა სხეული, რომელიც შედგება ენერგო-ხაზებისა და წერტილებისაგან, ეს ხაზები ერთმანეთს გადაკვეთენ და ქმნიან სხვადასხვა სიმკვრივის და თვისების ენერგეტიკულ ცენტრებს — ჩაკრებს.

ეთერული სხეული ერთგვარ სასიცოცხლო რეზერვუარს წარმოადგენს, რომელშიც ჩვენი «სუფთა» სასიცოცხლო ენერგიაა. იმისდა მიხედვით, თუ სად და რამდენადაა იგი განვითარებული, ადამიანს სხვადასხვა პოტენციალი გააჩნია დანარჩენ სხეულებში.

წარმოადგენს რა ენერგეტიკული ნაკადების გროვას, ეთერული სხეული სასიცოცხლო ენერგიით უზრუნველყოფს ფიზიკურ სხეულს და «აცოცხლებს» მას. იგი ასევე წარმოადგენს ენერგეტიკულ წყაროს ყველა სხეულისთვის, მათ შორის ასტრალურისთვის და მენტალურისთვის. ბუნებრივია, რომ ეთერული სხეული ეხმარება ადამიანს რეალიზაცია გაუკეთოს ასტრალურ და მენტალურ სხეულში მხოლოდ მხოლოდ ის მდგომარეობები და პროცესები, რომლებიც უკვე ამ ინდივიდის გამოცდილებაშია.



ეთერულ სხეულს ყველა კონკრეტულ ადამიანში თავისი სიმკვრივე და მოცულობა აქვს, რაც რაიმე საერთო კონფიგურაციაში გამოიხატება. ჰარმონიულ ეთერულ სხეულს სფეროსთან მიახლოებული ფორმა აქვს, ამასთან ყველა ნაწილში თანაბარი სიმკვრივისაა და გააჩნია გაცნობიერებული მართვის შესაძლებლობა ისე, რომ ამასთან ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები არ დაირღვეს.

ასევე არსებობს ეთერული სხეულის რამდენიმე ძირითადი ჰიპერტროფირებული ტიპი: სოკოსმაგვარი — ინტელექტი კი არ მართავს ადამიანის ცხოვრებას, არამედ აკონტროლებს, ანუ თეორიული ცოდნა ძალიან აჭარბებს უნარებს; მსხლისმაგვარი სხეული — დამახასიათებელია ჭარბწონიანი ადამიანებისთვის დაგროვების და შენარჩუნების აქცენტით.

ეთერული სხეულის ენერგიით გამოკვება ხორციელდება ან უშუალოდ პროდუქტების, წყლის, ქვების, მცენარეების, ცხოველების, ადამიანების და ა.შ. ეთერული სხეულებიდან, ან პირდაპირ სტიქიებიდან: მიწიდან, წყლიდან (დასვენება და გასეირნება მდინარის ან ზღვის ნაპირას), ცეცხლიდან (ცეცხლზე, ბუხარზე მედიტაცია), ჰაერიდან (ტყეში, მთაში გასეირნება), ეთერიდან (რომელიც შედგება სიცოცხლის და სიკვდილის სტიქიებისგან) და მათი წარმოებულებისგან.

ეთერული სხეულის მდგომარეობას მთლიანობაში ადამიანი აღიქვამს როგორც საკუთარი სიცოცხლისუნარიანობის, ენერგიულობის, სიფხიზლის, ტონუსის, იმუნიტეტის დონეს. გარდა იმისა, რომ ეთერული სხეული მოქმედებს დანარჩენ სამ სხეულზე, თავის მხრივ ისინიც მოქმედებენ ეთერულზე. მაგალითად, ასტრალური სხეულის ზემოქმედება ეთერულზე უკვე დიდი ხანია შემჩნეულია — ესაა გუნება-განწყობილების ზეგავლენა სასიცოცხლო ტონუსზე. ფიზიკური სხეულის ზემოქმედება ეთერულზე კიდევ უფრო შესამჩნევია — ესაა ფიზიკური ვარჯიშების და ჯანმრთელი საკვების ენერგია.

უფრო «დაბალი» ვიბრაციის ენერგიებს ეთერული სხეული ფიზიკურისგან იღებს. უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, იგი იღებს იმ ვიბრაციების ნაწილს, რომლებიც საჭმლის მონელებით გამონთავისუფლდება. იმის ნიშანი, რომ ეთერული სხეული მზადაა ფიზიკურისგან ენერგიის მისაღებად, მადაა, რომელიც ასევე კარნახობს ადამიანს, თუ კონკრეტულად რომელი საკვების ენერგიას საჭიროებს ეთერული სხეული.

შიმშილის გრძნობა, ან დასვენების (ძილის) მოთხოვნილება ნიშნავს ეთერული სხეულის პირდაპირ მოთხოვნას ფიზიკური სხეულისადმი: «მომეცი ენერგია» (ან: «ჭამა მინდა, ძილი მინდა, დასვენება მინდა»).

გარდა ამისა მშვენივრად ავსებს ეთერულ სხეულს ენერგიით უშუს, ცი-გუნის, ჰათჰა-იოგას ვარჯიშები და სტატიკური სავარჯიშოები.

ეთერული სხეულის ენერგიის გაზრდის ერთ-ერთი ვარიანტია ენერგო-დანახარჯების შემცირება სხვა სხეულებზე, რომელთაგანაც პირველ ადგილზეა ძილი, ხოლო მეორეზე შინაგანი დიალოგის გაჩერება. ხოლო რას უზამს ადამიანი გაზრდილ ენერგო-მარაგს, ეს უკვე ცალკე თემაა.



სტატიები

რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ხასიათის თვისებებზე ზემოქმედება ეთერული სხეულის მეშვეობით:

- მკვრივი პროდუქტები (ბასტურმა, ნედლად შებოლილი ძეხვი) აგროვენ ეთერულ ველს და ზრდიან ნებას და მობილიზებულობას — მანიპურა + მულადჰარა.
- ფიზიკური ვარჯიშები აგროვენ ეთერულ ველს და მკვრივს ხდიან მას, რაც ხელს უწყობს მობილიზებულობას, ქმედითუნარიანობასობას და ინიციატიურობას: სტატიკური — მულადჰარა + მანიპურა, დინამიკური — მანიპურა + სვადჰისტანა.
- ლუდი ზრდის ენერჯის მოცულობას მანიპურაზე — პრესის ზონაზე — სიმკვრივის შემცირების ხარჯზე (ხსნის დაძაბულობას სტრესის შემდეგ).
- «რბილი» პროდუქტები («საექიმო» ძეხვი, მოხარშული ქათამი, მოხარშული კარტოფილი) აფხვიერებენ (არბილებენ) ეთერულ ველს და ხელს უწყობენ გაწონასწორებულობას და დამიწებას.
- ძილი ასტაბილურებს ველის სიმკვრივეს და ჰარმონიულად გადაანაწილებს ენერჯიას მთელს სხეულში. ეს ხდება იმის ხარჯზე, რომ ძილის პროცესში დანარჩენი სამი სხეული ძირითადად ეთერული ენერჯის მინიმუმს მოიხმარენ.
- ზონაზე კონცენტრაცია საშუალებას იძლევა ვმართოთ გაცვლითი პროცესები (რომ არ გადაიტყორცნოს ენერჯია ავტომატურად). მაგალითად, სტრესულ სიტუაციაში პრესის ზონის — მანიპურას შეგრძნება იძლევა სიტუაციის მართვის შესაძლებლობას.

პროდუქტის მაქსიმალური ენერგეტიკული ტევადობის ან მისი სიცოცხლისუნარიანობის ერთ-ერთი კრიტერიუმი არის მისი უნარი — გააგრძელოს თავისი არსებობა, თუკი მას ავიღებთ მაგიდიდან (პომიდორი, კიტრი, ვაშლი, თხილი). სასურველია პროდუქტი მივიღოთ მაშინვე, როგორც კი დავჭრით, რადგანაც თავისი დამცავი გარსის დარღვევის შემდეგ ეთერული ენერჯია თანდათან ქრება. «კარგი» პროდუქტის კრიტერიუმია მისი უნარი — მისცეს ადამიანს ძალა არა მხოლოდ თავისივე მონელებისათვის. ხდება ხოლმე, რომ ჭამის შემდეგ ზალა ძალიან ცოტა გვრჩება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ეთერული ენერჯია პროდუქტის მონელებაზე და შეწოვაზე იხარჯება. ორ პატარა პომიდორს უფრო მეტი ენერგეტიკული ღირებულება აქვს, ვიდრე ერთ დიდს. რადგანაც უფრო დიდ პროდუქტებს ველი უფრო რბილი და ფხვიერი აქვთ.

3. ასტრალური სხეული



ასტრალური სხეული წარმოადგენს სხეულს, რომლის მეშვეობითაც ადამიანი რეალობის ემოციურ-გრძნობელობით აღქმას და მასზე რეაგირებას ახდენს.

ასტრალური სხეულის დაყოფა პირობითად ორ დონედ შეიძლება:

- პირველი დონე — პასუხს აგებს ემოციებზე და გრძნობებზე: რისხვა, ბრაზი, შიში, ვნება, დარდი, სიხარული, ნალველი, აღფრთოვანება და ა.შ.
- მეორე დონე — პასუხს აგებს მდგომარეობებზე, რომლებშიც შეიძლება შედიოდეს რამდენიმე (ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო) გრძნობა ან ემოცია: ესაა სიყვარული, მეგობრობა, ბედნიერება, სიძულვილი. მაგალითად როდესაც იძულებულნი ვართ დავსაჯოთ ჩვენი საყვარელი ბავშვი, დასჯის პროცესში ერთმანეთს ერევა სიყვარულის გრძნობაც და სამართლიანი ბრაზიც, და ა.შ.

ასტრალური სხეულის «საკუთრებაში» იმყოფება ყველა ემოცია, გრძნობა, მდგომარეობა და ურთიერთობა, რაც კი ადამიანისთვისაა მისაწვდომი. ემოციებს და გრძნობებს შეგვიძლია ფერადი სამყარო ვუწოდოთ: აქ სიმშვიდის ღია მწვანე ფერიცაა, აქტივობის წითელი ფერიც, და თავდაჯერებულობის მწვანე ფერიც. ძლიერი ემოციური აფეთქებების (მაგალითად კამათის) დროს ადამიანები ეთერული სხეულის მეტ ენერგიას ხარჯავენ. ასეთი აფეთქებები ძალას აცლიან მას, რაც შედეგად მის ფიზიკურ სხეულსა და ჯანმრთელობაზე აისახება: თუ მსგავსი ემოციური გამოვლინებები სისტემატიურ ხასიათს იღებს, ეს იწვევს ეთერული სხეულის დასუსტებას და საბოლოო ჯამში ვლინდება როგორც ფიზიკური სხეულის ეს თუ ის ქრონიკული დაავადება.

დროის მოცემულ პერიოდში ამ სხეულის შესწავლით ინტენსიურადაა დაკავებული ფსიქოლოგია, რომელიც გეგმაზომიერად, მეცნიერული აზროვნების მეშვეობით ადასტურებს უფრო ადრე ინტუიტიურად დამყარებულ




კანონზომიერებებს. აქაა ემოციური აფეთქებებიც და ღრმა მგრძნობიარე მდგომარეობებიც, შინაგანი გაწონასწორებულობის მდგომარეობაც, სიცოცხლით ტკობის უნარიც, დაკარგულ ახლობლებზე დარდიც, სინაზეც და ა.შ.

მაგალითები, თუ როგორ შეიძლება ასტრალურ სხეულზე მუშაობით ზოგიერთი თვისების გაძლიერება:

- იმ კარგის გახსენება, რაც ცხოვრებაში განვიცადეთ, აძლიერებს რწმენას პოზიტიურ შედეგში და მოქმედების სურვილს — მანიპურა;
- გარკვეულ მდგომარეობებზე განწყობა და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა ვმართოთ ჩვენი მდგომარეობები მიუხედავად გარე ფაქტორებისა, და არ ავყვეთ ჩვენი ახლობლების პროვოკაციულ ქცევებსაც კი;
- მედიტაცია რაღაც ამადლებულზე, ნათელზე და კარგზე — ანაჰატა + მულადჰარა;
- ტექნიკა — «შეიყვარე შენი ნაკლი» — აჯნა + ანაჰატა;
- გულწრფელი ლოცვა (გულით) იძლევა საშუალებას ვიცხოვროთ რწმენით გულში და გამოვიმუშაოთ ისეთი თვისებები, როგორიცაა უანგარობა და ერთგულება;
- მუსიკალური, მხატვრული და ლიტერატურული ნაწარმოებების განცდა იძლევა საშუალებას დავინახოთ და შევიგრძნოთ სამყარო როგორც სხვა ადამიანმა და გავაფართოვოთ საკუთარი გრძნობებისა და მდგომარეობების პალიტრა;
- ცეკვა და მუსიკა — ვიშუდჰა + სვადჰისტჰანა (და სხვა ჩაკრები);
- ფერწერა — ვიშუდჰა.

4.მენტალური სხეული



ადამიანის მეოთხე სხეულს მენტალური სხეული წარმოადგენს. ამ სხეულის განკარგულებაშია სამყაროს აღქმის და მისი გადმოცემის ყველა აზრობრივი და ინტელექტუალური საშუალება (მეტყველება, ენა, ლოგიკური და რაციონალური აზროვნება).

განვიხილოთ მენტალური სხეული ორ დონეზე:

პირველ დონეს ეკუთვნის მენტალური ბაზა იმ სოციალური ჯგუფისა (დროისა და ადგილის მიხედვით), რომელსაც ეკუთვნის მოცემული ადამიანი. ის ბაზა, რომელიც ადამიანის პირად მარაგშია, მაგრამ არ წარმოადგენს მის ინდივიდუალურად გამომუშავებულ მარაგს. ეს დონე შეიძლება შევადაროთ ბიბლიოთეკას, რომელშიც შეგვიძლია ამოვიღოთ ინფორმაციის ნებისმიერი რაოდენობა, მაგრამ ამავე დროს სუფთა ინფორმაცია თავისთავად არ წარმოადგენს რაღაცას, რაც თქვენია უნარის, ან გაცნობიერებულობის თვალსაზრისით.

მეორე დონეს წარმოადგენს პირადი აღმოჩენები და ინსაიდები, რომლებიც გარედან შემოსულ ინფორმაციას პირადი ცოდნის სფეროდ აქცევენ, მოგვიანებით კი უნარებად, რომლებიც საშუალებას აძლევენ ადამიანს გაცნობიერებულ ინდივიდუალობად რეალიზდნენ. ამ დონეს შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც პირველი ბავშვური გათვითცნობიერების აღფრთოვანება, ასევე ის გენიალური აღმოჩენები, რომლებიც ეპოქის მსვლელობას ცვლიან.


მაგალითები, თუ როგორ შეიძლება მენტალური სხეულის საშუალებით ხასიათის თვისებებზე ზეგავლენის მოხდენა:

- აფირმაციები — პოზიტიური რწმენები — «მე ყოველდღიურად უკეთ და უკეთ ვხდები!!!» — აჯნა + მულადჰარა;
- პოზიტიურ განწყობას — მიყვაროთ გამბედაობის და თავდაჯერებულობის მომატებისკენ; «მე შევძლებ», «მე გამომივა» — მანიპურა;
- პოზიტიური აზროვნება — სიტუაციის პოზიტიურად დანახვის უნარი ზრდის საკუთარი თავისადმი სიყვარულს — ანაჰატა;
- სიტუაციების გადათამაშება ზრდის გაცნობიერებულობას და ხატ-სახეობრივ აზროვნებას;
- კონფლიქტების მიზეზის ძებნა ზრდის გაცნობიერებულობას და დაფიქრების უნარს;
- მოვძებნოთ ვარიანტები, თუ როგორ მოიქცეოდა ამა თუ იმ სიტუაციაში სხვა ადამიანი — ვიშუდჰა + აჯნა;
- სპეციალური ლიტერატურის კითხვა და «წერა»;
- ნეგატიური სიტუაციების გადაწერა ზრდის პოზიტიურ გამოცდილებას, გაცნობიერებულობად და საფუძვლიანობას — აჯნა + მულადჰარა.



ლამა თოფურია

ეგრეგორი — ადამიანის აზროფორმა¹



ჩვენ, თანამედროვე ადამიანები, ვცხოვრობთ ისეთ გარემოში, სადაც დავიწყებულია სულიერ სამყაროსთან კავშირი და გონება მაქსიმალურად ჩაფლულია მატერიალურ ყოველდღიურობაში. ამ ყველაფერმა განაპირობა ის, რომ ხედვასთან ერთად დავივიწყეთ ის ცოდნა, რაც გვაკავშირებდა იმ სამყაროსთან, რომელიც ფიზიკურ დონეზე არ აღიქმება.

ჩვენ გარშემო, გარდა იმ მატერიალური სამყაროსი, რომელსაც ვხედავთ, გვესმის და ვეხებით, არსებობს სხვაც, რომელიც ჩვენი აღქმის ორგანოების იმ დიაპაზონისთვის, რომელზეც ამ ეტაპზე მუშაობენ, მიუღწეველია.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი აღქმისთვის დავიწყებულია, ეს სამყარო მატერიალურთან მჭიდროდ არის გადაჯაჭვული და მათ შორის ხდება ურთიერთკავშირი სხვადასხვა მექანიზმით. ჯამში, ეს ყველაფერი ჩვენს ყოფიერებაზე სხვადასხვაგვარად აისახება. ერთ-ერთი ამ მექანიზმთაგანი, რომელიც მატერიალურსა და არამატერიალურს აკავშირებს და ახდენს ურთიერთქმედებას, არის ეგრეგორი.


რა არის და როგორ წარმოიქმნება ეგრეგორი

აზრი, ისევე როგორც სხვა იმპულსები, ელექტრო-ქიმიურ ურთიერთქმედებათა შედეგია. როდესაც იკვთებიან აზრები მსგავსი იდეით და ხარისხით, ისინი ქმნიან აზრთა ერთობლიობას (ეგრეგორს). მოკლედ რომ ვთქვათ, ეგრეგორი არის ენერგო ინფორმაციული სუბსტანცია, რომელიც იქმნება საერთო იდეის ან მიმართულების მქონე ადამიანების გადაკვეთის დროს. ანუ, როდესაც იკრიბება ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, გარკვეული საქმიანობის გარშემო, ფიზიკური საქმიანი ერთობის გარდა, ასევე იქმნება არაფიზიკური სუბსტანცია, რომელიც იკვებება ამ ადამიანთა აზრობრივი ქმედებებით და მათ შორის ურთიერთკავშირი მყარდება.

¹ ჟურნალი «ასტრო News» № 3, დეკემბერი 2013.

როგორც მატერიალურ სივრცეში ვიკრიბებით გარკვეული იდეის გარშემო და ვქმნით გარკვეული სახის მექანიზმებს ამ იდეის განსახორციელებლად, ასევე არამატერიალურ, ჩვენთვის უხილავ სივრცეში წარმოიქმნება სუბსტანცია. მაგრამ მატერიალურისგან განსხვავებით, საკითხი აქ ცოტა სხვაგვარად წარიმართება.

როცა იქმნება ეგრეგორი, ის იძენს ავტონომიურ ხასიათს, ანუ შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გარკვეული სახის ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც ურთიერთმოქმედებაში მოდის მასში შემავალ აზრობრივი ენერჯის წყაროებთან (ადამიანებთან) და შეუძლია მათ ემოციებთან და გრძნობებთან, ასტრალურ და მენტალურ დონეზე ლოგიკური ქმედებების განხორციელება.



რა სახის ეგრეგორები არსებობს — ეგრეგორების კლასიფიკაცია როგორც ასეთი, არ არსებობს, რადგან ნებისმიერ საერთო ქმედებას შეიძლება ჰყავდეს თავისი ეგრეგორი. მაგრამ მათი კლასიფიცირება შესაძლებელია სიძლიერისა და სიდიდის მიხედვით.

ასევე შეგვიძლია გამოვყოთ ძირითადი ეგრეგორული გაერთიანებები, ესენია: რელიგიური, საგვარეულო, ნაციონალური, ფინანსური, მაგიური ორდენების, ფილოსოფიური სწავლებების, კონკრეტული მიზნისკენ მიმართული კოლექტივის და ა.შ.

როგორ ურთიერთქმედებენ ეგრეგორები ადამიანებთან და როგორ ხდება მათთან მიერთება და შესაბამისად გამოყოფა — ძირითად ეგრეგორულ გაერთიანებებში, მაგალითად, როგორცაა საგვარეულო ან რელიგიური (ეს უკანასკნელი იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს დაბადებიდან მალევე ნათლავენ, მისგან დამუკიდებლად და თანხმობის გარეშე) ადამიანი თავიდანვე ხვდება. ხოლო, რაც შეეხება დანარჩენებს, ადამიანი უკვე ცხოვრების განმავლობაში ერთიანდება მათში, ან გამოეყოფა.

ხშირ შემთხვევაში, ეგრეგორში გაერთიანება გაუცნობიერებელ ქმედებას წარმოადგენს, რადგან ადამიანები მხოლოდ მატერიალური სამყაროს აღქმიდან



გამომდინარე აზროვნებენ და ვერ აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მათი ცხოვრება გადაჯაჭვულია სულიერთანაც. ანუ, როდესაც ადამიანი ერთვება გარკვეული ჯგუფურ საქმიანობაში, ის ავტომატურად ხდება იმ ჯგუფის ეგრეგორთან მიერთებული.

ის, თუ როგორ ხდება ეგრეგორებიდან გამოსვლა, ესეც არაერთგვაროვანი საკითხია, რადგანაც ისინი განსხვავდებიან თავიანთი სიმლიერიითა და ნიშან-თვისებით.

იმ ეგრეგორებისგან, რომლებთანაც ადამიანი მიერთებულია დაბადებიდან ან გარკვეული რიტუალით, თავის დაღწევა გაცილებით რთულია და ადამიანს დიდი ძალისხმევის და ნების გამოვლენა ჭირდება, ისევე როგორც გაცნობიერების, ვიდრე იმ ეგრეგორებისგან, რომლებიც ყოველდღიური საქმიანობის სფეროს წარმოადგენენ.

მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ეგრეგორი არ ეწევა ადამიანის მანიპულირებას, თვითონ მექანიზმი ისეა მოწყობილი, რომ თუ რაიმე ეგრეგორული სისტემა იერარქიულ წყობაზეა აგებული, ის ეხმარება ამ პირამიდის სათავეში მყოფებს ზეგავლენა იქონიონ დაბალ საფეხურზე მდგომეებზე. ამ იერარქიული ზეგავლენის ყველაზე კარგი მაგალითებია რელიგიური და სოციალური ეგრეგორები.

ფაქტიურად, ეგრეგორული სისტემით ადამიანის მართვა და მანიპულირება გაცილებით ადვილია, რადგანაც ეს ყველაფერი ხდება არაფიზიკურ სივრცეში, სადაც ადამიანი გაცილებით მეტადა არის დაუცველი, ღია და ვერ აცნობიერებს იმ რეალობას, რადგანაც როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, ჩართულია მხოლოდ მატერიალურ სამყაროში. უფრო მარტივად აღსაქმელი რომ იყოს, წარმოვიდგინოთ, რომ ეგრეგორი არის ადამიანის ფსიქო-ემოციური ენერჯის ბანკი, რომელიც თავისი კანონებით მოქმედებს.

ზოგადად, ეგრეგორში ყოფნა არაფერ საზიანოს არ წარმოადგენს იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ამას აცნობიერებს და არაცნობიერი ზეგავლენა არ ხდება მასზე და ასევე თუ შეუძლია სურვილისამებრ ეგრეგორიდან გამოსვლა. ისეც და ისეც, ეს არის მექანიზმი, ოღონდ არამატერიალურ სივრცეში და შესაბამისად კანონებიც სხვანაირად მოქმედებს ვიდრე მატერიალურში, ამიტომაც ადამიანს ასეთ მექანიზმებთან სრულყოფილი თანაქმედებისთვის სრული გაცნობიერება და თავის Yთავზე მაქსიმალური კონტროლი ესაჭიროება. სხვა შემთხვევაში, ანუ ისე როგორც დღესაა, ეს ფაქტორები მხოლოდ იერარქიული წყობის ხასიათს და ადამიანებით მანიპულირების სახეს იძენს.

თავის მხრივ, ეგრეგორიც ეხმარება ადამიანს. ენერჯის ის მასა, რომელიც გროვდება მასში, გაიცემა ადამიანზე გარკვეულ ვითარებაში, საჭიროებისამებრ. მაგრამ აქაც, როგორც სხვა ყველაფერთან მიმართებაში, ადამიანი უნდა აცნობიერებდეს ამ ურთიერთკავშირს, რომ საჭიროების დროს შეძლოს ეგრეგორთან კავშირის გაწყვეტა და არ გახდეს მასზე დამოკიდებული და შესაბამისად მართვადი.

მედიტაციის საფუძვლები დამწყებთათვის¹



თუ თქვენ გადაწყვიტეთ სერიოზულად დაკავდეთ თქვენი ენერგეტიკით, მაშინ საჭიროა გახსოვდეთ, რომ:

- პრაქტიკის დროს შესაძლებელია ენერგიების სპონტანური გამონთავისუფლება მოხდეს (კუნდალინის ნაწილობრივი აწევა). რამაც შეიძლება გამოიწვიოს უცნაური ქცევა, ხასიათის ცვალებადობა, დეზორიენტაცია გარესამყაროში, სიცხეც კი. მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია და არ ღირს ამასთან დაკავშირებით ნერვიულობა.
- აუცილებელია პარალელურად აკეთოთ ელემენტარული ფიზიკური ვარჯიშებიც, რადგან ისინი გეხმარებიან ენერგიის ცირკულაციაში და ენერგეტიკული ბლოკების მოხსნაში. ყველაზე ელემენტარული ვარჯიშებიც კი.

¹ მოამზადა: Nina Ge.



სუნთქვითი ვარჯიშები — მნიშვნელოვანი ეტაპი

(ერთგვარი ენერგეტიკული გაწმენდა და დამუხტვა ერთდროულად)

1. დადექით. ხელები ჩამოუშვით. ფეხები მხრების სიგანეზე. აკეთებთ ჩასინთქვა-ამოსუნთქვას 2-ჯერ ცხვირიდან, შემდეგ ღრმა ჩასუნთქვა და 3 სწრაფი ამოსუნთქვა პირიდან.

(გაიმეორეთ ეს ყველაფერი 3-ჯერ.)

2. წარმოიდგინე შენს გულში როგორ ერთდება 2 მილი (1 სმ დიამეტრით). ერთი მათგანი მოდის ზემოდან, კოსმოსიდან შენი თავის გავლით, ხოლო მეორე მიწიდან ტერფების გავლით.

ჩასუნთქვა — წარმოიდგინე რომ ენერგია შემოედინება შენს გულში ამ მილებიდან.

ამოსუნთქვა — წარმოიდგინე, რომ ყველა ნეგატივი მიედინება მილების საშუალებით შენი სხეულიდან.

ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა უნდა იყოს ჩქარი. ტერფებით ძლიერად დააწეკით მიწას (იატაკს).

(გაიმეორეთ 3-ჯერ. შესაძლებელია გამოიწვიოს თავბრუსხვევა და ხმაური ყურებში.)

ასტრალური სხეულის «ამუშავება»

(ეს ვარჯიში კარგად ასუფთავებს ენერგოსტრუქტურებს)

შემდეგ დადექით, ხელები გაწიეთ პირდაპირ, დიდი თითით მიმათული ზემოთ. საათის ისრის მიმართულებით აკეთებთ 33 ბრუნს, ისე რომ თვალს არ აშორებთ თვენს დიდ თითს.



გაჩერების შემდეგ ხელებს აერთებთ გულის ჩაკრის სიმაღლეზე, მანამ სანამ არ დაუბრუნდებით საწყის მდგომარეობას. შესაძლებელია დახუჭული თვალებითაც. ამ დროს წარმოიდგინეთ როგორ გადის თვენი ხერხემლის გასწვრივ მილი, კეფიდან ტერფების მიმართულებით. ამ მილში გადის ნებისმიერი ფერის ენერგია. იდექით და გაატარეთ ეს ენერგია თქვენში, სანამ არ დაუბრუნდებით წონასწორობის მდგომარეობას.

მედიტაციისთვის მომზადება:

- 1) სურვილი
- 2) კარგი დამიწება : ეს კეთდება ისევ მილის საშუალებით. წარმოიდგენ, პირველი ჩაკრა როგორ უერთდება დედამიწის ცენტრს. შემდეგ ამ მილით როგორ მოგეწოდება ნებისმიერი ფერის ენერჯია პირველ ჩაკრაში. საკმარისია ერთი ბრძანება(ვიზუალიზაცია), პროცესი შემდეგ ავტომატურად მიდის.
- 3) როგორ დაჯდები არ აქვს პრინციპული მნიშვნელობა. მთვარია ხერხემალი იყოს სწორ მდგომარეობაში. თუ თავიდან გიჭირთ ხერხემლის გასწორება, მიეყრდენით რამეს ან დადექით ფეხზე.
- 4) მედიტაციის ხანგრძლივობასაც არააქვს მნიშვნელობა.ეს ინდივიდუალურია.

თავიდან საჭიროა ნელი ტემპი და მიჩვევა, შემდეგ ყველაფერი თავისთავად დალაგდება.

წმენდითი მედიტაციები

გაწმენდა 1 — დაწევი ზურგზე და გარკვეული პერიოდი მშვიდად ისუნთქე. წარმოიდგინე, რომ წევხარ ეკრანზე ან გამჭირვალე მასაზე. ნელ-ნელა ეს ეკრანი იწევა ზემოთ, შენი სხეული გავლით და თან მიაქვს ყველა ნეგატიური პროგრამა. როცა ეკრანი გაგცლება და შენს ზემოთ იქნება, წარმოიდგინე, რომ ის მთელი ამ ნეგატივით იწვება ცეცხლში. ამ დრო კარგი იქნება თუ წარმოიდგენთ, როგორ თხოვთ სამყაროს, რომ თვენი ნეგატიური პროგრამება ისე დაიწვას, რომ ზიანი არ მიაყენოს არაფერს და არავის.

გაწმენდა 2 — დამჯდარმა წარმოიდგინე საკუთარი ბიოველი სხეულის გარშემო. როგორი იყო თავიდან? აზრობრივად გაასწორე და სიმატრიული გახადე. გაამყარე საზღვარი. წარმოიდგინე, როგორ მოდის ზემოდან ღია იასამნისფერი წვიმა და გაცლის ყველა ნეგატიურ და სხვისგან აკრულ ენერჯიას.

ამის შემდეგ, ზედა ჩაკრიდან დაწყებული საბაზისო ჩაკრამდე აკეთებ შმდეგს: თავიდან, ჩაკრას წარმოსახვით ატრიალებ საათის ისრის მიმართულების საწინააღმდეგოდ (ისე თითოს გარედან უყურებ შენს თავს), მერე წარმოიდგინე რომ ჩაკრას კვეთავ შუაზე და ხედავ მისგან როგორ გადმოდის მთელი სიბინძურე. ამის შემდეგ წარმოიდგინე რომ ეს ჩაკრა ისევ შეიკრა და დაიწყო მოძრაობა საათის ისრის მიმართულებით და ნელ-ნელა მიიღი მისთვის ბუნებრივი ფერი:

- პირველი — წითელი;
- მეორე — ნარინჯისფერი;
- მესამე — ლიმნისფერი;



- მეოთხე — მწვანე;
- მეხუთე — ცისფერი;
- მეექვსე — ლურჯი;
- მეშვიდე — იისფერი.

გაწმენდა 3 — დაჯექი. მუშაობას იწყებ ზედა ჩაკრიდან და მოყვები პირველ ჩაკრამდე. წარმოიდგინე ჩაკრა როგორც წრე, ან ძაბრი. ჩაკრა შენზე დიდია — როგორც გამოქვაბული. შენ დგებარ შესასვლელთან. აკვირდები რა ფერისაა ეს გამოქვაბული და სად არის სიბინძურე. შედიხარ გამოქვაბულში (სასურველია მშვიდად და გაღიმებულად) და იწყებ გამოქვაბულის კედლებზე ყვავილების ხატვას. მაგალითად მეორე ჩაკრის შემთხვევაში ნარინჯისფერი ლილიები, პირველი ჩაკრა წითელი ვარდი და ა.შ. მერე ჩაკრა იწყებს ტრიალს საათის ისრის მიმართულებით და შენ გამოდიხარ გარეთ. ეს მეთოდი იმით არის კარგი, რომ წმენდა მიდის ჩაკრის შიგნით, ძალდატანების გარეშე.

გაწმენდა სანთლით — დაჯექი. წარმოიდგინე რომ სანთლის ფიტილი ხარ. ვიღაც ანთებს სანთელს. შენ მთლიანად ალში ხარ, რომელიც წვავს მთელს ნეგატივს. შეიგრძენი ცეცხლის ვიბრაციები. მაქსიმუმ 5 წუთი იჯექი ასე.

გაწმენის ექსპრეს მეთოდი — ეს იმ შემთხვევაში, როცა უნდა იმედიტირო და გაწმენდისთვის დრო არ გრჩება. ძირითად მედიტაციამდე 5 წუთი წარმოსახვით ჩაკრები დაატრიალე საათი ისრის საწინააღდეგოდ, ხოლო შემდეგ საათის ისრის მიმართულებით.

მედიტაციის დროს მუშაობის პრინციპები:

- 1) ვიზუალიზაცია
- 2) გაწმენდა იწყება ზევიდან და მოდის ქვემოთ
- 3) ნეგატივი, რომლისგანაც იწმინდები აუცილებელია გაქრეს, დაიწვას, გარდაქიმნას, რადგან არ დაბრუნდეს შენს ბიოველში. აუცილებელია ეს ნეგატივი გარდაქმნათ პოზიტივად, რადგან სამყაროს არ მიადგეს ზიანი.
- 4) ისწავლე შეიგრძნო ჩაკრები, ენდე საკუთარ შეგრძნებებს, თუ ფიქრობ, რომ ჩაკრა სუფთაა, ნულარ გაწმინდავ მას. შეეცადე დაინახო რა ფერი აქვს ჩაკრას, რადგან დაბინძურების ან ზემოქმედების დროს ხშირად იცვლის ფერს.

გისურვებთ წარმატებებს!

სერგეი მელნიკოვის

მედიტაციის ტექნიკა¹

თარგმნა: მამუკა გურული

1) ვჯდებით მოხერხებულად, ვდუნდებით, ისე რომ სხეულმა კომფორტულად იგრძნოს თავი.

2) საშუალებას ვაძლევთ საკუთარ თავს, რომ ვიგრძნოთ აწმყო მომენტი, ვუშვებთ ყველა ფიქრს, მოლოდინს, სურვილს, მოგონებას. უბრალოდ ვიმყოფებით აქ და ახლა, მაგრამ არა დაძაბული, არამედ მოდუნებული. მომავლის გამუდმებული მოდელირება და წარსულის ანალიზი — ეს დაძაბულობაა. როგორც კი ემოციურად და მენტალურად ცოტათი უფრო მეტად მოვდუნდებით, ავტომატურად ვგრძნობთ აწმყო მომენტს, აქ და ახლა ვიმყოფებით, უფრო ღრმად ვაცნობიერებთ ამ მომენტს, რომელშიც უსასრულო შესაძლებლობებია თავმოყრილი.

3) აქ და ახლა ვაცნობიერებთ, რომ მთელი პრაქტიკა წარმოადგენს გზას სულისკენ, რომელსაც არ გააჩნია ფორმა, რომელიც აღუწერელია, მაგრამ იმყოფება ჩვენში და მთელ სამყაროში. და ჩვენი მედიტაცია ძღვენია მისადმი. ესაა საშუალება, რომ გაცნობიერებულად მივცეთ თავი მის სრულ განკარგულებაში, შევერწყათ მას და დავემორჩილოთ მიმართულების ღრმა შეგრძნებას, ყველა ცოცხალი არსების საკეთილდღეოდ. ეს სახლში დაბრუნებას ჰგავს.

4) ვუშვებთ ამ ყველაფერს და შევდივართ აზრების დაკვირვების მდგომარეობაში. განზე მდგარნი ვაკვირდებით აზრების მოძრაობას გონებაში, როგორც ერთგვარ ბუნებრივ მოვლენას, რომელსაც ჩვენთან პირდაპირი კავშირი არ აქვს. არ ვცდილობთ მათ შეფასებას, დეტალებში ჩაღრმავებას, ჩახშობას და ა.შ. არაფერს არ ვუშვრებით მათ, მაგრამ არც თავს ვაიგივებთ მათთან. ვინარჩუნებთ ჩაურეველი დამკვირვებლის პოზიციას, საშუალებას ვაძლევთ აზრებს და გრძნობებს, რომ უფრო და უფრო დამშვიდდნენ, და ამავე დროს ვინარჩუნებთ გაცნობიერებულობას.

5) როცა აზრების გაჩერების მდგომარეობას ვაღწევთ, სიცარიელეს ვჭკვრეტთ, განვაგრძობთ უბრალოდ დაკვირვებას და გაცნობიერებას. საშუალებას ვაძლევთ საკუთარ თავს, რომ ამ სიცარიელეში ჩვენთვის ჩვეული აზრებისგან განსხვავებული უფრო ნატიფი მოძრაობები ვიგრძნოთ. ვჭკვრეტთ ამას, მაგრამ არ ვქმნით, არ ვაფასებთ, და ვიძირებით გონების უფრო სრულ და ყოვლისმომცველ გაჩერებაში, გაცნობიერებულობის დაკარგვის გარეშე.

¹ წიგნიდან.



სტატიები

ძალიან მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ ჩვენ არ ვიძაბებით და არ ვაკეთებთ არაფერს, მხოლოდ ვდუნდებით და ვაკვირდებით. ეს რთულია ჩვენი გონებისთვის, რომელიც მოქმედებებისა და შედეგების სამყაროშია გაწვრთნილი. ჩვენში ძალიან ღრმად ზის, რომ თუ გსურს რაღაცას მიაღწიო, უნდა იფიქრო, ისურვო, აკეთო. მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ყველაფერი პირიქითაა: რაც უფრო ნაკლებს ვაკეთებთ და რაც უფრო მეტად ვდუნდებით, მით უფრო ეფექტურია პრაქტიკა. ერთადერთი ქმედება — დაკვირვება და გაცნობიერებაა, რომელიც ფიქრისგან განსხვავდება. მოქმედების არარსებობა, და მაინც მოქმედება.



სამყაროს მართვის 108 კანონი¹



ვედების თანახმად საკრალური რიცხვი 108 მიუთითებს სამყაროს მოწყობაზე. ფაქტები:

- ღვთაება ვიშნუს აბრევიატურად შეესაბამებას რიცხვი 108: 1 — ღმერთი ანუ კოსმიური გონი; 0 — დასრულებული ციკლი; 8 — უსასრულო მარადისობა.
- სანსკრიტულში არის 54 ასოგერა. ყოველ მათგანს აქვს ქალური და მამაკაცური საწყისი: $54 \times 2 = 108$.
- 108 ენერგეტიკული არხის გადაკვეთით ადამინის სხეულში იქმნება ცენტრალური, მეოთხე გულის ჩაკრა.
- ისლამში 108 ჯერ მიმართავენ ღმერთს .
- ბუდიზმში ლოცვის და მედიტაციის დროს გამოყენებულ კრიალოსანს აქვს 108 ბურთულა.
- ასევე არის თანხვედრა მზის და დედამიწის ბრუნებს შორის რეზონანსულ რიცხვთან.

ასევე არის შესაბამისობა მზის სიტემასთან: $9 \times 12 = 108$, სადაც 12 არის ზოდიაქოს ნიშნების რაოდენობა, ხოლო 9 — პლანეტების რაოდენობა, რომლებიც მზის ირგვლივ ბრუნავენ ზოდიაქოს თანავარსკვლავედების გავლით, ასევე არის მოსაზრება, რომ 9-ში იგულისხმება 7 ძირითადი პლანეტა და მთვარის 2 ციკლი.

¹ მოამზადა: Nina Ge.



ქვემოთ მოცემულია სამყაროს წარმართვის 108 კანონი:

1. შენ არ იცი რა არის სიკეთე და რა არის ბოროტება.
2. მაგრამ ზუსტად იცოდე: სიკეთის სხვებისთვის თავზე მოხვევა — არის ბოროტება.
3. შენ არ იცი რა ჭირდება სამყაროს.
4. თუ შენ მართალი ხარ, მაშინ შენ არ ხარ მართალი.
5. არ არსებობს ის, რასაც მართალს ან არამართალს უწოდებენ. შენთვის შეუცნობელია რა რა არის.
6. არ არსებობს ცუდი, არის მარტო ის რაც შენში იწვევს გაბრაზებას.
7. არ არსებობს კარგი, არის მარტო ის რაც შენ გახარებს.
8. სამყარო ძალიან დიდია იმისთვის, რომ შენ შეძლო ზიანი მიაყენო მას.
9. შესაძლებელია, შენი შეცდომები სწორედ ის არის რაც სამყაროს ჭირდება შენსგან.
10. შენი შეცდომები არ დალუპავს სამყაროს.
11. არ ეძებო ჭეშმარიტება შენს გარესამყაროში, ის მანდ არ არის.
12. სიცოცხლის აზრი ეძებე ამ სამყაროს მიღმა.
13. როგორ საზღვრავ მიზანს რომელსაც შენ ასრულებს? და გეკუთვნის ის შენ?.. მიზანი, რომელსაც შენ ასრულებ აქ, შენ არ გეკუთვნის.
14. არ ინერვიულო საკუთარი თავის გამო. სინამდვილეში სამყაროსთვის შენ იმდენად მნიშვნელოვანი ხარ, რომ უაზროდ არ დაიკარგები.
15. არ ეძებო საკუთარი დანაშაული. არაფერში ის არ არის.
16. არ შეეცადო მიმართულება მისცე სხვას, რადგან შენ არ იცი რომელია სწორი მიმართულება. სინამდვილეში რაც მისთვის აუცილებელია, თავად აიღებს.
17. ის რასაც შენ აკეთებ თუ შენთვის არის ძნელი, დაფიქრდი, რეალურად გჭირდება კი ეს?!
18. გააკეთე მხოლოდ ის რაც კარგად და ადვილად გამოგდის, მაგრამ გააკეთე მთელი ძალისხმევით.
19. თუ რამეს შემთხვევით აკეთებ, შენ ამას შეგნებულად აკეთებ.
20. შეინარჩუნე ის რაც მოგწონს და თავიდან მოიცილე, ის რაც არ მოგწონს.
21. თუ შენ შეგიძლია გამოასწორო საკუთარი შეცდომები ე.ი. შენ ჯერ კიდევ არ შემცდარხარ.
22. ყველაფერი რაც ხდება, ხდება თავის დროზე.
23. შენ, სწორი გადაწყვეტილებების ხანგრძლივი ძიება, შეცდომებზე ძვირი დაგიჯდება.
24. მოვლენები ხდება შენსგან დამოუკიდებლად. შენზე მხოლოდ ის არის დამოკიდებული მიიღებ თუ არ მიიღებ მათ.

25. თუ ეჭვი გეპარება გზის მიმართულებაში წაიყოლე თანამგზავრი, თუ დარწმუნებული ხარ წადი მარტო.
26. იყო ძლიერი ნიშნავს შეეგუო აზრს რომ მიუხედავად ყველაფრისა ხარ მარტო.
27. ძლიერი ადამიანი ყველაზე ძლიერი მარტოა.
28. ძლიერი იღებს თავის მარტოობას, სუსტი კი გაურბის მას.
29. იყავი მშვიდი და ყურადღებიანი და შენ არ გაუშვებ ძალის მომენტს.
30. საკუთარი თავის შემფასებელი იყავი თავად. თუ სხვებისგან გაიგებ შენი თავის შესახებ, ეს ნიშნავს რომ შენ აძლევ მათ ძალაუფლებას საკუთარ თავზე.
31. თუ შენ დალოცავ და გააცნობიერებ ხელიდან გაშვებულ შესაძლებლობებს, შენ მიიღებ დიდ და ახალ შესაძლებლობებს.
32. გაეცი — ადვილად; დაკარგე — ადვილად; დაემშვიდობე—ადვილად;.
33. არ იდარდო რომ ცხოვრებაში ცოტა სიხარულია, ამით შენ კიდევ ერთ სადარდებელს დაიმატებ.
34. შეიყვარე მტერი შენი — რათა გაიმარჯვო.
35. თუ მტერი მოულოდენლად დაგადგათ თავზე და თქვენ კიდევ ცოცხალი ხართ — ე.ი. ის თქვენს ხელშია.
36. წამგებიანი სიტუაცია გამოსადეგია გამოცდილებისთვის.
37. არ შეგეშინდეს იმის ვინც ცდილობს გატეხოს შენი ნებისყოფა, რადგან ის თავად არის უნებო და სუსტი.
38. უგულველყოფას მოაქვს გამარჯვება.
39. დათმობით შენ გადიხარ გამოცდებს.
40. დათმე, რათა შეასუსტო წინააღდეგობა.
41. არ ეცადო იყო მოწინააღდეგეზე ძლიერი, ეძებე სად არის მოწინააღდეგე შენზე სუსტი.
42. მტრების ცნობა — ეს მათზე უპირატესობის ქონას ნიშნავს.
43. ყოველთვის ვერ გამარჯვებ, მაგრამ შეგიძლია გახდე დაუმარცხებელი. გამარჯვება დამოკიდებულია იმაზე, თუ რადენად დაუცველია მოწინააღდეგე. ხოლო წაგება დამოკიდებულია მხოლოდ შენზე.
44. ყოველთვის დაინახე მოწინააღდეგეში ადამიანი — ეს შენი უპირატესობაა.
45. სიამოვნება — სისუსტეა. დაგემოვნება და ძლომა-ორივე მათგანი სიამოვნებაა, მთავრია ერთმანეთში არ აურიო.
46. შენ იცი წესები, მაგრამ ვერასდროს გაიგებ ყველა წესს, რომლითაც სამყარო ცხოვრობს.
47. სამყარო მკაცრია, მაგრამ არა ბოროტი.
48. იყავი ყურადღებით. ზოგიერთები შენ განადგურებენ. (არიან ადამინები, რომელთა გვერდით ყოფნაც შენ განადგურებს. მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ისინი ცუდი ადამიანები არიან. არიან ადამინები, რომელთა გვერდით

- ყოფნაც შენ გაძლიერებს, მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ისინი კარგი ადამიანები არიან. ყოველთვის წადი მეორე კატეგორიის ადამიანებისკენ, და თი ეს არ გამოგდის მაშინ საერთოდ უარი თქვი მეგობრობაზე).
49. განიცადე სიხარული იმით, რასაც შენ აკეთებ.
 50. ცეცხლი, რაც უფრო უახლოვდება: ჯერ ანათებს, მერე ათბობს, ბოლოს კი წვავს.
 51. ამ წუთას შენ უკვდავი ხარ, რადგან ჯერ არ მომკვდარხარ.
 52. არ შეგეშინდეს წყევლის და არ გაიხადო მიზნად შეგაქონ. არც ერთს და არც მეორეს სულისთვის არაფერი მოაქვთ.
 53. თუ საკუთარ წარმატებას გაზომავ სხვისი შექებით ან კრიტიკით, შეიქმნი შფითვას და დაურწმუნებლობას.
 54. არ იფიქრო საით წახვიდე, როცა დაკიდებული ხიდის შუაში დგებარ.
 55. გასაკეთებელი გააკეთე ახლა, შემდეგ ვეღარ გააკეთებ ასე კარგად.
 56. არ თქვა საით მიდიხარ, თქვი მხოლოდ სად მისვლის იმედი გაქვს.
 57. ბრძოლაში იყავი ფრთხილი, რათა არ გახდე ის რის წინააღდეგაც დაიწყე ბრძოლა.
 58. მოიშორე ის საათები, რომლებმაც ჩამოკრეს 13-ჯერ, ნაცვლად 12-ისა. (გაიხსენე 13 დარტყმის კანონი: თუ ერთხელაც საათმა ნაცვლად 12ისა 13ჯერ ჩამოკრა, ეს საათი გადააგდეთ, რადგან დიდი ალბათობით ისევ არასწორად იმუშავებს).
 59. გადაჭარბებული სურვილი წარმოქმნის მის საპირისპირო შედეგს.
 60. გადაჭარბებულ ძალისხმევას, მოაქვს უკუშედეგი.
 61. იყავი ბრძენი, თუ მოვლენის მსვლელება გამწვავდა შენ ვერაფერ ცვლი, მიუშვი! ყველაფერს სამყარო დააბალანსებს.
 62. ნუ ბლოკავ პროცესს სასტიკი წინააღდეგობებით, დაე ყველა მოვლენა თავისი გზით განვითარდეს.
 63. არ დააჩქარო მოვლენები. მოვლენები დამოუკიდებლად უნდა განვითარდეს.
 64. დუმილი — ძალის ყწაროა.
 65. ისწავლე დაბრუნდე შენს თავთან. პერიოდულად დაუბრუნდი მდიმარებას.
 66. დუმილი და გარემოს საღად შეგრძნება — ეფექტური ქმედების წყაროა.
 67. დაე სივრცემ აღმოაჩინოს შენი განწყობა — შენი ყოფის ძალის ადგილი.
 68. მისწრაფე იყო გულწრფელად დაინტერესებული საკუთარი თავით.
 69. სხვებს მსუბუქად მოუსმინე, მაგრამ ყველაზე გულდასმით საკუთარ შინაგან სიჩუმეს უსმინე. ეს მოგცემს საღად აზროვნების საშუალებას.
 70. თუ შეიცანობ საკუთარ სიღრმეებს, შენ შეძლებ სხვების სიღრმეებში წვდომას.
 71. როცა თავისუფლდების იმისგან, რაც შენ ხარ, ხდები ის ვინც. შეგიძლია იყო.

72. როცა თავისფლდები იმისგან, რაც გაქვს, მიიღებ იმას რაც ყველაზე მეტად გჭირდება.
73. როცა საკუთარ თავში განადგურებას შეიგრძნობ, იცოდე: შენ ზრდის ახალი დონის ზღურბლთან დგებარ.
74. არაფერის ნდომით, ბევრს მიიღებ.
75. მიატოვე შთაგონების მცდელობები და ბუნებრივად შთამაგონებელი გახდი.
76. იყავი არსებობაში და არა მყოფადობაში.
77. დაიმახსოვრე სიბრძნე: გაეცი, რათა მიიღო.
78. იცოდე: უკიდურესი მცდელობები იძლევა უკუშედეგს.
79. როცა ქმნი, საკუთარ თავს კითხე: როგორი უნდა ვიყო მე ამისთვის? გასრულყოფილდი!
80. ის ვინც არსებობაშია, მას არაფრის კეთება არ უწევს, ყველაფერი თავისთავად კეთდება. მდუმარება.
81. იცოდე, სად დგებარ და იცოდე რისთვის დგებარ. ეს შენი საფუძველია.
82. არა თავდაცვა და არა თავდასხმა: დაე შენი შეხება სამყაროსთან იყოს მსუბუქი.
83. გააცანი შენს თავს შენი მიზანი, რათა მას ამაოების გარეშე მიაღწიო.
84. შენ — პროცესის ნაწილაკი ხარ. ბუნებრივი პროცესები ძლიერი და ყოვლისშემძლეა, მათში ჰარმონია სუფევს.
85. როცა ქმედებაში არ ხარ დაუსვი შენს თავს კითხვა: რა ხდება, როცა არაფერი არ ხდება?
86. არ არის განსხვავება «რა ხდება»-სა და «ეს როგორ ხდება»-ს შორის.
87. ისწავლე მორჩილება, რათა შემდეგ შეძლო სხვებს გაუძღვე.
88. შენი გავლენა იწყება შენი თავიდან და შემდეგ ვრცელდება, როგორც ტალღები წყალზე.
89. იყავი ნეიტრალური.
90. მიიღე ის რაც ხდება, ამით შენ შეინარჩუნებ ძალას.
91. ძალაუფლების ფორმულა: დაანაწევრე დიდი პატარა ნაწილებად ძალისხმევის გარეშე. თუ გინდა მართო ბევრი, წარმოიდგინე რომ მართავ ცოტას, დაინახე ერთ დიდში პატარა ნაწილები. ერთნაირი ადამინების მართვა უფრო ადვილია, ვიდრე სხვადასხვანაირის. ადამინებს რომელთაც ერთი მიზანი აქვს უფრო ადვილად მართავ, ვიდრე მათ ვისაც არააქვს ერთი მიზანი. ეფექტური მმართველობისთვის აუცილებელია ადამინები გახადო ერთნაირები, მაგრამ ისინი რომ ერთნაირები გახადო აუცილებელია თავიდან მათში ინდივიდები დაინახო.
92. იყავი მასპინძელი და არა სტუმარი. მასპინძელი — ის არის ვისთანაც მიდიან,ის ვისაც თხოვენ და ის ვინც რთავს ნებას ან არ რთავს ნებას. სტუმარი — ეს ის არის ვინც ითხოვს, ვინც მოდის. თუ შეხვედრა გარდაუვალია, მაშინ შეეცადე დანიშნო ის შენს ტერიტორიაზე, დაე შენ

- იყო მასპინძელი. მაგრამ თუ გარდაუვლად შენ ხარ სტუმარი, გაცველე პოზიციები, რადგან იყო მასპინძელი ეს შინაგანი მდგომარეობაა.
93. მოკამათე-ყოველთვის მთხოვნელია, ყოველთვის «სტუმარი». გაუცნობიერებლად ის ყოველთვის ითხოვს, რომ მის არგუმენტებს ინტერესით მოეპყროთ, ამიტომაც არის სტუმარი.
 94. თავი აარიდე კამათს და ნუ მისცემ უფლებას მოწინააღმდეგეს ჩაგითრიოს მასში. არ გახდე სისულელის თანამომაწილე.
 95. ვინც იწყებს კამათს, ის ავლენს სისუსტეს, როგორც მალული მთხოვნელი.
 96. იფიქრე ძალაზე, რომელიც შენს უკან დგას, და ის ნამდვილ დადგება შენს უკან.
 97. დარჩი მშვიდი ნებისმიერი შეტობინების შემდეგ, არ დაემსგავსო მეფეს, რომელმაც შიკრიკი ცუდი ამბის გამო ჩამოახრჩო. სიმშვიდე — ძალაა, რომელსაც მთელი სამყარო ემორჩილება.
 98. ისწავლე გაარჩიო შეუქცევადი და შექცევადი — და შენ ისწავლი დროის მართვას.
 99. ისწავლე მიუწვდომელში არსებობა და შენი მასწავლებელი წყვიადიც კი გახდება, რომელშიც არაფერი ჩანს. ისწავლე ყველაფრის დაშვება.
 100. არ ეძებო მასწავლებელი, ის გვერდითაა. შენი გზა — შენი მასწავლებელია, შეიგრძენი ის.
 101. გაარჩიე მყარი და ცარიელი, გაარჩიე საყრდენი და არასაიმედო. განაცალკავე მყარი სიცარიელისგან შენს შიგნით.
 102. ისწრაფე შეიგრძნო შენი გზა.
 103. თუ შენ გააცნობიერე შენი გზა, მაშინ წარმატებაც და წარუმატებლობაც ერთნაირად წაგწევენ წინ.
 104. შენ არ შეგიძლია გაარჩიო წარმატება წარუმატებლობისგან, მანამ სანამ არ იცხოვრებ «ხვალამდე».
 105. შეცნობა ცოდნაზე მაღლა დგას.
 106. იყავი აკურატული: ყოველი ჩვენგანი მართავს გარესამყაროს. ვიღაც ამას ცუდად აკეთებს, ვიღაც კარგად.
 107. შენ თუ გთხოვენ, მაგრამ საპასუხო ნაბიჯის გადმოდგმა არ უნდათ, იცოდე, შენ მხოლოდ გთავაზობენ ამის გაკეთებას.
 108. არ ითხოვო. არ იწუწუნო, არ გეშინდეს.

ზოგიერთ ლიტერატურაში დამატებულია 4 კანონი და ჯამში გამოდის 112 კანონი:

109. შენი მომავალი და შენი წარსულიც იქმნება ახლა.
110. ღმერთი ყოველთვის აქ და ახლაა.
111. ისწავლე «არა»-ს თქმა.
112. არსებული კანონები შეიძლება დაირღვეს მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში, როცა სამყარო მგვცემს მინიშნებას.




* * *

ეზოთერულ ლიტერატურაში ასევე ფართო არის გავრცელებული და გამოიყენება კანონები, რომლებიც იყოფა 9 ჯგუფად და რომელშიც გაერთიანებულია 12-12 კანონი შემდეგი სქემით:

1. მენტალიზმის კანონი;
2. ანალოგიის კანონი;
3. ვიბრაციის კანონი;
4. ურთიერთწინააღმდეგობის კანონი;
5. ციკლურობის და რითმულობის კანონი;
6. მიზეზის და შედეგის კანონი;
7. ოქროს კვეთის კანონი;
8. თავისუფალი ნების კანონი;
9. ღვთიური სიყვარულის კანონი.

ამაზე დაწვრილებით ცოტა მოგვიანებით მოვამზადებ სტატიას.

შამანთა კოდექსი¹



შამანიზმი წარმოადგენს ექსტაზის ერთ-ერთ არქაულ ტექნიკას. შამანი მაგიც არის და ექიმბაშიც. იგი მკურნალობს როგორც ექიმბაში და, ამავდროულად, ფაკირისეულ სასწაულებსაც უჩვენებს. შამანი ზებუნებრივ ძალებთან ურთიერთობის უნარის დემონსტრირებასაც ახდენს — «ათვინიერებს» სტიქიებს, წარმართავს მსხვერპლშეწირვას, მიცვალებულთა სულები «გადაჰყავს» სხვა სამყაროში და ა. შ.

¹ მოამზადა: Nina Ge.



შამანიზმის ტერმინში ერთიანდება სხვადასხვა რელიგიური რწმენა, რომელშიც ცენტრალურ ადგილს შამანის ფიგურა იკავებს. შამანიზმი, ვიწრო გაგებით, არის მოვლენა, რომელიც ამჟამად გავრცელებულია ციმბირსა და ცენტრალურ აზიაში. ტერმინიც ტუნგუსური «შამან»-იდან მოდის, რაც ქართულად სასწაულმოქმედს ნიშნავს და რომელიც ყველა სხვა ენაში რუსულიდან გავრცელდა. როგორც მირჩა ელიადე წერს, «შამანი არის ტრანსისსპეციალისტი, რომლის დროსაც მისი სული, როგორც ითვლება, ტოვებს სხეულს იმისთვის, რომ ავიდეს ზეცად ან ჩაემვას ჯოჯოხეთში».

ეს ძალიან მოკლედ. აქვე მინდა წარმოგიდგინოთ «შამანთა კოდექსი», რომელის დაცვაც ყველა შამანს უწევს:

1. არ განსაჯო არაფერი მისი გარეგნული ფორმის მიხედვით — ჩაწვდი მის არსს.
2. არ შეპირდე ის, რასაც ვერ შეასრულებ — იცოდე შენი შესაძლებლობები.
3. თავიდანვე არ აიღო იარაღი ხელში — მოაგვარე უთანხმოება მშვიდობიანი გზით.
4. სხვებს ნუ მოსთხოვ პასუხიმგებლობას შენს შეცდომებზე — გამოასწორე ისინი თავად.
5. არ მიჰყვე სხვების ქმედებებს, თუ ფიქრობ რომ ეს ქმედებები არასწორია — იყავი ის რაც ხარ.
6. არ ასწავლო სხვებს ის, რაც შენ თვითონ არ გესმის ბოლომდე — დაიმორჩილე შენი სიამაყე.
7. არ აიღო ის რაც არ გჭრდება — იცხოვრე მხოლოდ მოთხოვნილებების შესაბამისად.
8. არ გააკეთო საქმე სხვის მაგივრად — პასუხი აგე მხოლოდ საკუთარი თავის გამო.
9. არავის მოახვიო თავს საკუთარი აზრი — გახსოვდეს ყველას აქვს არჩევანის თავისუფლება.
10. თავში არ შეუშვა ცუდი აზრები — იფიქრე კარგზე, რათა განთავისუფლდე ცუდისგან. ხოლო შემდეგ მოიშორე ერთიც და მათრეც.
11. არ ელოდო შექებას კეთილი საქმისთვის — გააკეთე ის უანგაროდ.
12. არ იდარდო იმაზე, რაც არასოდეს ყოფილა — იყავი გულწრფელი საკუთარ თავთან.
13. არ ეძებო თავის გასამართლებელი გზები — მოძებნე პრობლემების მოგვარების გზა.
14. არასდროს იმოქმედო ნაჩქარევად — გაიაზრე ყოველი შენი ქმედება მის ჩადენამდე.
15. არ ჩაერიო სხვის საქმეში — მიხედე საკუთარ ცხოვრებას.
16. არ დაანახო კეთილგანწყობა ადამიანს, თუ სინამდვილეში ეს ასე არ არის — ისწავლე «არა»-ს თქმა.

17. არ ავნო ბუნებას . გახსოვდეს, რომ დედამიწა — ეს დედაა.
18. არ აიღო არაფერი ვალად. შენი შესაძლებლობები უნდა ემთხვეოდეს შენს სურვილებს.
19. არ გააჩინო შვილები, თუ ვერ შეძლებ მათ აღზრდას. გაზომე შენი შესაძლებლობები...
20. შენი საქმე არასდროს შეასრულო ზერელედ — იყავი კეთილსინდისიერი.
21. არ მოედო ბევრ საქმე ერთად — იპოვე პრიორიტეტები თანმიმდევრობით.
22. არ იფიქრო წარსულზე სინანულით — იცხოვრე აწმყოთი, და უყურე მომვალს.
23. არ შეცვალო სიყვარული სინანულით — მოიშრე შეცოდება თუ სიყვარული უკვე წავიდა.
24. არ შეეხო სხვის სიკეთეს — თუ დაკარგე სხვისი ნივთი, გაეცი შენი სამი ნივთი.
25. არასდროს თქვა ტყუილი — იცოდე, ყველაზე მეტი უძლურება სიცრუეშია.
26. არ განსაჯო სხვები. — იყავი მშვიდი შენს გრძნობებში.
27. არავის დააძალო პასუხის გაცემა. — ისე იკითხე, რომ არ შეეხო სხვის პირად ცხოვრებას.
28. არასდროს უღალოტო მას, ვისაც შენი ჯერა. — გქონდეს პასუხისმგებლობის გრძნობა.
29. არ დაამცირო სხვები, მხოლოდ იმიტომ რომ შენ აღზევდე. — გახსოვდეს, ეს შენი სისუსტეა.
30. არ შეგეშინდეს დამარცხების. — იარე წინ დასახული მიზნისკენ.
31. არ იწუწუნო სხვებთან შენი ცხოვრების გამო — შეცვალე ის უკეთესობისკენ.
32. ნუ შეეცდები აუხსნა ადამიანს ის, რაც მისთვის გაუგებარია — იყავი უბრალო.
33. არ შეგშურდეს — წარმატებას თავად მიაღწიე.
34. არ შეხედე ადამიანებს ზემოდან — მიეცი მათ საშუალება გახდნენ უკეთესები.
35. არ იმსჯელო რაღაც დიდზე, თუ მცირე არ გაქვს შეცნობილი — გაიარე შენი გზა ნაბიჯ-ნაბიჯ.
36. არ გაუკეთო არავის ის, რასაც შენს თავს არ უსურვებდი — გახსოვდეს, ყველაფერი ურთიერთკავშირშია.

მამუკა გურული

ცხოვრების მთავარი საიდუმლო¹



სათაურის წაკითხვისთანავე, ალბათ გაგიჩნდებათ კითხვა: რა შეიძლება იყოს ცხოვრების მთავარი საიდუმლო? და თუ ეს საიდუმლოა, როგორ შემიძლია შევიცნო ის?

ჩვენ — თანამედროვე ცივილიზაციის ადამიანები, მიჩვეულნი ვართ, რომ ყველაფერი გავართულოთ, გავზომოთ, დავშალოთ, მერე ისევ ავაწყოთ. როგორც პატარა ბავშვებს, სათამაშოს არსის გაგების საუკეთესო საშუალებად მისი დაშლა მიგვაჩნია. და ეს ბავშვების ბუნებრივ თვისებადაც კი ჩავთვალეთ. იქნებ ბავშვები სწორედ იმიტომ შლიან და ამტკრევენ, რომ მათ რთულ კონსტრუქციებს ვაწვდიდით? იქნებ, რაც უფრო ბუნებრივია «სათამაშო», მით უფრო ნაკლებად მოუნდეს ბავშვს მისი დაშლა?

პირველად მიზეზებამდე ჩაღრმავება შორს წაგვიყვანს, მაგრამ ფაქტი ერთია: კაცობრიობა და განსაკუთრებით მისი ინტელექტუალური ნაწილი შემოღობილი, გაორებული, გასამეხობი და გას-ავ-ათებულია. არსებობს უამრავი «-სოფია» და «-იზმი», რომლის შედეგადაც ვღებულობთ უამრავ «-ფობიას» და «-ფრენიას». ყველა

¹ ჟურნალი «ასტრო News» № 4.



რელიგიას, სექტას, მოძღვრებას და ფილოსოფიურ სისტემას პრეტენზია აქვს, რომ ღაღადებს უმაღლეს ჭეშმარიტებას. ერთი მხრივ, ყველა ამბობს, რომ ჭეშმარიტება მარტივია, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, გვთავაზობენ ურთულეს კონცეფციებს, თეორიებს და მეთოდებს ამ სიმარტივემდე მისასვლელად.


ბავშვობიდან თავში გვიტენიან ამ «მართალ» ან «ნახევრადმართალ» კონცეფციებს, გვასწავლიან ლოგიკური და «რაციონალური» აზროვნებით ცხოვრებას. შედეგად კი სათამაშოებივით ვამტვრევთ და ვშლით იმ მთავარ მოვლენებს, როგორცაა «სიცოცხლე», «სიყვარული», «ღმერთი» და თავად «არსებობა». კონცეფციებით ვცხოვრობთ, კონცეფციებს თავში ვურტყამთ ერთმანეთს, კონცეფციების გამო ვომობთ. თითქმის ყველანი გულწრფელები ვართ, ყველანი მართალს ვადიდებთ. ტყუილს და უხამსობასაც კი ხშირად მაღალი და მართალი იდეალების გამო ჩავდივართ. შევქმენით მრავალი მტრის სახე: «სატანა», «ანტიქრისტი», «რეპტილიები», «მასონები» და ა.შ. გარკვეული ნეგატიური ძალების არსებობა, რა თქმა უნდა, ფაქტია, მაგრამ ყველაზე მთავარი «მტერი» ჩვენივე ჭკუაა — უამრავი ურთიერთგამომრიცხავი პროგრამითა და კონცეფციით გადატენილი. რა თქმა უნდა, ჩემს მიერ შემოთავაზებული თეორიაც მორიგი კონცეფციაა, ამიტომ ბრმად არ უნდა მიიღოთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი ერთ-ერთ იმ თეორიას განეკუთვნება, რომელიც ცდილობს ადამიანი ბუნებასთან და შესაბამისად ჭეშმარიტებასთან დაახლოვოს.

ამ სამყაროში ზედმეტი არაფერია. ყველა საგანს თავისი ფუნქცია და ყველა მოვლენას თავისი მიზეზი აქვს. ქაოსი და არეულობა გამოწვეულია არა რომელიმე კონკრეტული ძალის გამო, არამედ ძალთა არასწორი გადანაწილებით, არასწორი იერარქიით. და სად შეიძლება ვნახოთ ძალთა ჰარმონიული განაწილების მოდელი? პირველ რიგში, მხოლოდ ბუნებაში! არა წიგნებში, არა თეორიებში და არა კონცეფციებში (მათ შორის ჩემს მიერ შემოთავაზებულში), არამედ პირველ რიგში ბუნებაში!

დავუბრუნდეთ ჩვენს კითხვას: «რა არის ცხოვრების მთავარი საიდუმლო?» და მოვძებნოთ ამ კითხვაზე პასუხი ბუნების ისეთ თვალსაჩინო მოდელში, როგორცაა მზის სისტემა.

მზის სისტემა შეგვიძლია პირობითად დავყოთ ორ ნაწილად: სისტემის ცენტრი და მისი «თანამგზავრები». ამ შემთხვევაში ცენტრი მზეა, ხოლო «თანამგზავრები» — პლანეტები (და შესაბამისად მათი თანამგზავრებიც). ჩამოვთვალოთ ის მთავარი თვისებები, რაც განასხვავებს მზეს (ცენტრს) თავისი თანამგზავრებისგან (პერიფერიისგან):

- 1) ამ სისტემაში მზე ყველაზე «მარადიულია» (ყველაზე ხანგრძლივად არსებობს).
- 2) მზე ყველაზე ძლიერია, მასში ყველაზე მეტი ძალაა კონცენტრირებული.
- 3) მზე ყველაზე უძრავი, სტაბილური და მუდმივია, ამავე დროს ყველაზე ცხელი, აქტიური და შორს გავრცელებადი ძალაა ამ სისტემაში.



- 4) მზე (ცენტრი) ერთია, თანამგზავრები კი ბევრი არიან.
- 5) ენეგის მთავარი წყარო მზეა, თანამგზავრები კი ამ ენერჯის მიმღებნი არიან; შესაბამისად, მზეს ყველაზე მეტი (მთავარი) პასუხისმგებლობა აქვს ამ სისტემის არსებობაში და შენარჩუნებაში, თანამგზავრებს კი ნაკლები.
- 6) მზე თავისი ბუნებით მამაკაცური საწყისის განსახიერებაა, აქტიურია, ხოლო თანამგზავრები ქალურ, პასიურ საწყისს განასახიერებენ და მზის გარშემო ტრიალებენ.
- 7) მზეს შეუძლია იარსებოს თანამგზავრების გარეშე, ხოლო თანამგზავრებს არ შეუძლიათ მზის გარეშე არსებობა. თანამგზავრები დამხმარეების ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ მზეს მათი «დახმარების» გარეშეც შეუძლია არსებობა. თუ მოვაცილებთ ყველა თანამგზავრს, მზე მაინც დარჩება, მაგრამ თუ აღარ იქნება მზე, სისტემა დაიშლება და თანამგზავრები სხვა ფორმებში გარდა-იცვლებიან.

თითოეული თანამგზავრი (პლანეტა), თავის მხრივ, მზეს (ცენტრს) წარმოადგენს თავის სისტემაში. მაგალითად, დედამიწის ცენტრი ცხელი და გავარვარებული მზეა თავისი პერიფერიისთვის, თუნდაც ჩვენი ცივილიზაციისთვის თავისი მეგაპოლისებით ან გამწვანებული სოფლებით. შესაბამისად, თავად მზეც თავისი ცენტრის გარშემო მოძრაობს (და ეს თანამედროვე გამოკვლევებმაც დაადასტურა)... და ასე გრძელდება უსასრულობამდე, ყველაზე მთავარ ცენტრამდე, მთავარ მზემდე, რომელსაც ხშირად ღმერთს ვუწოდებთ.

როგორც ვხედავთ, ბუნებაში არ არსებობს დემოკრატია. თანამგზავრები არ ირჩევენ მზეს კენჭისყრით. მზე თავისთავადაა ყველაზე ძლიერი და საუკეთესო მმართველი ძალა ამ სისტემაში და ისინი ბუნებრივად განლაგდებიან მის გარშემო, მორჩილებენ მის კანონებს და არ უყენებენ პრეტენზიებს და ულტიმატუმებს.

მოვიყვან ჰერმეს ტრისმეგისტრის ციტატას: «ის რაც არის ქვევით, ჰგავს მას, რაც არის ზევით; და ის, რაც არის ზევით, ჰგავს მას, რაც არის ქვევით». შესაბამისად ის, რაც არის მაკროკოსმოსში (ადამიანის გარეთ), ანალოგიურია იმისა, რაც არის მიკროკოსმოსში (ადამიანის შიგნით). ამიტომ იმისათვის, რომ მარტივად და ბუნებრივად მივუახლოვდეთ ცხოვრების მთავარ საიდუმლოს, აღარ წავიდეთ შორს და განვიხილოთ ის ბუნებრივი, ჰარმონიული და დღეისათვის «ძალით დამახინჯებული» მიკროსისტემა, რომელსაც ეწოდება ადამიანი.

წინა ნომერში ჩვენ ვისაუბრეთ მზის სისტემაზე, როგორც ბუნებრივი და ჰარმონიული მოდელის მაგალითზე. გავიმეოროთ ის მთავარი თვისებები, რაც განასხვავებს მზეს მისი თანამგზავრებისგან (პერიფერიისგან):

- 1) ამ სისტემაში მზე ყველაზე «მარადიულია» (ყველაზე ხანგრძლივად არსებობს).
- 2) მზე ყველაზე ძლიერია, მასში ყველაზე მეტი ძალაა კონცენტრირებული.

- 3) მზე ყველაზე უძრავი, სტაბილური და მუდმივია, ამავე დროს ყველაზე ცხელი, აქტიური და შორსგავრცელებადი ძალაა ამ სისტემაში.
- 4) მზე (ცენტრი) ერთია, თანამგზავრები კი ბევრნი არიან.
- 5) ენერჯის მთავარი წყარო მზეა, თანამგზავრები კი ამ ენერჯის მიმღებნი არიან. შესაბამისად მზეს ყველაზე მეტი (მთავარი) პასუხისმგებლობა აქვს ამ სისტემის არსებობაში და შენარჩუნებაში, თანამგზავრებს კი ნაკლები.
- 6) მზე თავისი ბუნებით მამაკაცური საწყისის განსახიერებაა, აქტიურია, ხოლო თანამგზავრები ქალურ, პასიურ საწყისს განსახიერებენ და მზის გარშემო ტრიალებენ.
- 7) მზეს შეუძლია იარსებოს თანამგზავრების გარეშე, ხოლო თანამგზავრებს არ შეუძლიათ მზის გარეშე არსებობა. თანამგზავრები დამხმარეების ფუნქციას ასრულებენ, მაგრამ მზეს მათი «დახმარების» გარეშეც შეუძლია არსებობა. თუ მოვაცილებთ ყველა თანამგზავრს, მზე მაინც დარჩება, მაგრამ თუ აღარ იქნება მზე, სისტემა დაიშლება და თანამგზავრები სხვა ფორმებში გარდა-იცვლებიან.

ამჯერად კი გადავიდეთ ადამიანზე, როგორც მიკროკოსმოსზე, რადგანაც თუ შევიცნობთ საკუთარ თავს, შევიცნობთ კოსმოსსაც. და რაც მთავარია შევეცადოთ ზედმეტი ცნებებისა და პირობითობების გარეშე ვეცადოთ საკუთარი თავის შეცნობას.

რა წარმოადგენს მზეს ადამიანში? რა არის იმ თვისებების მატარებელი, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ? რა თქმა უნდა პირველი, რაც თავში მოგვდის ესაა სიტყვა — სული. ჩვენ ხომ ვიცით, რომ ის მარადიულია, უკვდავია, თვითკმარია და ა.შ. მაგრამ ეს ცოდნა სულის შესახებ გონებაში გვაქვს როგორც ინფორმაცია, თეორია, კონცეფცია, პრაქტიკულად კი თითქმის არაფერი ვიცით მის შესახებ. ამიტომ შევეცადოთ შეგრძნებების, განცდის და გამოცდილების დონეზე მივუდგეთ ამ საკითხს. დავიწყოთ მოგზაურობა მიკროკოსმოსში — ჩვენში არსებული მზისკენ.


თუ უხემ ფიზიკურ დონეზე შევხედავთ, ვნახავთ, რომ ცენტრალური სტრუქტურა ადამიანის სხეულში ჩონჩხია (კერძოდ ხერხემალი და თავის ქალა), კიდევ უფრო ცენტრალური კი ტვინი (ზურგის ტვინი და თავის ტვინი). მაგრამ ფაქტია, რომ ძვალის და ტვინის შეიძლება ადილად დაზიანდეს. შესაბამისად მას მხოლოდ პერიფერიულ ორგანოებთან (კუნთებთან, კანთან და ა.შ.) შედარებით შეგვიძლია დავარქვათ ცენტრალური, ხოლო თუ უფრო სიღრმეში შევალთ, გაცილებით უფრო ნატიფი, მუდმივი, სტაბილური და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი «სტრუქტურა» სუნთქვაა. უბრალო ჩასუნთქვა და ამოსუნთქვა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე არ წყდება. სუნთქვა უკვე უფრო მეტად უახლოვდება მზის თვისებებს, რადგანაც შეიძლება არ გვქონდეს ფეხი, ხელი, ან სხვა რომელიმე ნაკლებად მნიშვნელოვანი ორგანო, მაგრამ სუნთქვის გარეშე მთელი სხეული გაჩერდება (მოკვდება).

სწორედ სუნთქვის მზის თვისებებთან სიახლოვის გამო იყენებს მას მრავალი აღმოსავლური თუ დასავლური, სულიერი თუ გამაჯანსაღებელი სისტემა, რადგანაც სუნთქვაზე კონცენტრაციით, მასზე დაკვირვებით და «მასში ყოფნით» ჩვენი ფსიქიკა უფრო ახლოს მიდის იმასთან, რასაც «სულს» ვუწოდებთ და რაც მზის თვისებების ნამდვილი მატარებელია. სუნთქვითი ვარჯიშები, ან უბრალოდ მასზე რეგულარული და ხანგრძლივი დაკვირვება იწვევს ფსიქიკის «ცენტრირებას» და ადამიანი ხდება უფრო მშვიდი, გაწონასწორებული, ძლიერი, ენერგიით სავსე და შესაბამისად ჯანმრთელიც.

მაგრამ მარადიული ხომ არც სუნთქვაა... ისიც შედგება ორი პოლუსისგან: ჩასუნთქვა-ამოსუნთქვისგან და მათ შორის პაუზებისგან, ისიც ცვალებადია, ოდესღაც დაიწყო და ოდესღაც გაჩერდება. შესაბამისად ის ვერ იქნება აბსოლუტური ცენტრი ადამიანში, რომელსაც შეგვიძლია დავეყრდნოთ. შესაბამისად უნდა წავიდეთ უფრო მეტ სიღრმეში, უფრო ნატიფისკენ...



მანამდე კი განვიხილოთ ადამიანის აგებულება. ადამიანი შედგება ვერტიკალური და ჰორიზონტალური ნაკადებისგან. ვერტიკალური ნაკადი იყოფა სამ ნაწილად: თავის, გულმკერდის და მუცლის ნაწილები, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილია შევიწროებებით — ყელით და მენჯის ზემოთა შევიწროებით. კორპუსისგან კი ჰორიზონტალურად გამოდიან ზედა და ქვედა



კიდურები (მიუხედავად ვერტიკალური მდგომარეობისა, ქვედა კიდურები ჰორიზონტალურად გამოდიან მენჯის ძვლიდან და შემდეგ იხრებიან ქვემოთ). შესაბამისად ვლელულობთ სამ მთავარ ცენტრს:

ზედა — თავი და მასზე განლაგებული ორგანოები

(თვალეები, ცხვირი, ყურები და პირი);

შუა — გულმკერდის მიდამო და ხელები;

ქვედა — მუცლის მიდამო, ფეხები და სასქესო ორგანოები.

ზედა ცენტრთან ძირითადად დაკავშირებულია აზროვნება (ნატივი მენტალური სფერო), შუა ცენტრთან — შეგრძნებები და ემოციები, ხოლო ქვედა ცენტრთან ისეთი «მიწიერი» მოთხოვნილებები, როგორცაა კვება, გამოყოფა, თავდაცვა და გამრავლება.

თანამედროვე ადამიანში ჰარმონიის დარღვევა სწორედ იმასთანაა დაკავშირებული, რომ ეს სამი ცენტრი შეთანხმებულად არ ფუნქციონირებს. გონება ერთ მხარეს ექაჩება ადამიანს, ემოციები და ინტუიცია მეორე მხარეს, ხოლო «ცხოველური» მოთხოვნილებები სულ სხვა მხარეს. შესაბამისად უნდა მოინახოს ის ცენტრი, ის ერთიანი მმართველი, რომელიც ყველა ამ ფუნქციას ერთ მიზანს დაუქვემდებარებს. და სწორედ ეს მმართველია ის შინაგანი მზე, რომელსაც ვეძებთ, ამისთვის კი უნდა შევიდეთ უფრო ღმად, უფრო ნატიფისკენ, ვიდრე სხეულია, სუნთქვა...

სუბიექტურადაც და ობიექტურადაც ვიცით, რომ სხეულის და სუნთქვის მიღმა შეგრძნებების, ემოციების და აზრების სამყაროა. ამას ვუწოდებთ ჭკუას, გონებას, ცნობიერებას და სხვა მრავალ სახელს. სუნთქვა დამაკავშირებელი რგოლია გარეგან (ფიზიკურ) და შინაგან სამყაროებს შორის. და ისევ რომ არ გავიხლართოთ სახელწოდებების ბადეში, ვეცადოთ შეგრძნებების დონეზე ვიაროთ მზისკენ — ჩვენი ცენტრისკენ და მოვძებნოთ ის საყრდენი, რომელიც უფრო დაგვაახლოვებს მასთან.

დაუკვირდით საკუთარ ფიქრებს, საკუთარ შეგრძნებებს და ჰკითხეთ საკუთარ თავს: რომელი შეგრძნებაა თქვენში ყველაზე მყარი, ყველაზე სტაბილური, მუდმივი, მზის თვისებებთან ყველაზე მიახლოებული? სხეულის რომელ ნაწილში იგრძნობა ის? და რამდენად ხშირად აქცევთ ყურადღებას ამ შეგრძნებას? ეცადეთ უპასუხოთ ამ კითხვებს და საკუთარ თავს აღუწეროთ ეს შეგრძნება სუბიექტურად, ცოცხალი შეგრძნებების დონეზე და არა გონებაში ჩაბეჭდილი მზა კონცეფციებით.

ამ კითხვებზე პასუხს და ჩვენი შინაგანი მზისკენ მოგზაურობის გაგრძელებას შემდეგ ნომერში იხილავთ...

ვაგრძელებთ ჩვენს მოგზაურობას ცხოვრების მთავარი საიდუმლოსკენ — მზისკენ, რომელიც ჩვენი, როგორც ადამიანის მიკროკოსმოსის ცენტრია. როგორც წინა ნომერში აღვნიშნეთ, არც ფიზიკური სხეული და არც სუნთქვა არ წარმოადგენს ჩვენს ცენტრს, მაგრამ სუნთქვაზე კონცენტრაცია გვებმარება, რომ მივუახლოვდეთ ჩვენს სულს — მარადიულ, მზის თვისებების მატარებელ არსს.



ამჯერად გადავინაცვლოთ ჩვენს შინაგან სამყაროში, რომელსაც ვუწოდებთ ჭკუას, გონებას, ცნობიერებას, შეგრძნებებს, ემოციებს და ა.შ. და ვეცადოთ ვუპასუხოთ შემდეგ კითხვებს: რომელი შეგრძნებაა ჩვენში ყველაზე მყარი, ყველაზე სტაბილური, მუდმივი, მზის თვისებებთან ყველაზე მიახლოებული? სხეულის რომელ ნაწილში იგრძნობა ის? და რამდენად ხშირად ვაქცევთ ყურადღებას ამ შეგრძნებას?

დაკვირვებელი ადამიანი ადვილად დაინახავს, რომ ცნობიერების ველში მუდმივად ხდება ცვლილებები. აზრები მოდიან და მიდიან, განწყობა იცვლება, ემოციები — როგორი ძლიერი და ხანგრძლივიც არ უნდა იყვნენ, მაინც იცვლებიან და როგორც წესი, გადადიან თავიანთ საპირისპირო მხარეში: სიცილს ცვლის ტირილი, მწუხარებას — სიხარული, სიყვარულს (მიჯაჭვულობას) — სიძულვილი, დაცულობის და ძალის შეგრძნებას — უმწეობის და სისუსტის შეგრძნება, შიშს — უშიშარობა და ა.შ. ეს ემოციები ქანქარასავით მოძრაობენ ერთი პოლუსიდან მეორისკენ და რაც უფრო ძლიერია მათი ერთი მხარე, მაგალითად ტირილი, მით უფრო ძლიერია მისი მეორე პოლუსიც — სიცილი. მხოლოდ მათ, ვინც ამ დუალობებზე მალა დადგა, შეუძლიათ აკონტროლონ ეს შეგრძნებები და შეინარჩუნონ მათი სასურველი მხარე, ადამიანთა უმეტესი ნაწილი კი გამუდმებით ამ პოლუსებს შორის მოძრაობს.

ყველაზე მყარი, სტაბილური და მარადიული — შესაბამისად მზის თვისებებთან ყველაზე მეტად მიახლოებული შეგრძნება ჩვენში, ეს არის შეგრძნება — «მე ვარ». სიხარული მოდის და მიდის... მე ვარ... დარდი მოდის და მიდის... მე ვარ... ტკივილი მოდის და მიდის... მე მაინც ვარ... ღრმა ძილია ერთადერთი მდგომარეობა, როდესაც ეს შეგრძნებაც იკარგება, შესაბამისად «მე ვარ» შეგრძნებაც არ არის აბსოლუტური ცენტრი, ანუ მზე, მაგრამ სხვა შეგრძნებებისგან განსხვავებით და მითუმეტეს ფხიზელ (ან სიზმრის) მდგომარეობაში ეს ყველაზე კარგი საყრდენია მზესთან მიახლოებისთვის. უფრო საიმედო და მუდმივი, ვიდრე სუნთქვა ან ცვალებადი შეგრძნებები... სხეულში შეგრძნება «მე ვარ» უკავშირდება მკერდის მიდამოს, მის სიღრმეს.

ამ სტატიაში ჩვენ არ ვცდილობთ ცხოვრების მთავარი საიდუმლოს ამოხსნას. ჩვენ ვცდილობთ მივუახლოვდეთ მას და როდესაც გვგონია, რომ მოვიხელთეთ ის, მაშინვე ხელიდან გვისხლტება. სიტყვებით გამოთქმული ყოველგვარი ჭეშმარიტება რაღაც საფეხურზე სიცრუედ იქცევა. სწორედ ასეთ სიტყვებზე, თეორიებზე და კონცეფციებზე მიჯაჭვულობამ წარმოშვა ის პრობლემები, რასაც დღეს ვხედავთ ადამიანში და მთლიანად კაცობრიობაში, ამიტომ ვეცადოთ მდუმარედ, უსიტყვოდ მივუახლოვდეთ ჩვენს ჭეშმარიტ არსს. ესაა ადგილი, საიდანაც იბადებიან იდეები, სიტყვები, ემოციები, შეგრძნებები. სწორედ წყაროს ამ სათავესთან — ჩვენს შინაგან მზესთან მისვლაა ჩვენი მიზანი.

რაც უფრო მეტად კონცენტრირებული ვხდებით შეგრძნებაზე — «მე ვარ», თანდათანობით მით უფრო ნაკლებად ვართ დამოკიდებული პერიფერიაზე: ფიზიკურ სხეულზე და მის სურვილებზე, სიცივეზე და სიცხეზე, გარემო პირობებზე, ფულზე, ნივთებზე, ტექნიკაზე, სხვა ადამიანებზე და მათ აზრზე (რას იფიქრებენ სხვები...), ცრურწმენებზე და რაც მთავარია საკუთარ «ცრუ მე»-ზე ანუ პიროვნულ მეზე, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მცდარი წარმოდგენა და მცდარი თვითიდენტიფიკაცია ჩვენს ნამდვილ არსთან დაკავშირებით.

ყველა სულიერი პრაქტიკა თავისი ნამდვილი არსით სულთან (შინაგან მზესთან) კავშირის გაძლიერებას ისახავს მიზნად. განსხვავება მხოლოდ მეთოდებსა და საფეხურებშია. ზოგიერთისთვის შეგრძნება «მე ვარ» ძლიერდება მაშინ, როდესაც მაღალი მთის მწვერვალისკენ სახიფათო და ყინულიან გზაზე მიიწევს, ზოგიერთისთვის — რინგზე, გადამწყვეტი ორთაბრძოლის დროს, ზოგისთვის — საოპერაციო მაგიდასთან, მომაკვდავი ავადმყოფის გადარჩენის მომენტში, ზოგისთვის — ბრძოლის ველზე, ტყვიების ზუზუნის და სიკვდილის მუდმივი საფრთხის თანხლებით, ზოგისთვის — ლოცვის ან მედიტაციის დროს, საკუთარ თავში ჩაღრმავების პროცესში, როდესაც პირისპირ უყურებს თვლებში საკუთარ შიშებს, მიჯაჭვულობებს, მანკიერებებს, სისუსტეებს და ე.წ. «დემონებს».

სამწუხარო რეალობაა, რომ დღეს ადამიანების უმეტესობა, საკუთარი «მე»-ს გაძლიერებას სხვების დათრგუნვის ხარჯზე ცდილობს. სხვების დაშინების, დაცინვის ან დაკნინების მომენტში უფრო შეიგრძნობს თავის «არსებობას» და «მნიშვნელოვანობას». ეს დაკავშირებულია სწორედ იმასთან, რომ დაკარგული გვაქვს საკუთარი ჭეშმარიტი არსი და «ცრუ მესთან» ვახდენთ თვითიდენტიფიკაციას. გარეთ ვეძებთ ენერჯის და ძალის იმ წყაროს, რომელიც სინამდვილეში ჩვენს შიგნითაა. იმის ნაცვლად, რომ მზესავით ვანათოთ, ვხდებით პარაზიტები და მტაცებლები. ჩვენი ქმედებების უმეტესობას ქვეცნობიერი შიშები განაპირობებენ. შიში კი იქაა, სადაც სინათლის ნაკლებობაა, სადაც მზის სხივი ვერ წვდება. შიში იწვევს შეგრძნებას, რომ თუ სხვა ადამიანის «რწმენას» არ დავანგრევ, ჩემს «რწმენას» და კონცეფციას მასზე მაღლა არ დავაყენებ, მაშინ «მე აღარ ვიქნები». აქედან ჩნდება რელიგიურ-ფილოსოფიური დაპირისპირებები.

ყველა ადამიანი თვითონ უნდა გადაწყვიტოს, რა მეთოდით იაროს საკუთარი მზისკენ და ეს მეთოდები და პრინციპები მით უფრო მეტად ემსგავსება ერთმანეთს, რაც უფრო ვუახლოვდებით მზეს. ამ სტატიის მიზანია ძალიან მოკლედ გადმოგვცეთ ბუნებრივი და შეგრძნებებზე დამყარებული გასაღები საკუთარი თავის შეცნობისკენ. პირობითად, მზისკენ მოგზაურობა შეიძლება სამ დონედ დავყოთ და ეს დონეები უკავშირდება სწორედ იმ სამ ცენტრს, რომელიც წინა ნომერში განვიხილეთ — მუცელი, გულ-მკერდი და თავი (ამ სამი დონის განვითარება უნდა მოხდეს ერთდროულად და ერთმანეთის პარალელურად და არა ცალ-ცალკე და ეტაპობრივად):



1. გააცნობიერეთ თქვენი ფიზიკური სხეული. აღმოაჩინეთ მასში ის სტრესები, დაჭიმულობები და შიშები, რომლებიც ცხოვრების განმავლობაში დაგროვდა. ცნობიერების სინათლით გაანათეთ მასში არსებული «კვანძები». გააცნობიერეთ თქვენი კვება. დაუკვირდით შეგრძნებებს, რომლებსაც კვების პროცესში იღებთ. შედეგად თქვენ მიიღებთ ჯანსაღ, მოდუნებულ, ენერგიულ და მობილიზებულ სხეულს.
2. გააცნობიერეთ თქვენი სუნთქვა, რომელიც გარდამავალი რგოლია ჭკუას, ანუ ნატიფ სხეულსა და ფიზიკურ სხეულს შორის. ეცადეთ, რომ თქვენი სუნთქვა გახდეს მშვიდი, ნელი, ღრმა და გააცნობიერებული. ეს ასევე მოგიტანთ სიმშვიდეს და დიდ ენერგიას.
3. გააცნობიერეთ თქვენი აზრები და ემოციები, მათი ცვალებადობა... ხოლო საყრდენად აიღეთ ყველაზე სტაბილური შეგრძნება თქვენში — შეგრძნება «მე ვარ» და ამ შეგრძნების სინათლით გაანათეთ თქვენი შინაგანი სამყარო. რაც შეიძლება ღრმად შეისწავლეთ იგი. გააცნობიერეთ თქვენი მიზნები და სურვილები. მონახეთ თქვენში ის «დამკვირვებელი», რომელიც ხედავს და აცნობიერებს ამ ყველაფერს და მოახდინეთ ამ «დამკვირვებლის» კონცენტრაცია შეგრძნებაზე «მე ვარ». შეინარჩუნეთ ეს შეგრძნება ყოველდღიურ ცხოვრებაში, მაშინაც, როცა სხვადასხვა საქმით ხართ დაკავებული.

თუ დაიწყებთ ამ მოგზაურობას, გზაზე აუცილებლად შეგხვდებათ არაერთი დაბრკოლება, გაურკვეველობა და კითხვა, მაგრამ მასწავლებელი, რომელიც თქვენშია, აუცილებლად გიჩვენებთ გამოსავალს. ნუ ენდობით მასწავლებლებს, რომლებიც გპირდებიან, რომ თქვენს მაგივრად გააკეთებენ ყველაფერს, თქვენ კი უბრალოდ უნდა «მიენდოთ» და «აღიაროთ» იგი. უფრო მეტად ენდეთ მასწავლებლებს, რომლებიც გასწავლიან საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღებას და რჩევებს გაძლევენ მოქმედებისთვის და რაც მთავარია თვითონ აქვთ რეალიზებული ის, რასაც გასწავლიან. არ არსებობს სულიერი განვითარება კომფორტული და სასიამოვნო გზებით, ძალისხმევის, რისკისა და სირთულეების გარეშე. რაც უფრო მეტ შეუპოვრობას, ნებისყოფას და გამბედაობას გამოიჩინთ ამ გზაზე, მით უფრო მეტად მიუახლოვდებით ცხოვრების მთავარ საიდუმლოს, და ცხოვრებაც გაცილებით უფრო საინტერესო, მისტიური და ლამაზი გახდება. ჭეშმარიტება მარტივი და უბრალოა.

გისურვებთ ბედნიერ და წარმატებულ მოგზაურობას თქვენი შინაგანი მზისკენ!

გიორგი ხუნზახიშვილი

პარალელური სამყაროები პარალელური სამყაროები¹



¹ ჟურნალი «ასტრო News» № 3, დეკემბერი 2013.



უამრავი გამოკვლევის საფუძველზე, მეცნიერები ამტკიცებენ, რომ პარალელური სამყარო რეალობაა. ის არსებობს ერთდროულად, ჩვენს სამყაროსთან ერთად. ამ რეალობას შეიძლება გააჩნდეს განსხვავებული ზომები — პატარა არეალიდან მთელ სამყარომდე. იქ მოვლენები თავისებურად ვითარდება და განსხვავდება აქ მიმდინარე მოვლენებისგან — როგორც უმნიშვნელო დეტალებით, ასევე კარდინალურად. მრავალი საუკუნის მანძილზე კაცობრიობა მშვიდობიანად არსებობს პარალელური სამყაროების მაცხოვრებლებთან ერთად, მაგრამ გარკვეულ მომენტებში საზღვრები სამყაროებს შორის ხდება გამჭვირვალე და ამის გამო ერთი მეორეში გადადის.


კაცობრიობა დიდი ხნის წინ დააფიქრა პრობლემამ პარალელური სამყაროების არსებობაზე. ასეთი სამყაროები პირველად ნახსენებია ძველი ბერძენი ფილოსოფოსების ნაშრომებში. კაცობრიობის განვითარებასთან ერთად, უფრო მეტი ინტერესი გაჩნდა ამოუხსნელი მოვლენების მიმართ. ცნობილი იტალიელი მოაზროვნე ჯორდანო ბრუნო ამბობდა, რომ ჩვენი სამყაროს გარდა არსებობს სხვა სამყაროებიც. საბოლოოდ, როგორც ვიცით, ის გახდა ინკვიზიციის მსხვერპლი, რადგან მისი წარმოდგენა სამყაროზე სრულიად განსხვავებული იმდროინდელი წარმოდგენისგან. დღეს ასეთი აზრებისთვის მეცნიერებს კოცონზე აღარ წვავენ, თუმცა მკვლევარებს ჯერ კიდევ ვერ აუხსნიათ პარალელური სამყაროს საიდუმლო.

არსებობს არაერთი თეორია, მაგალითად, აინშტაინის აზრით, ჩვენი სამყაროს გვერდით არის სხვა სამყარო, რომელიც წარმოადგენს ჩვენი სამყაროს სარკისებრ ანარეკლს.

ერთ-ერთი მოსაზრებით, გასაღები ალტერნატიული რეალობისა იმალება ე.წ. მეხუთე განზომილების არსებობაში. დროის განზომილების და სამი სივრცის გარდა არსებობს კიდევ ერთი, რომლის აღმოჩენის შემდეგ, კაცობრიობას საშუალება მიეცემა იმოგზაუროს პარალელურ სამყაროებში.

ხალხს ყველაზე მეტად ის უფრო აინტერესებს, შეიძლება თუ არა დავინახოთ ან შევხვოთ ამ ალტერნატიულ რეალობებს.

თუ ყურადღებას მივაქცევთ არსებულ ფიზიკურ კანონებს, მაშინ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ კავშირი სამყაროებს შორის შეიძლება განხორციელდეს კვანტური გვირაბის საშუალებით. ამ ჰიპოთეზის ავტორი არის ფიზიკოსი კრისტოფერ მონდრო. ის ამტკიცებს, რომ თეორიულად შესაძლებელია ერთი სამყაროდან მეორეში გადასვლა, მაგრამ ამისთვის საჭირო იქნება უზარმაზარი, კოლოსალური რაოდენობის ენერჯია, რომელიც სამყაროშიც კი არ მოიპოვებაა. ამიტომაც გამოდის, რომ ასეთი გადასვლა განუხორციელებელია.



მაგრამ არსებობს სხვა თეორიაც, რომლის თანახმად, სამყაროებს შორის გადასასვლელ ხიდს წარმოადგენს შავი ხვრელი, რომელიც ენერჯის შემწოვი მატერიაა. კოსმოლოგები ამტკიცებენ, რომ შავი ხვრელები შესაძლოა ემსახურობდნენ გზას ერთი რეალობიდან მეორეში.

ამ თეორიამ შესაძლოა ახსნას, თუ როგორ ჩნდებიან ახალი ვარსკვლავები. ასტრონომები დიდი ხნის მანძილზე ბჭობენ, თუ საიდან და როგორ წარმოიშობიან ციური სხეულები. ისე ჩანს, თითქოს მატერია იქმნება არაფრისგან. მაგრამ თუ განვიხილავთ ერთ-ერთ ვარიანტად იმას, რომ ახალი ციური სხეული წარმოიშვება, ანუ მატერიალიზდება პარალელური სამყაროდან, მაშინ შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ პარალელურ სამყაროში გადაადგილება შეუძლია ნებისმიერ სხეულს. ამასთან ერთად, მოცემული ჰიპოთეზა ეწინააღმდეგება დიდი აფეთქების თეორიას, რომელიც მიიჩნევა სამყაროს წარმოშობის საწყისად.

ავსტრალიელი პარაფსიქოლოგის ჟანა გრიმბრიარის მოსაზრებით, მსოფლიოს ანომალურ ზონებს შორის არსებობს ორმოცამდე გვირაბი, რაც წარმოადგენს გადასასვლელს პარალელურ სამყაროებში. აქედან 4 მდებარეობს ავსტრალიის ტერიტორიაზე, 7 — ამერიკაში. ყოველწლიურად ასეთ გვირაბებში ასობით ადამიანი უჩინარდება. ყველა ამ გვირაბს საერთო ის გააჩნია, რომ მათი სირღმეებიდან ისმის საშინელი კვილი და კვნესა. კალიფორნიის ნაციონალურ პარკში მდებარეობს ერთ-ერთი, ასე თუ ისე ცნობილი გამოქვაბული, სადაც შესვლა



შეიძლება, გამოსვლა კი არა. ამასთან ერთად, გაუჩინარებულების კვალიც კი არ რჩება. ასეთი ანომალიური ტერიტორიები არსებობს რუსეთის ტერიტორიაზეც, კერძოდ, ერთ-ერთი მაღარო გელენჯიკის ქვეშ. როდესაც შიგნით მკვლევარი ჩავიდა და მხოლოდ 40 მეტრი გაიარა, დაფიქსირდა დიდი რაოდენობით რადიაციული ფონი, რამაც უარი ათქმევინა გზა გაეგრძელებინა. მისი თქმით, მაღაროს დასასრული არ აქვს და იქ, სადაც არსებობს სხვა სიცოცხლე, სადაც დრო უფრო სწრაფად გადის, ვიდრე აქ. ლეგენდის თანახმად, როდესაც ამ მაღაროში ჩავიდა ახალგაზრდა ადამიანი, რომელმაც შიგნით ერთი კვირა დაჰყო და როდესაც ამოვიდა, უკვე მოხუცი და სნეული იყო.

ასეთივე სნეული და მოხუცი ამოვიდა ჭიდან ერთი პატარა ბერძნული სოფლის მკვიდრი იოანოს კოლოფიდისი, რომელმაც ჭაში სულ რაღაც ერთი საათი გაატარა. სოფელში თვლიდნენ, რომ ჭას ძირი არ გააჩნია. მისი წყალი ყოველთვის გაყინული იყო. როდესაც ჭის გაწმენდის დრო მოვიდა, ამ სამუშაოს შესრულების სურვილი გამოთქვა იოანოსმა. მან ჩაიცვა სპეციალური ჰიდროკოსტუმი და ჩაემვა ჭაში. რა ხდებოდა ამ დროის განმავლობაში უცნობია, მაგრამ როდესაც მისმა დამხმარეებმა იოანოსი ზედაპირზე ამოიყვანეს, შოკირებულები დარჩნენ — მათ წინ იდგა სრულიად მოხუცი ადამიანი გრძელი წვერით. რამდენიმე წლის შემდეგ იოანოსი გარდაიცვალა. როდესაც ექსპერტიზა ჩაუტარდა, აღმოჩნდა, რომ სიკვდილის მიზეზი იყო სიბერე...

კიდევ ერთი ასეთი ჭა კალილინგრადის რაიონში მდებარეობს. რამდენიმე წლის წინ ორმა ადგილობრივმა მაცხოვრებელმა განიზრახა ჭის ამოთხრა. დაახლოებით 10 მეტრის სიღრმეზე მოესმათ ადამიანების კივილი, რომელიც მიწისქვეშეთიდან მოდიოდა. შეშინებულმა მუშებმა სასწრაფოდ დატოვეს ჭა. ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილს გვერდს უვლის. ვარაუდობენ, რომ ნაცისტები მასობრივ დახვრეტებს სწორედ აქ აწყობდნენ.

ამ დრომდე, თეორია პარალელური სამყაროების არსებობაზე მხოლოდ და მხოლოდ ლამაზი მოდელია და საშუალება ავხსნათ ის, რაც არ ექვემდებარება ახსნას. ზოგიერთი მკვლევარის აზრთ, უფრო დახვეწილი თეორიაა სუპერ სიმი — ანუ დროისა და სივრცის შეკუმშვა. ზომების მიხედვით, კოსმოსური სიმები შეიძლება იყოს გალაქტიკაზე დიდიც კი. იმდენად თხელი, რომ ატომის ზომასაც არ აღემატებოდეს. პრაქტიკული დამტკიცება ამ თეორიამ ვერ მოიპოვა, ამიტომაც ფიზიკოსები ჯერდებიან სამყაროებზე სხვადასხვა თეორიული მოდელის შექმნით.

ამგვარად, თანამედროვე მეცნიერება ჯერჯერობით უძლურია რამე კონკრეტული თქვას, დანამდვილებით ვერცერთ თეორიას ადასტურებს და ვერც უარყოფს.

მამუკა გურული

როგორ ვისუნთქოთ სწორად?



რას ნიშნავს სწორად სუნთქვა? სწორად ვსუნთქვით მაშინ, როცა ფილტვები ჰაერით ბოლომდე ივსება, ორგანიზმი საჭირო ჟანგბადის მაქსიმუმს იღებს და მას თითოეული უჯრედი ითვისებს.

სწორედ ასე სუნთქავს ჩვილი. და ეს ბუნებრივია! მაგრამ ადამიანთა უმეტესობა ასაკთან ერთად სწორ სუნთქვას გადაეჩვია. თანამედროვე ქალაქის ვიწრო, ჩახუთულ საცხოვრებლებს და ასეთივე სამუშაო ადგილებს იქამდე მივყავართ, რომ ადამიანმა დაივიწყა ბუნებრივი სუნთქვა — სრულად და თავისუფლად. აგზნება, განცდები, ვნებათა გამუდმებული აფეთქებები ფარავენ ჩვენს სასუნთქ გზებს და არ გვაძლევენ სწორად სუნთქვის საშუალებას. ადამიანი ისე უხეშად, ზედაპირულად და არასრულად სუნთქავს, რომ ეს სიცოცხლის შენარჩუნებას ძლივს ყოფნის, მაგრამ არ არის საკმარისი იმისთვის, რომ იყოს ჯანმრთელი, თავისუფალი და ბედნიერი.

ამის გამოსწორება ადვილად შეიძლება თუ გააცნობიერებთ, რომ მხოლოდ საკუთარ სუნთქვაზე გაცნობიერებული კონტროლი მოგცემთ ხანგრძლივი და ჯანმრთელი ცხოვრების გარანტიას.

პირველი, რაც სუნთქვას არასწორსა და არასაკმარისს ხდის, ისაა, რომ ფილტვები მთელი ძალით არ მუშაობენ და წუთში შესაძლებელზე 16-ჯერ ნაკლებ ჟანგბადს იღებენ.

მეორე — სუნთქვის ზედმეტი სიხშირეა. დათვალეთ თუ რამდენ ჩასუნთქვას აკეთებთ წუთში. სწორი სუნთქვისას ეს რაოდენობა წუთში მხოლოდ 8-12 უნდა იყოს. მაგრამ ადამიანთა უმეტესობა, ჯანმრთელი, ფიზიკურად ძლიერი და ნავარჯიშები ადამიანებიც კი წუთში 13-დან 18 ჩასუნთქვამდე აკეთებენ. ეს კი უკვე ბევრია! რაღა უნდა ვთქვათ ავადმყოფებზე? მაგალითად, ფილტვების ანთებისას სუნთქვის სიხშირემ შეიძლება წუთში 60-70-ს მიაღწიოს.

ზედმეტად ხშირი სუნთქვა ფილტვების არასწორი მუშაობის შედეგია. ადამიანი ცდილობს ჰაერის საჭირო რაოდენობა სუნთქვის სიხშირის გაზრდის ხარჯზე მიიღოს. მაგრამ ამის შედეგად იფიტება სასუნთქი სისტემა, ჰაერის საჭირო რაოდენობას კი ორგანიზმი მაინც ვერ იღებს. გარდა ამისა, უძველესი ფილოსოფიის თანახმად, ცხოვრების განმავლობაში თითოეული ადამიანისთვის განკუთვნილია გარკვეული რაოდენობის ჩასუნთქვა. ამიტომ ის, ვინც სწრაფად და აჩქარებით სუნთქავს, ძალიან სწრაფადვე ხარჯავს მისთვის განკუთვნილ მარაგს და შედარებით ადრე კვდება. ხოლო ის, ვინც მშვიდად ცხოვრობს და ნელა სუნთქავს, ამით სუნთქვის მარაგის ეკონომიას აკეთებს და შესაბამისად დიდხანს ცოცხლობს.

მესამე, რაც სუნთქვას არასწორს ხდის, ესაა დიაფრაგმისა და გულმკერდის არასწორი მუშაობა. გამოიკვლიეთ საკუთარი თავი: ისუნთქეთ ისე, როგორც ყოველთვის სუნთქავთ. ხელისგულები დაიდეთ სხეულის სხვადასხვა ნაწილზე და შეამოწმეთ თუ რომელი ნაწილი მოძრაობს ყველაზე შესამჩნევად. იზნიქება თუ არა გულმკერდი, მხრები, მუცელი. თუ მხოლოდ მკერდი იბერება, სხეულის სხვა ნაწილები კი უძრავია. ყური უგდეთ საკუთარ თავს. ხომ არ გეჩვენებათ თითქოს ძალისხმევას მიმართავთ, რომ გულმკერდი მოძრაობაში მოიყვანოთ, თუმცა თითქმის ვერ აცნობიერებთ ამას? ხომ არ გაგიჩნდათ ჩვევა, რომ სუნთქვისას გაცნობიერებულად, ნებისყოფის ძალით უნდა გამოზნიქოთ მკერდი?

სწორად სუნთქვისას მკერდი თავისით იბერება, დამატებითი ძალისხმევის გარეშე. იბერება არც ძლიერად და მკვეთრად, არამედ ნელა და თითქმის შეუმჩნევლად. ეს ხდება დიაფრაგმის მოძრაობის წყალობით. როცა კარგად განვითარებული დიაფრაგმა მოძრაობს, სუნთქვისას მუცელი გაცილებით უფრო მკვეთრად მოძრაობს, ვიდრე მკერდი! მკერდს კი სწორედ დიაფრაგმა ამოძრავებს. ანუ, მკერდის მოძრაობა სწორად სუნთქვისას მეორადია, ხოლო დიაფრაგმისა — პირველადი. დიაფრაგმის სრულფასოვანი მოძრაობა პირველ რიგში ისაა, რაც სრულფასოვანი სუნთქვისათვის არის საჭირო.

თქვენ შეგიძლიათ მთელი ძალით და ნებისყოფით გააფართოვოთ გულ-მკერდი და მხრებიც კი ასწიოთ, მაგრამ ამით ვერ იგრძნობთ, რომ ფილტვებში მეტი ჰაერი შევიდა. პირიქით, ჰაერის უკმარისობის გრძნობაც კი გაგიჩნდებათ. მხოლოდ დიაფრაგმის მოძრაობის შედეგად შეუძლიათ ფილტვებს ბუნებრივად გაშლა და ზედმეტი ძალისხმევის გარეშე საჭირო ჰაერის შესუნთქვა.




მეოთხე, რაც სუნთქვას არასწორს ხდის არის ცხვირი, რომელიც ტუმბოსავით მუშაობს, ჰაერს იწოვს და ზედმეტად ხმაურობს. სწორი სუნთქვა ხმის გარეშე მიმდინარეობს, ჰაერი ფილტვებში თავისთავად შედის და ცხვირით მისი შეწოვა საჭირო არ არის.

ჩვენი სუნთქვა ისეა მოწყობილი, რომ თავად პროცესს ცნობიერება თითქმის ვერ აკონტროლებს. ჩვეულებრივ, ადამიანები ისე სუნთქავენ, როგორც გამოსდით და არ უფიქრდებიან ამ დროს დიაფრაგმა მოძრაობს თუ მკერდი. გაცნობიერებული ძალისხმევით სუნთქვას ვერ გავაჩერებთ. თუ გადავწყვეტთ, რომ არ ვისუნთქოთ, ტვინი არ დაემორჩილება ჩვენს განზრახვას, ორგანიზმს გაუგზავნის სიგნალს, რომ ისუნთქოს და ამიტომ ვისუნთქებთ ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ კი.

და მაინც, იმისთვის, რომ სწორად სუნთქვა ვისწავლოთ, ის ცნობიერების კონტროლს უნდა დავუქვემდებაროთ. სუნთქვაზე კონტროლის სწავლით ჩვენ ხელში ვიღებთ ასევე კონტროლს მთელი ორგანიზმის სასიცოცხლო ძალაზე და შესაბამისად მის ჯანმრთელობაზე. ხელში ვიღებთ ძალაუფლებას საკუთარ თავზე — განწყობაზე, ემოციებზე, სურვილებზე, აზრებსა და გრძნობებზე. ორგანიზმი ხდება დამჯერი. აღარ გვჭირდება ტაბლეტები და სამედიცინო პროცედურები. გვეძლევა უზარმაზარი ძალა და ეს ყველაფერი სუნთქვაზე კონტროლის წყალობით ხდება.

ნუთუ ეს შესაძლებელია? სუნთქვაზე სრული კონტროლი ძალიან ცოტა ადამიანს თუ ძალუძს. მაგალითად, იოგებს. ზოგიერთ მათგანს ადამიანის ბუნებისთვის თითქოს უჩვეულო რამ შეუძლია — შეაჩეროს სუნთქვა თავისი ნებით. ჩვენთვის კი საკმარისი იქნება სუნთქვას ისე დავეუფლოთ, რომ ჯანმრთელობა მოვიპოვოთ და შევინარჩუნოთ. ეს კი ყველასთვის არა მხოლოდ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიცაა.

კარმული დაავადებების მიზეზები¹



დაავადება ეს უკვე სიგნალია იმისა, რომ ადამიანმა შეწყვიტა სამყაროსთან ჰარმონიული დამოკიდებულება და არღვევს მის კანონებს. ქვეცნობიერი დაავადების სახით ამცნობს, რომ ჩვენ ზედმეტად მწვავედ ვრეაგირებთ ცხოვრებისეულ მოვლენებზე და არ ვართ დაკავებული ჩვენი საქმით.

ადამიანი თანდაყოლილი დაავადებებით ან პრობლემურ ოჯახში იზადება, ეს არის მისი წინა ინკარნაციის, კარმული დავალიანებების შედეგი: უნდა გაიგო, მიხვდე შენს შეცდომებს, უნდა გახდე კეთილი ადამიანების მიმართ, გამოიმუშაო დადებითი კარმა.

თუ ადამიანი დაიბადა ჯანმრთელი, მაგრამ ავად გახდა, ესეიგი დაუშვა რაღაც შეცდომა, დაარღვია ბუნების კანონი, დააგროვა უარყოფითი კარმა.

ბავშვებში გავრცელებული დაავადებები — ეს არის მშობლების აზრების და ქმედებების შედეგი. ეს არის გაფრთხილება, რომელიც ეხება მთელს ოჯახს.

ოჯახში სიტუაციის ნორმალიზებას მივყავართ ბავშვის გამოჯანმრთელებამდე. როგორც ამბობენ «ყველა დაავადება უკავშირდება ნერვებს». წყნარი, გაწონასწორებული ადამიანები, რომლებიც ოპტიმისტურად არიან განწყობილნი ცხოვრების მიმართ, იშვიათად ხდებიან ავად და დიდხანს ცხოვრობენ.

ადამიანი შემოსაზღვრულია ენერგეტიკული შრით და გაჟღენთილია ენერგიით. ის მუდამ გასცემს და უკანვე იღებს ენერგიას იმ ობიექტებისგან რაც მის გარშემოა ან რაზეც აკეთებს ყურადღების კონცენტრაციას. დადებითი გრძნობებისგან ან ემოციებისგან ენერგია დიდდება, ამაში დიდი წვლილი შეაქვს სიხარულს, სიკეთეს, რწმენას, იმედს, სიყვარულს.

¹ მოამზადა თორნიკე ბიძინაშვილმა.

ენერგია მცირდება თუ ადამიანი გაბრაზებულია, აგრესიული, უიმედო, რწმენადაკარგული, შურიანი ან ეჭვიანია, აქვს შიშები და ფობიები. ამ ენერგიაზე დამოკიდებული ადამიანის აურა, რომელიც იცავს მას გარე ნეგატივისგან. თუ აურა პატარავდება, მაშინ ჩნდება სხვადასხვა სახის დაავადებები, რომელიც შეიძლება იყოს სასიკვდილოც.

დაავადების მიზეზის გაგებით, თქვენ შეგეძლებათ მოახდინოთ პრევენცია, მთავარია გაიგოთ ამა თუ იმ დაავადების გამომწვევი ფაქტორი.

- **ალერგია** — საკუთარი შესაძლებლობების უარყოფა.
- **გრიპი** — ეს რეაქციაა, როცა სხვას ახვევ თავზე საკუთარ პოზიციას.
- **გაციება** — გაღიზიანება, უსიამოვნება.
- **სიმსუქნე** — თავდაცვა, ძირითადად ენერგიის კარგვის დროს.
- **პრობლემები კბილებთან** — დაუფიქრებლად (სულელურად) გადაწყვეტილების მიღება.
- **პრობლემები ფილტვებთან** — შიში, რომ შენი არავის ესმის და ვერავინ გიგებს, რომ დარჩები უყურადღებოდ. შინაგანი ჩაკეტილობა
- **პრობლემები კუჭთან** — შიში და შური გარშემომყოფების მიმართ, სიძუნწე.
- **პრობლემები მსხვილ ნაწლავთან** — გადამეტებული სწრაფვა სტაბილურობისკენ, ცვლილებების შიში და სურვილი იცხოვრო სირთულეების გარეშე.
- **პანკრეასი (კუჭქვეშა ჯირკვალი) ძალიან დაქრიალობა, იმუნიტეტი** — გადამეტებული ძალაუფლების სიყვარული. სურვილი, ყველაფერი იყოს შენი კონტროლის ქვეშ. წყენები და უკამყოფილება.
- **პრობლემები გულთან** — სიყვარულის გამოხატულების შიში (კომპლექსი), ემოციების დათრგუნვა, ბედნიერების აღქმის უნარის არქონა. ისწავლეთ გულის მოსმენა.
- **პრობლემა წვრილ ნაწლავთან (ხმაური ყურებში ან ტკივილი, მხედველობის დაქვეითება, ნების ძვლების, თითების ტკივილი)** — მოქმედების შიში (მოქმედებს მხოლოდ სხვისი მითითებით).
- **პრობლემა შარდის ბუშტთან (ცისტიტი, ინფექციები)** — სექსუალური ემოციების შებოჭვა, განგებ არ გამოხატვა.
- **პრობლემები თირკმელებთან (ნეფრიტი), ტკივილები ზურგის არეში, ეპილეპსია, გულყრები** — უსიამოვნების განცდა გარშემომყოფთა, გარესამყაროს მიმართ, ამის უსიამოვნო შეგრძნების თავსმოხვევა, ღია პროტესტი, სურვილი გადაკეთდეს სისტემა თავისებურად, გადამეტებული შიში აურყოფითი მოვლენების, უმოქმედობა.
- **პერიკარდიუმის მერიდიანის პრობლემები (ტკივილი მკედის არეში)** — სექსის შიში.

- **პრობლემები ნაღლის ბუმბთან (კისერი, სახე, მხედველობა)** — როცა არ შეგიძლია აპატიო საყვარელ ადამიანს ან გაუგო.
- **პრობლემები ღვიძლთან** — თუ ადამიანი დარწმუნებულია, რომ არ უნდა დაავიწყდეს სიბრაზე. სურვილი გაამართლო შენი ქმედება, «უსამართლო შეურაწყოფისთვის».
- **თვალის დაავადებები:**
 - **ჯიბლიზო** — ვინმეზე სიბრაზე.
 - **კონიუკტევიტი** — კონფლიქტისგან თავის არიდება.
 - **დალტონიზმი** — გააცნობიერე ერთობა ყველაფრის და მისი მრავალფეროვნება.
 - **კატარაქტა** — იპოვე ნათელი შენში.
 - **ახლო მხედველობა (მიოპია)** — ეკიდება წვრილმანებს. იპოვე სივრცე შენში და გააფართოვე გარესამყაროს საზღვრები.
 - **სიელმე** — იყავი სამართლიანი. ნუ ცდილობ ერთიანობის ნაწილი განაცალკეო.
 - **შორსმხედველი** — სამყაროს ხედავ როგორც ერთიანს, დეტალებს არ აქცევს ყურადღებას.
- **ყური** — არმოსმენის სურვილი, სიჯიუტე. მოუსმინე შინაგან ხმას. ისმინე და ისწავლე.
- **პირი** — ახალი შთაბეჭდილებების და იდეების აღქმა, მიღება.
- **კბილები და ღრძილები** — შიშით აგრესიის დათრგუნვა, რომ დაკარგავ სიყვარულს და აღიარებას. იყავი სამართლიანი და იყავი ის რაც ხარ. გარდაქმენი აგრესია დადებით, შემოქმედებით ძალად. ისწავლე სხვების და საკუთარი თავის სიყვარული.
- **კბილების კრაჭუნი** — უაზრო, უმოტივო აგრესია. გააცნობიერე შენი აგრესია
- **კბილზე ქვები** — პრობლემის მუგვარებლობა. გააცნობიერე და გადაწყვიტე.
- **კისერი** — შიში, გრძნობების შებოჭვა, რაღაც არასასიამოვნო, იყავი ის რაც ხარ, ნუ აიძულებ საკუთარ თავს.
- **ხველება** — განთავისუფლება რაღაცისგან (ენერგეტიკული განმუხტვა).
- **ინფარქტი** — დიდი რაოდენობით დაგროვილი სიბრაზე და მწუხარება.
- **ანემია** — სიხარულის ნაკლებობა. ენერჯის დისბალანსი, დინამიკის ნაკლებობა — ბედნიერება, ეს ძალაა და ენერჯია, მოახდინე ბედნიერების კუტივაცია.
- **ჰიპერტონია** — როცა ვერ ახერხებ პრობლემის მოგვარებას, სექსუალური ცხოვრებისგან გაქცევა. მიიღე საკუთარი თავი ისეთი როგორც ხარ, იყავი გულახდილი საკუთარ თავთან, მოიძიე ძალები შენ თავში



- **ვენების ვარიკოზული გაგანიერება** — არ გყოფნის მოქნილობა და ენერჯია. შინაგანი დაძაბულობა, გახდი შინაგანად თავისუფალი და სისხლიც თავისუფლად დაიწყებს ცირკულირებას ორგანიზმში.
- **შეშუპება** — სურვილი რაღაც შეინარჩუნო. გაუშვი და შენთან დაბრუნდება მეტი.
- **გულძმარვა** — ყლაპავ წყენას. მწუხარებას. გააცნობიერე რომ ცხოვრებაში ტყუილად არაფერი არ ხდება. თვისუფლად გამოხატე შენი სუვილები და გრძნობები.
- **გულისრევა, პირღებინება** — როცა არ გვსურს საკვების გადამუშავება. თუ ორსულ ქალს ემართება — ქვეცნობიერად თუ ცნობიერად არ სურს დედობა.
- **აპეტიტის დაკარგვა** — ახალი შთაბეჭდილებების შიში.
- **მეტეორიზმი** — სიხარბე.
- **ბუასილი** — როცა რაღაც გძლევს, გაშინებს, არ შეგიძლია ამისგან განთავისუფლდე. მიიღე ეს და გადატანე
- **დიაბეტი** — როცა არ შეგიძლია მიიღო სიყვარული, როცა გიჭირს სიყვარული სრულად შეუშვა შენში.
- **შარდის ბუშტი** — როცა არ შეგიძლია ყველაფერი დატოვო წარსულში და დაივიწყო
- **შარდის შეუკავებლობა** — როცა გეშინია, რომ რაღაც ცუდი მოხდება. შიშები.
- **იმპოტენცია** — უკავშირდება სექსუალურ წნებს, დანაშაულის შეგრძნება, სურვილი მოიქცე ჯიბრზე. სექსი არ უნდა რეგულირდებოდეს გონებით. აჩუქე საკუთარ «მეს» ნამდვილი სიყვარული
- **მკერდი** — როცა გადამეტებულია დაცვის სურვილი და ავლენ დედობრივ ზრუნვას; მიეცი საკუთარ თავს და სხვებს უფლება იყვნენ დამოუკიდებლები.
- **მენსტრუალური ციკლი** — შინაგანი პროტესტი. საკუთარი ქალურობის წინააღმდეგობა, ასევე ან სექსის ან მამაკაცის მიმართ.
- **პროსტატის დაავადებები** — არასწორი განსჯა, სიბერის შიში, სექსუალური ამბიციები, წნეხი.
- **კლიმაქსი** — შიში სიბერის წინ. იცხოვრე ჩვეულებრივად შესაბამისის მოთხოვნებით. სიცოცხლე ეს არის ზრდა და ცვლილებები.
- **მექიქი** — თვლი, რომ შენში არის რაღაც საშინელი, რაც შენი ბრალია. ყველაფერს ააქვს არსებობის უფლება. შენ იმსახურებ ღირსეულ სიყვარულს.
- **კუზი** — უნდა გახდე მშობი, თავმდაბალი. ბოლმამ და სიბრაზემ ვერ იპოვეს ენერგეტიკული გასავლი და დაგროვდნენ ზურგზე — კუზში.

- ძვლების მოტეხილობა — არ არის სულის აქტივობა, იყავი მოქნილი.
- პრობლემები ზედა კიდურებთან (ხელებთან) — როცა გემინია საქმეს მოჰკიდო ხელი
- პრობლემები მუხლებთან — არ გიყვარს დათმობა, სიამაყე, სიჯიუტე, ეგოიზმი, შიში. ისწავლე თანაგრძნობა და პატიება.
- პარალიჩი — პასუხისმგებლობის თავის არიდება, სულიერი მოუქნელობა.
- გულყრა — ძლიერი დაძაბულობა, სურვილი ძალით მიაღწიო მიზანს.
- ტკივილი კისრის არეში — სიჯიუტე.
- რევმატიზმი — სიყვარულის დეფიციტი ან არ ქონა, იმდეგაცრუებების დაგროვება.
- შაკიკი — სრულყოფილებისკენ ლტოლვა. არასრულყოფილების და დამნაშავეის კომპლექსი.
- ამნეზია — შიში, სურვილის დაივიწყოს ყველაფერი, გაიქცეს ყველასგან.
- რადიკულიტი — შიში უფულობის, წუხს მომავალზე.
- ინსულტი, პარალიჩი, პარეზი (დამბლა) — ეჭვიანობა, ზიზღი, არ აღიარებს და უკმაყოფილოა თავისი ცხოვრების და ბედის.
- ქალური დაავადებები — შედეგია მამაკაცის უარყოფის, მათგან გაქცევა. დაუკმაყოფილებლობა.
- სიმსივნე — ფრიგიდულობა. წყენა, შიში
- თამბაქოს წევა — ცხოვრების უარყოფა. არ უყვართ საკუთარი თავი.
- ალკოგოლიზმი — დაავადებული სული (შიში, წყენა, სიბრაზე, გულაცრუება) უნდა გავფანტოთ ნეგატიური აზრები და ემოციები. ეცადეთ მოძებნოთ ფსიქიური გაღიზიანების სხვა მეთოდი.

აქ ჩამოთვლილი სიმპტომები შეიძლება პირდაპირ არ ემთხვეოდეს სიმპტომებს და მიზეზებს და იყოს სხვა მიზეზის ბრალი. მაგალითად:

გულისრევა ორსულობის დროს არ ნიშნავდეს დედობის შიშს და ეს იყოს უშუალოდ კუჭის პრობლემიდან წამოსული, ამიტომ უნდა გაანალიზდეს ორივე მიზეზი და ისე გაკეთდეს დასკვნა.

მინერალური ქვების წმენდა და დამუხტვა¹



ყველა მინერალური ქვა საჭიროებს გაწმენდას.

სანამ დავიწყებთ ახალ შეძენილი ქვის ტარებას მანამდე აუცილებელია მისი ენერგო-ინფორმაციული გაწმენდა წყლის ან ცეცხლის საშუალებით. ასევე აუცილებელია იმ ქვების გაწმენდაც, რომელსაც ვატარებთ ან რომელიც გავჩუქეს. შეიძლება ქვა წინა პატრონის ენერგო-ინფორმაციულ პროგრამას ატარებს, ან უბრალოდ თქვენი ქვა დაიმუხტა თქვენზე ავადმოყოფობით, ან უსიამოვნ მოვლენებით რაც თქვენს ირგვლივ ხდებოდა.

დროთა განმავლობაში თქვენ შეიძლება იგრძნოთ, რომ ქვის ტარების დროს გრძნობთ დისკოფორტს, «გემძიმებათ» ან «გკბენთ», გეწყებათ თავის ტკივილი ან უბრალოდ ქვა შეიცვალა ფერი, დაეტყო მუქი ფერის ლაქები — ეს სიგნალია, რომ ქვა სასწრაფოდ გასაწმენდია.

გაწმენდის უამრავი მარტივი საშუალება არსებობს: ცეცხლით, წყლით, ზღვის მარილით, მიწით, ან «მეგობარი კრისტალის ნატეხებით» (მთის ბროლი და ამეთვისტო), მცენარეებით და ბალახებით, მთვარის და მზის შუქით, გამდინარე წყლით.



¹ მოამზადა: Nina Ge.

მარილით წმენდა

ტრადიციულად ეს ზღვის მარილით კეთდება, მაგრამ ჩვეულებრივი მარილიც შეიძლება. მარილით გაწმენდა შეიძლება, როგორც მშრალად, ისე წყლის დახმარებით.

მარილიანი წყლით წმენდა — ამისთვის საჭიროა 1 ჩ.კ. მარილის გახსნა 1 ჭიქა წყალში. თუ თბილ წყალს დაასხამთ მაშინ უნდა დაელოდოთ სანამ გაცივდება და მარილი ბოლომდე გადნება. ჭურჭელი უნდა იყოს ან მინის ან ფაიფურის. დაუშვებელია პლასტმასის და მეტალის გამოყენება, რადგან მათ მიდრეკილება აქვთ გადასცენ თავისი თვისებები წყალს და შესაბამისად ქვები ვერ გაიწმინდება სრულყოფილად. მას შემდეგ, რაც მოამზადებთ ჭურჭელს წყლით ჩაუშვით ქვები მასში, ისე რომ წყალი ფარავადეს და გააჩერეთ მთელი ღამე. დილით გადაღვარეთ მარილიანი წყალი და ქვები გარეცხეთ გამდინარე წყალში.

მშრალი წმენდა მარილით — ამისათვის დაგჭირდებათ ღრმა ჭურჭელი, რომელში იმდენი მარილი უნდა ჩაყაროთ, რომ ქვები სულ დაიფაროს. ქვა მარილში «ჩამარხეთ» ისე, რომ მისი ზედა მხარე მიმართული იყოს მიწისკენ და დატოვეთ ასე მთელი ღამე.

საჭიროა სიფრთხილე მარილით წმენდის დროს, რადგან შეიძლება მოხდეს ქიმიური რეაქცია და ქვამ დაკარგოს მზინვარება ან შეიცვალოს ფერი. პრილა და მზინვარე ქვების გაწმენდა არ არის რეკომენდირებული მარილით. ამისათვის ალტერნატიული მეთოდები არსებობს თუნდაც მარილით : ჩადეთ ქვა ჭურჭელში და ჭურჭელი მოათვესეთ ჯამში ან ფიალზე, რომელზეც მარილი ყრია. მართლია ქვა ვერ შეეხება მარილს, მაგრამ ის მაინც იმოქმედებს მასზე.



მთვარის სინათლით გაწმენდა

ეს პროცესი უფრო მეტ დროს საჭიროებს, მაგრამ თუ გინდათ, რომ გააქტიუროთ ქვაში მთვარის ენერჯია, მაშინ ღირს ლოდინად. მოძებნეთ სახლში ფანჯრის რაფა, რომელზეც სავსემთვარეობას ეცემა მთვარის შუქი, რამოდენიმე საათით მაინც. დატოვეთ ქვა ამ რაფაზე 3 ღამის განმავლობაში: მთვარის 14, 15, 16 დღეები ანუ დაიწყეთ სავსემთვარეობის წინა ღამეს. უკეთესი შედეგი ექნება თუ ღია ცის ქვეშ ეზოში ან აივანზე დადებთ, სადაც მინა არ შეუშლის ხელს მთვარის სხივებს.

კლებად მთვარეზე ქვის გაწმენდა

თუ ქვას გაწმენდამდე ატარებდით ნეგატივის მოსახსნელად ან ნეგატივისგან დასაცავად, მაშინ ჩადეთ ის მარილიან წყალში და ჭურჭელი დატოვეთ კლებადი მთვარის პერიოდში, რამოდენიმე ღამით ისე, რომ მთვარის შუქი ეცემოდეს. კლებად მთვარე წაიღებს მთელს ნეგატივს ქვისგან.

ქვის გაწმენდა ბალახებით და ყვავილებით

აქ გადჭირდებათ გამხმარი ბალახებით სავსე ჭურჭელი, რომელშიც ჩაალაგებთ ქვებს. ამ მეთოდს 1 კვირა ჭირდება, მაგრამ ის ასევე შეგიძლიათ გამოყენოთ მთვარით გაწმენდის პარალელურად.

უფრო სწრაფი მეთოდი: ცეცხლგამძლე ჭურჭელში ჩაყარეთ ცოტა კედრა, შალფეი ან ღვია და წაუკიდეთ ცეცხლი. ამის შედეგ ქვა გადაატარეთ კვამლზე. ამისთვის არ არის საჭირო დიდი ცეცხლი და ბევრი კვამლი, ცოტაც საკმარისია. ენერჯიის დასამშვიდებლად ასევე კარგია თუ ჩაუმატებთ რამოდენიმე ლავანდის ფოთოლს.

ცეცხლით წმენდა

მინერალი ამოდრავთ ცეცხლის ალზე წრიულად საათის ისრით მიმართულებით.



მინერალების წყლით გაწმენდა

ეს ყველაზე მარტივი და ძიერი მეთოდია, განსაკუთრებით ახალშემენლი ქვის გასაწმენდად და დასამუხტად. სუფთა გამდინარე წყალი 1 ლამის განმავლობაში. წყალი კარგად აშორებს საგნებს ინფორმაციას. წყლით გაწმენდის შემდეგ ქვა დადეთ ანთებული სანთლის გვერდით, რათა დაიმუხტოს.

ქვები, რომელთა გაწმენდაც არ შეიძლება არც მარილიანი და არც სუფთა წყლით:

ასტროფილიტი, ჰეილანდიტი, «ქვის მარილი», კიანიტი, სელენიტი, სერაფინგი, სტილბიტი, გეიზერიტი, ქრიზოკოლა და ა.შ. ყველა ეს მინერალი არის რბილის შემადგენლობის და წყალი მათზე ფიზიკურ ზეგავლენას მოახდენს. მათი გაწმენდა უკეთესია ცეცხლი ან ნებისმიერი სხვა მშრალი საშუალებით.

ქვები, რომლების გაწმენდაც არ შეიძლება მარილიანი წყლით:

აქვამარინი, აპოფილიტი, ბელომარიტი, ფირუზი, ჰემატიტი, ლაბრადორი, კალციტი, ლაზურიტი, მალაქიტი, ონიქსი, ოპალი, პირიტი, როდონიტი, სერდოლიკი, ულექსიტი, ფლიურიტი, ქარვა. = მარილიანი წყალი მათ ფიზიკურ თვისებებს ცვლის.

გაწმენდის შემდეგ ქვების დამუხტვაც აუცილებელია. ეს შეიძლება გააკეთოთ დიდი კრისტალებით, პირამიდებით და ა.შ.

ქვები, რომელსაც ყოველდღიურად ატარებთ სასურველია მოხსნის შემდეგ დაალაგოთ ამეთვისტოს ან მთის ბროლის მოზრდილ ნატეხზე.

ქვები გენერალურად იწმინდება წელიწადში ერთხელ, «მზის წლის» ბოლო 5 დღეში ანუ როცა მზე არის თევზების ბოლო გრადუსებზე (16-დან 21 მარტამდე). ამასთან სულ ერთია, მთვარის რომელი დღე დაემთხვევა. როდესაც მზე გადავა ვერძის პირველ დეკადაში მაშინ შეიძლება ქვა გაიწმინდოს ცეცხლით. გენერალური წმენდის შემდეგ კარგია ქვების დატოვება მზის და მთვარის შუქზე რამოდენიმე დღით.

ასევე კარგია პერიოდულად ის ქვები, რომლებსაც ხშირად ატარებთ რამოდენიმე საათით დადოთ მზის ან მთვარის შუქზე, ასევე დადოთ მიწაზე ან ჩამარხოთ 1 ღამით.

იცოდეთ! თუ ვინმე გთხოვთ მოიხსნათ ქვა, რათა ნახოს ან გაიკეთოს, მოისინჯოს, აუცილებელია სამკაული მოიხსნათ და დადოთ მაგიდაზე და არ მისცეთ ხელიდან ხელში. მას შემდეგ რაც ნახავს სამკაულს და დააპირებს დაბრუნებას ასევე თხოვეთ დადოს მაგიდაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს სხვა ადამიანისგან ნეგატიური ენერჯის «აკიდების» შანსი.

ქვების შესანახად კარგია თუ მოახერხებთ, რომ ყველა ქვას თავისი პატარა ნატურალური ქსოვილისგან შეკერილი ტომსიკა ქონდეს.



ქვის დამუხტვა

მას შემდეგ, რაც ქვას გაწმინდავთ საჭიროა მათი დამუხტვა. შეგიძლიათ აირჩიოთ რამოდენიმე ან რომელიმე ერთი ელემენტი. ქვის დამუხტვისთვის დაგჭირდებათ:

- სურნელოვანი ჩხირები (ჰაერის სტიქია);
- წითელი სანთელი (ცეცხლის სტიქია);
- წყლით სავსე თასი. იდეალური ჭურჭელი ნიჟარაა (წყლის სტიქია);
- თასი მიწით, სასურველის ხის ჭურჭელი (მიწის სტიქია);
- ეთერზეთი, რომელიმე ყვავილის.

ცენტრში დადეთ ეთერზეთის ბოთლი, რომლის ირგვლივ უნდა დააწყოთ დანარჩენი 4 სტიქიის ელემენტი შემდეგნაირად: თასი მიწით ზემოთ (ჩრდილოეთი), სურნელოვანი ჩხირი მარჯვნივ (აღმოსავლეთი), სანთელი ქვემოთ (სამხრეთი) და წყლის თასი მარცხნივ (დასავლეთი).

1. აანთეთ სანთელი და ჩხირი.
2. ვმუხტავთ ჰაერით. სურნელოვანი ჩხირი ეს «ჰაერია», გაატარეთ ქვა მის კვამლში და რამოდენიმე ხანი გააჩერეთ და წარმოთქვით: «მე ვმუხტავ შენ ჰაერის და ქარის ძალით და ენერგიით», შემდეგ შეუბერეთ სული კვამლს და დააცედეთ «შემოეხვიოს» ქვას მთლინად.
3. ვმუხტავთ ცეცხლით. შემდეგ მიიტანეთ ქვა სანთლის ალთან და წარმოთქვით «მე ვმუხტავ შენ ცეცხლის ძალით», წარმოიდგინეთ როგორ შედის ცეცხლის ენერგია ქვაში.
4. ვმუხტავთ წყლით. დაისველეთ ხელი წყლით და შეაშხეფეთ ქვას და წარმოთქვით: « მე ვმუხტავ შენ წყლის ძალით». აქაც ვიზუალიზაციაა საჭირო.
5. ვმუხტავთ მიწით. ჩადეთ ქვა მიწიან თასში და წარმოთქვით:» მე ვმუხტავ შენ მიწის ენერგიით, რომლისგანაც შენ წარმოიშვი». ისევ წარმოიდგინეთ, როგორ შედის მიწის ენერგია ქვაში.
6. ბოლოს წაუსვით ეთერზეთი ქვას და თქვით: « მე შენ ვმუხტავ სასიცოცხლო ენერგიით, ჰარმონიით და ჭეშმარიტებით». წარმოიდგინეთ, როგორ ხართ ამ ენერგიების გამტარი და როგორ შედის ქვაში.
7. გაწმენდილი და დამუტული ქვა, თუ მას არ ატარებთ აუცილებელია შეინახოთ სიბნელეში, მანამ სანამ ისევ არ გადაწყვიტავთ მის ტარებას.



პირამიდა მინერალური ქვისგან¹



ყველას გინხავთ პატარა მინერალური ქვისგან დამზადებული პირამიდები. რისთვისაა საჭირო ისინი და რა დანიშნულება აქვთ? რისგან გვიცავენ და როგორ გვიძლიერებენ ენერგეტიკას?

უამრავი მეცნიერის და ექიმის ექსპერემენტის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა ნატურალური ქვისგან პირამიდების, როგორც სამკურნალო, ასევე დაცვითი ფუნქციები. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მათი ფუნქციონალური დატვირთვა შეესაბამება არა მხოლოდ პირამიდის პროპორციებს და ზომებს, არამედ იმ მატერიალის თვისებებს, რომლისგანაც დამზადებულია ის (აქ საუბარია ქვის ენერგეტიკაზე, მის ფერზე, ნახატზე, ოპტიკურ განსაკუთრებულობებზე და ა.შ).

ასევე პირამიდის დატვირთვა იცვლება, მისი სივრცეში ორიენტაციის ცვალებადობასთან ერთად. მაქსიმალური ეფექტის მისაღებად საჭიროა მოვახდინოთ მისი ორიენტაცია ჩრდილოეთზე და სამხრეთზე. არასასურველია პირამიდის დადება სხვადასხვა ტექნიკურ საშუალებებთან და ეკრანებთან (ტელევიზორი, მონიტორები...) ასევე რკინის ნაკეთობასთან, რომლებიც არღვევენ დედამიწის მაგნიტურ ველს.

მთლიანობაში (სახლში ან ოფისში) დადებული ქვის პირამიდა ხსნის დაღლილობას, ავსებს ადამიანს ენერგიით, ამალღებს შრომიუნარიანობას, ჰარმონიაში მოყავს ენერგეტიკული ცენტრები (ჩაკრები).



¹ მოამზადა თორნიკე ბიძინაშვილმა.

პირამიდის დაცვითი ფუნქციების შესამოწმებლად, ჩაატარეს შემდეგი ექსპერიმენტი: ისინი მოათავსეს «ნეგატიურ ენერგეტიკულ ადგილებში» ტელევიზორის, კომპიუტერი, მაცივრის და ა.შ. წინ, პირამიდებმა აჩვენეს დადებითი ეფექტი, მათ გაანეიტრალეს მავნე გამოსხივებები. ანუ ამ შემთხვევაში პირამიდა მუშაობს არა ადამიანზე, არამედ ტექნიკური საგნების მავნე გამოსხივებებზე.

გამოვლინდა რამოდენიმე საინტერესო ფაქტიც:


- დამტკიცდა, რომ პირამიდის ზომის გადიდებასთან ერთად პროპორციულად იცვლება მისი ენერგეტიკული ზეგავლენა. პირამიდის მოქმედების რადიუსი, პირდაპირაა დაკავშირებული მის ზომასთან. მაგალითად, საშუალო ზომის პირამიდისგან (5X5 სმ.) იქმნება დაახლოებით 1, 5 ნახევარი მეტრის ენერგეტიკული ველი. ენერგეტიკული ველის სიდიდე პროპორციულად იზრდება პირამიდის სიდიდესთან ერთად.
- ზოგადად ყველანაირი ზომის თუ წარმოშობის პირამიდის ქვა თვლება ფიზიკური დონის უმაღლეს ფორმად, რომელიც ჩვენ გვაეთიერებს კოსმოსთან.
- რაც უფრო მაღლა ავწევთ პირამიდას მიწის ზედაპირისგან, მით უფრო მცირდება მისი ენერგეტიკული ველის რადიუსი. თუ ოთახის იატაკს ჩავთვლით ათვლის წერტილად და პირამიდას 3 მეტრი სიმაღლეზე ავწევთ მისი ენერგეტიკული ველის რადიუსი 1, 5 მეტრიდან 20-30 სმ-მდე შემცირდება. იქმნება შთაბეჭებდილება, რომ პირამიდის ტორსიულ ველს აქვს კონუსისებური ფორმა, რომელიც სიმაღლის აწევასთან ერთად უერთდება თავის წვერს, რომელიც მიმართულია კოსმოსისკენ. შესაძლოა, ეს სწორედ ის სხივია რომელიც პირველად აღმოაჩინა, ეგვიპტოლოგმა ენელმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ამ სხივის ზეგავლენის ქვეშ ნადგურდება სიმსივნური უჯრედები და მიკრო ორგანიზმები.
- პირამიდის კვლევის პრაქტიკაში არის ისეთი ფაქტებიც, როდესაც ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები პირამიდის გარშემო ხედავენ და გრძნობენ მის ვიბრაციებს და იმპულსებს.
- პირამიდებს აქვთ ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც ზეგავლენას ახდენს მის დატვირთვასა და ფუნქციონალობაზე — მინერალის ქვის ფერი. ყოველ ფერს აქვს თავისი გამოსხივების სპექტრი, რომელიც სხვადასხვანაირად ზემოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე. ფერის სამკურნალო თვისება ერთიანდება გეომეტრიული ფორმასთან, რაც აძლიერებს პირამიდის ჯამურ ზეგავლენას.
- პირამიდების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ეფექტის მისაღებად უნდა შეირჩეს ქვის ჯიში, ფერი და ზომა ინდივიდუალურად. ამგვარად შერჩეულ პირამიდას აქვს ორმაგი ზეგავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და დაცვაზე.

დენდროთერაპია — ხეებით მკურნალობა¹



დენდროთერაპია — ეს არის მეთოდი, რომელიც მკურნალობისთვის და პროფილაქტიკისთვის გამოიყენებს ხეების ენერჯია და თვისებებს. ადამინების უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ აქვთ რომ ყველა ხე (გარდა ალვის ხის, თხმელას და ისამანის) ყველა ზემოქმედებს ჩვენზე და ჩვენს ჯამრთელობაზე. ამისათვის საკმარისია უბრალოდ «ჩაეხუტოთ» მათ. ხეებს უამრავი ავადმყოფობის და მდგომარეობის განკურნება შეუძლიათ, ალბათ ამიტომაც გვიყვარს გაუცნობიერებლად ტყეში სეირნობა, ტყის «სმენა», იქ ფაქტიურად სულ სხვა ადამინები ვართ.

¹ მოამზადა: Nina Ge.



როგორ დაგვახდეთ დენდროთერაპიით?

- ხეებთან ურთიერთობისას უნდა იყოთ მარტო, ძალიან გულწრფელი და არ იჩქაროთ.
- თუ ადამიანი არ ენდობა ხეს-უკეთესია მაშინ არ გამოიყენოს ამ ხის ენერგია, რადგან ყველა ჩვენ ფიქრს და გრძნობას ხე კარგად აღიქვამს.
- ზოგიერთი დაავადების შემთხვევაში ადამიანმა ხისგან უნდა აიღოს ენერგია. ამისათვის არსებობს «დონორი-ხეები» — მათი ენერგეტიკა დადებითია: მუხა, არყი ხე, ფიჭვი, აკაცია, ნეკერჩხალი, ვაშლი, წაბლი, იფანი, ცაცხვი და ა.შ. იმისათვის რომ ხისგან ავიღოთ ენერგია, უნდა მივუახლოვდეთ, დავდგეთ ზურგით და აზრობრივად ვთხოვოთ დახმარება. შემდეგ მოდუნდით და წარმოიდგინეთ, როგორ გადმოდის თქვენში თბილი ენერგია ზევიდან ქვევით. ამასთან აუცილებელია ისუნთქოთ რიტმულად, შემდეგი სქემით: 4-8 წამის განმავლობაში ჩაისუნთქეთ, შემდეგ 4 წამი შეიკავეთ სუნთქვა და ბოლოს ისევ 4-8 წამის განმავლობაში ამოისუნთქეთ.
- არის დაავადებები, როცა ადამიანი პირიქით, ხეს აძლევს ენერგიას. ამისთვის ბუნებაში არსებობენ «მომხმარებელი-ხეები». მათი ბიოენერგეტიკა უარყოფითია. მათ რიცხვს მიეკუთვნება: ასპენის, ვერხვი, ნაძვი, სოჭი, ღვია, ველური ალუბლის, ტირიფი, მურყანი და ა.შ. არ თერაპიის ტექნიკა ცოტა განსხვავებულია, ხეს უნდა მივუახლოვდეთ 20 სმ-ის დაშორებაზე და დავდგეთ პირისპირ და ზრობრივად ვთხოვოთ დახმარება. შემდეგ მოდუნდით და წარმოიდგინეთ, როგორ გადმოდის თქვენში თბილი ენერგია ზევიდან ქვევით. ამასთან აუცილებელია ისუნთქოთ რიტმულად, შემდეგი სქემით: 4-8 წამის განმავლობაში ჩაისუნთქეთ, შემდეგ 4 წამი შეიკავეთ სუნთქვა და ბოლოს ისევ 4-8 წამის განმავლობაში ამოისუნთქეთ.

როგორ ავირჩიოთ ხე?

- მუხა ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დადებითი ენერგიის გენერატორია და აუმჯობესებს ტვინის მოქმედებას. ასევე აქვს ანტისტრესული თვისებები, ააქტიურებს სისხლის მიმოქცევას და ამცირებს ავადმყოფობის პერიოდს, მუხის ტყეში ყოფნას ნორმაში მოყავს წნევა და ასევე კარგია ჰიპერტონიკებისთვის.
- არყის ხე. ესეც ერთ-ერთი ძლიერი ენერგეტიკული ხეა. მას შეუძლია თავის თავზე აიღოს ნებიმიერი დაავადება. ის არის სასიცოცხლო ენერგიის მატარებელი, ადამიანს ეხმარება გრიპის და გაციების დროს, ასევე ხელს უწყობს ყურადრების და კონცენტრაციის ამაღლებას.

- წიწვიანა კურნავს ნერვულ აშლილობას, განსაკუთრებით თუ მას თან ახლავს მელაქოლიის და დეპრესიის სიმპტომები. მისი ზეგავლენა გეხმარებათ უფრო მკაფიოდ დაინახოთ ცხოვრების დადებითი მხარეები. თუ ადამინს აწუხებს ქრონიკული ბრინჯიტი ან ასთმა, მაშინ რეკომენდირებულია მან იცხოვროს წიწვინასგან აშენებულ სახლში.
- ფიჭვი, წიფელი, იფანი და ვაშლის ხე — ისინი ამალღებენ საერთო ტონუსს და იმუნიტეტს, ებრძვიან დაღლილობას და პოსტსტრესულ მდგომარეობას. თუ ადამიანი დიდხანს იმყოფება ფიჭვის ტყეში, მისთვის უცხო იქნება ხველება და სურდო.
- ვერხვი, ტირიფი და ალვის ხეც მათ შორის, აწყნარებს ნერვულ სისტემას, ადამინს მატებს საღად აზროვნების და პრესპექტივების დანახვის უნარს. მაგრამ მათი ხანგრძლივი გამოყენება მიზანშეწონილი არ არის, რადგან მათ პარალელურად აქვთ ძლიერი ვამპირული ენერგეტიკა.

შენიშვნა:

- ხესთან დგომა 2-3 წუთზე მეტი რეკომენდირებული არ არის (იზრდება არტერიული წნევის არასტაბილურობის ალბათობა).
- თუ თქვენ გადაწყვიტავთ დაკავდეთ დენდროთერაპიით, მაშინ გახსოვდეთ ეს გააკეთეთ ან დილით ადრე, ან 16-დან 18-საათამდე. ეს ყველაზე კარგი დროა, თუ მაინც ვერ ახერხებთ მაშინ გაითვალისწინეთ, რომ თერაპიის შემდეგ 2-3 ძილი რეკომენდირებული არ არის.
- გაითვალისწინეთ, რომ ზამთარში ფოთლებიანი ხის ენერგეტიკული პოტენციალი ეცემა 50-70%-ით, ხოლო მარადმწავნე ხეების 15-25 %-ით. ამიტომ აუცილებელია ზამთარში გაზარდოთ სენასი ხანგრძლივობა 5-7 წუთამდე.

როგორ შევცვალოთ ჩვენი ბედი ჩვენი აზრებით¹



ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ჩვენი ბედი თუ შევცვლით ჩვენს აზრებს.

აზრები როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური ფლობენ უდიდეს ძალას, ისინი მუშაობენ როგორც მაგნიტი, იზიდავს იმას რაც შეესაბამება მის ვიბრაციას.

ნეგატიური აზრი იზიდავს უარყოფით მოვლენებს. პოზიტიური აზრი კი დადებით მოვლენებს. კოდი — ამ პოზიტიური აზრის ან სიტყვის, რომლებიც გამოხატავენ თქვენს სურვილს. კოდის პრაქტიკული გამოყენება ნიშნავს გწამდეს შენი სურვილების და იყო დარწმუნებული იმაში, რომ ის აგისრულდება მიუხედავად იმისა თუ რა მდგომარეობაა გარშემო, სიტუაციის მიუხედავად.

კოდური მეცნიერება გვასწავლის ჩვენ, როგორ გაუშვათ ძლიერი პოზიტიური აზრი თქვენს ცნობიერში და ქვეცნობიერში, ასევე ჩვენი ორგანიზმის უჯრედებში. ამ შემთხვევაში ვუშვებთ აზრს როგორც ქიმიურ, ელექტრონულ და მაგნიტურ ტალღას. უბრალო მანევრის დახმარებით, რომელშიც მონაწილეობას იღებენ თავისუფალი ნება და თავისუფალი არჩევანი, ჩვენ ვსწავლობთ იმედების

¹ <http://GeoAstro.Ge>



გაცრუებას ჩვენი აზრების, ისე, რომ გავარდვიოთ ჩარჩოები და ტრაფორმაცია გავაკეთოთ ნეგატიური ჩვევების და შევცვალოთ პოზიტიურისკენ, წარუმატებლობის აქტივაცია მოვახდინოთ ორგანიზმის განმკურნებადი ძალების. აზრი ეს არის ჩამრთველი დილაკი, რომელმაც შეიძლია ჩართოს ჩვენი უჯრედების მუშაობა. აზრი გარდაიქმნება ავადმყოფობის ენერგია ჯანმრთელობის ენეგად. ესეთი მიდგომა კომფორტულია იმიტომ, რომ თქვენ არ გჭირდებათ ეძებოთ ძალები, რომ დაამარცხოთ დაავადება. როგორც წესი, როცა თქვენ ავად ხართ, თქვენ ძალა არ გყოფნით. შეცდომა იმაშია, რომ თქვენი უკანასკნელი ენერგია თქვენ გაუშვით დაავადებასთან საბრძოლველად.

დაავადება თავის თავში ინახავს უდიდეს ენერგეტიკულ პოტენციალს და უკეთესი იქნებოდა, გამოვიყენოთ ეს ენერგია, ვეცადოთ არ გავაგლოთ ის, რაც თავისთავად რთულია, უკეთესია გარდავქმნათ ეს ენერგია გამოსაჯანმრთელებლად.

გამოვიყენოთ კოდები სულის დასახმარებლად, ჩვენ ვასტიმულირებთ განმკურნებად ძალებს, აზრი შეიძლება შევადაროთ სახლის მშენებლობას: როგორც ალაგებენ აგურს აგურზე, ასევე იკრავენ აზრები ერთი მეორეს. თუ სახლის აგურის.

კედელი აშენდა უხარისხოდ, მისი დგომა არ იქნება სწორი, გამოვა დამრეცი კედელი., იმ სახლში ცხოვრებასაც შეეჩვევა კაცი, მაგრამ ერთ მშენებელს დღეს შეიძლება ჩამოგეშალოს და დაგენგრეს სახლი. ამით დაიზიანებთ ფიზიკურ სხეულს(თუ გადარჩი).

ასევეა აზრებიც, სადღაც ერთმა არასწორმა აზრმა, შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს ადამიანი და დიდი ზიანიც მიაყენოს.

პოზიტიური მატერია, რომლითაც უნდა აშენდეს ფიქრი, აზრის სამყაროა. ფიქრი აშენებული მსგავსი მატერიისგან, ქმნის განმკურნებელი ძალების კეთილ განწყობილ გარემოს. ყველაზე მთავარია მოვიშოროთ ნეგატიური აზრები ერთხელ და სამუდამოდ.

უდიდესი მნიშვნელოვება აქვს იმასაც, თუ გავითავისებთ, რომ ჩვენ ვართ ერთდროულად ჩვენი თავის პრობლემაც და მისი გადაჭრის გზაც. და როცა გავიგებთ იმას თუ როგორ გამოვიყენოთ ძალა ჩვენი სურვილების შესასრულებლად, ეს გაგვიყვანს განვითარების მაღალ საფეხურზე. არის მრავალი მეტაფორა, რათა გავიგოთ ცხოვრების არსი. მას რას არ ადარებენ. შეიძლება ითქვას ასეც, რომ ცხოვრება არის მუდმივი ბრძოლა შავი და თეთრი ძალების. ადამიანის ცნობიერებაში და სულში ეს იღებს ბრძოლის სახეს კეთილ და ბოროტ აზრებს შორის. ამიტომ აკონტროლოთ აზრები, ფიქრები და მეტი იფიქრეთ პოზიტივზე, სიკეთეზე, სიყვარულზე და ეს დადებითი მუხტი აუცილებლად დაგიბრუნებთ.

გზა სიმდიდრისკენ¹




იმისათვის რომ გავმდიდრდეთ და განვთავისუფლდეთ სიღარიბისგან, არაა საკმარისი «რამე აკეთო» ან «სადმე იმუშაო» ესაა გზა! გზა სიმდიდრისკენ!

რომ გახდეს მდიდარი, საკმარისია გაითვალისწინო შემდეგი მარტივი წესები:

1. ყველა თქვენი პრობლემა უნდა გადაწყდეს უსწრაფეს დროში, როდესაც სჭირდება ამას დიდ ხანი გადაწყვეტისათვის. იყავით დარწმუნებულები! ნაკლები იფიქრეთ და მეტი აკეთეთ!
2. ნაკლებად იმუშავო ვინმეზე. რაც მეტად მშაობ, უფრო ცუდად ცხოვრობ. იმუშაობა მოდის სიტყვიდან მუშა!
3. თუ თქვენ გსურთ მიიღოთ ფული, მოიტანეთ ბაზარზე რაიმე ფასეულობა. ხოლო ის თუ რამდენად დიდი რაოდენობის ფულს მიიღებთ, დამოკიდებულია თქვენზე რამდენად დაარწმუნებთ ხალხს თქვენი პროდუქტის ფასეულობაში!
4. იმუშავეთ მხოლოდ თქვენი თავისთვის, დაივიწყეთ ზღაპრები კორპორაციულ ერთობაზე, ფირმა ყოველთვის თქვენით აკეთებს ფულს, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენ იქ არ იმუშავენ!

¹ <http://GeoAstro.Ge>



5. იფიქრე როგორ გამოიმუშავო თვეში 50000\$. შეიძლება მეტი. ნაკლები არ შეიძლება!
6. ფული მოდის თქვენთან სხვა ადამიანების განვლით, იკონტაქტეთ ადამიანებთან! მარტო ჩაკეტილ ადამიანებთან ფული არ მოდის.
7. ღარიბი გარემოცვლა ყოველთვის სირაობისკე =ნ მიგიწევს, მდიდარი ადამიანებიც კი თუ მარკეტინგულად არ მიუდგება ამ ადამიანებთან ურთიერთობას გაღარიბდება, ღარბები ვერ იტანენ მდიდრებს, იკონტაქტეთ გამარჯვებულებთან, ესაუბრეთ გამარჯვებულებს!
8. სიღარიბე მოდის როდესაც პასუხისმგებლობას უარვყოფთ!
9. დიდი ფულის მოგებისკენ გზა, გადის პასივზე! შექმენით სამუშაო ადგილი საიდანაც თქვენ შრომის გარეშე მიიღებთ მუდმივ შემოსავალს!
10. შეისწავლეთ დიდ ადამიანების ბიოგრაფიები და აზრები.
11. უპასუხე შეკითხვებს: «ვინ ვარ მე? რაშია ჩემი უნიკალურობა?? რაშია ჩემი ცხოვრების აზრი? რით დავკავდებოდი? ფული რომ მქონდეს უსაზღვროდ?». მხოლოდ გულწრფელად!
12. ოცნებები! ესაა მთავარი თქვენ ცხოვრებაში, იოცნებეთ და გეჯროდეთ რომ ოცნებები ახდება! ესაა მთავარი თქვენს ცხოვრებაში.
13. დაეხმარეთ ადამიანებს! მხოლოდ მათ ვისაც გულით გინდათ დაეხმაროთ და არა ვალდებულების გამო...
14. იქონიეთ ჟურნალი სადაც თქვენ წარმატებებს აღწერთ, როდესაც სულით დაეცემით გადაიკითხეთ!
15. არასოდეს დანებდეთ!!!

ნებისმიერი მტრის წინააღმდეგ უნდა იბრძოლო ბოლომდე! სიღარიბე კი ყველა ადამიანის მტერია!

ემა ომანაძე

მუდრები ხატწერაში¹





მუდრა — მარტივი და ხელმისაწვდომი გზა დაეხმარო საკუთარ თავს.

ცოდნა მუდრების შესახებ მოდის საუკუნეების სიღრმეებიდან. იოგურ და სულიერ პრაქტიკაში ის ყოველთვის ითვლებოდა, როგორც საკუთარი სხეულის განკურნების ხელმისაწვდომი საშუალება, ასევე ცნობიერების განსაკუთრებული მდგომარეობის მისაღწევად და ემოციონალური და ფსიქოლოგიური პრობლემების გადასაწყვეტად.

მუდრა, სანსკრიტულ ენაზე ნიშნავს «სიხარულის მომნიჭებელს», ან კიდევ ერთი ვარიანტით — «ბეჭედს».

ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთი წინა ნომრიდან უკვე იცით მათ შესახებ, ახლა კი გვინდა ვისაუბროთ იმაზე, თუ რა ადგილი უჭირავს ამ ცოდნას ქრისტიანულ სამყაროში. გავიხსენოთ ე.წ. «ორი თითით» კურთხევის ჟესტი, რომელსაც იყენებდნენ ძველი ქრისტიანები და ხშირად გვხვდება ხატებსა და ფრესკებზე.

¹ ჟურნალი «ასტრო News» № 5.



ეს არის «პრანა-მუდრა», ანუ სიცოცხლის მუდრა.

ცნობილია, რომ ჩვენი სხეული — რთული ენერგეტიკული მექანიზმია, რომელიც მჭიდრო კავშირშია დედამიწის ენერგეტიკასა და მზის სისტემასთან. თითოეულ თითს ხელზე შეესაბამება სხეულის კონკრეტული ნაწილის ენერგეტიკა.

პრანა-მუდრა უკავშირდება პირველ ჩაკრას — (მულადჰარა ჩაკრა)-სიცოცხლის საწყისი ადამიანში, თვითგადარჩენისთვის ბრძოლა და თავდაცვა, რომლის ფუნქციაც არის დაგვაკავშიროს მიწასთან და ამავე დროს უკავშირდება ტვინის ორივე ნახევარსფეროს. ფსიქიკურ დონეზე ეს მუდრა თავდაჯერებულობას და შინაგან ძალას გვმატებს, ნათელ აზროვნებას და ცნობიერებას გვინარჩუნებს. მისი მეშვეობით ორგანიზმში ენერგეტიკული ბალანსი ხდება და დადებითად მოქმედებს ზოგადად ადამიანის განწყობასა და სიცოცხლისუნარიანობაზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ეს მუდრა გამოიყენება თვალის დაავადებების სანკურნალოდაც.





ეს არის XVI-XVII საუკუნეებში შესრულებული რუსული ხატი, რომელსაც ქვია «ბრმის განკურნება», სადაც ნათლად ჩანს პრანა-მუდრას ჟესტი.

...და მაინც, რა ენერგიებზეა საუბარი? თუ მარტივი პლაცებოს ეფექტია და მეტი არაფერი?

ამისთვის მოვიყვანთ ამონარიდს ჰ. ლუესანის წიგნიდან «აღმოსავლური რეფლექსოთერაპიის ტრადიციული და თანამედროვე ასპექტები».

ა) კონცეფცია «ინ-იან»:

«ძველი ჩინური მედიცინის მსოფლმხედველობრივ საფუძველს წარმოადგენს «ინ» და «იან»-ორი საპირისპირო საწყისის სწავლება — მოქმედება და უმოქმედობა, სინათლე და სიბნელე, მშრალი და სველი, ცხელი და ცივი, მამრი და მდედრი — თვისებათა და პროცესების მთელი მრავალფეროვნება, რომლითაც ხასიათდება სამყარო, ხოლო ადამიანი, ამ სამყაროს ნაწილი, ამ ყოვლისმომცველი სწავლებით წარმოდგენილია, როგორც ერთიანობა და ურთიერთდაპირისპირებულობა ან პოლარულ «იან» (აქტიური ძალა ანუ «მამრობითი» საწყისი) და «ინ» (პასიური, «მდედრობითი» საწყისი) ძალთა ბრძოლა.

გასათვალისწინებელია, რომ «ინ» და «იან» ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ არსებობენ. «ინ»-ს საკუთარი თავის წარმოსაქმნელად ესაჭიროება «იან»-ი და პირიქით.

ადამიანის ორგანიზმის სტრუქტურასა და ფუნქციასთან დაკავშირებით «ინ»-ით აღინიშნება სხეულის მატერიალური შემადგენლობა, ხოლო «იან»-ით მისი ფუნქცია.

ადამიანის სხეულის ნაწილები, თავის მხრივ, იყოფიან იან — «ენერჯის წარმომქმნელ» და ინ — «ენერჯის დამგროვებენ» ორგანოებად. ამას გარდა, ყოველი ორგანო (როგორც ბუნების ყველა მოვლენა და სამყარო მთლიანად) მატარებელია როგორც «ინ», ისე «იან» ნაწილაკებისა.

«ინ»-ის და «იან»-ის ორგანოები ერთმანეთისგან განსხვავდებიან აგებულებით და ფუნქციით, მიიჩნევენ, რომ «ინ»-ის ორგანოები უგრძობელნი არიან ტკივილის მიმართ და, თუ მაინც აქვს ადგილი ტკივილს, მაშინ იგი მოცემული ორგანოს «იან» ნაწილთან არის დაკავშირებული, «იან» ორგანოები შეიძლება მოექცნენ ცნობიერი და ქვეცნობიერი პროცესების ზეგავლენის ქვეშ.

ბ) სწავლება ენერჯიასა და მერიდიანებზე:


ძველი აღმოსავლური ფილოსოფიისათვის დამახასიათებელია წარმოდგენა მოძრავი და გასულიერებული ძალის შესახებ, რომლითაც გაჟღენთილია მთელი სამყარო. ძველ ინდურ ფილოსოფიაში ეს პრანაა — პირველყოფილი მაცოცხლებელი სუნთქვა, რომელიც მსოფლიო ენერჯიის დასაბამია; ძველ ჩინურ კულტურაში ეს არის უნივერსალური სასიცოცხლო ენერჯია — «ჩი» («ცი»), თავისი არსით ერთიანი «ჩი» არსებობს ორ ფორმაში; როგორც გარეგნული «ჩი» (ბუნებაში, ჩვენს გარემომცველ სამყაროში) და როგორც შინაგანი «ჩი» (ადამიანში, როგორც მიკროკოსმოსში, სამყაროს შემცირებულ მოდელში). შინაგანი «ჩი» ორგანიზმში მიმოიქცევა საგანგებო არსებით, რომელთაც მერიდიანებს უწოდებენ. ისინი იყოფიან რამდენიმე კატეგორიად: ~მკვებავი ჩი~ მიმოიქცევა 12 ძირითად მერიდიანში, |პირველადი (წინაპრის) ჩი~ მოძრაობს მყესურ-კუნთოვან მერიდიანებზე და წინა შუალედურ და უკანა შუალედურ მერიდიანებზე; ასევე ე.წ. «ჩჯან» და «ფუ», რომლებიც წარმოქმნიან და აგროვებენ ენერჯიას («ინ» და «იან»).



სტატიები

ჯანმრთელობის მდგომარეობა განისაზღვრება ორგანიზმში «ჩი» — ენერჯის ნორმალური მოძრაობით. 12 ძირითად მერიდიანში მისი მიმოქცევა ექვემდებარება ბიოლოგიურ «საათებს». ამ მიმოქცევის პროცესში ხდება მთავარი ორგანოების ურთიერთზემოქმედება, ხოლო ბიოლოგიურად აქტიური წერტილების გავლით — ურთიერთზემოქმედება გარემომცველ სამყაროსთან. ენერჯის ნაწილი მიემართება კანისკენ, სადაც ასევე მიმოიქცევა მკაცრად განსაზღვრულ არხებში, მერიდიანს აქვს გარე და შიდა არხი, რომლებიც კანს აკავშირებენ შინაგან ორგანოებთან, საიდანაც ეს ენერჯია მოედინება».

დღევანდელი ქართული-მართმადიდებლური მსოფლმხედველობის გადმოსახედიდან, ითვლება რომ ყველაფერი, რაც აღმოსავლურ სწავლებას უკავშირდება, ანტიმართმადიდებლურია, რაზედაც საპირისპიროს ლაპარაკობენ უძველესი ფრესკები, ხატები და ქრისტიანული პირველწყაროები. აქ არ არის საუბარი მხოლოდ ერთ ან ორ ასეთ ჟესტზე, დღემდე ყოველდღიურ საერო თუ საეკლესიო ცხოვრებაში უამრავ მუდრას ვიყენებთ. მაგალითისთვის წარმოგიდგინთ რამოდენიმე მათგანს:



Prithivi-Mudra მიწის მუდრა, ერთერთი ყველაზე გავრცელებული მართმადიდებლურ ხატწერაში. მიწა — ერთერთი პირველელემენტია, ერთერთი სტიქია. ამ მუდრას იყენებენ, როგორც ადამიანის ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ასევე ნეგატიური ენერჯისგან დასაცავად.



Gyan-Mudra უმაღლესი ცოდნის მუდრა, რომელიც ხელს უწყობს როგორც ფიზიკურ, ასევე სულიერ განვითარებას, გაცნობიერებას და ორგანიზმის ენერგეტიკული პოტენციალის ზრდას.



Atmanjali-Mudra — ლოცვის მუდრა — ჰარმონიის, სიმშვიდის, მადლიერების და მედიტაციის ჟესტი. ეს მუდრა ძალიან ძლიერია, ის ამშვიდებს აზრებს და მასში სინათლე შეაქვთ, ანიჭებს სულიერ ძალას, რომელიც ადვილად ტრანსფორმირდება ფიზიკურში. შეიძლება შევადაროთ აზრების გამყარების თეორიას, როდესაც ტრანსცენდენტული აზრი მატერიალიზდება, ანუ ჩვენს ენაზე რომ ავხსნათ, სურვილები გვიხდება.



Kubera-Mudra — სურვილების ასრულების მუდრა, დაახლოებით იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ლოცვის მუდრას.

ეს მხოლოდ ნაწილია იმ მუდრების, რაც ყველაზე მეტადაა გავრცელებული, მათი რაოდენობა ბევრად მეტია და სამწუხაროდ, ჟურნალის ფორმატი ყველა მაგალითის მოყვანის საშუალებას არ გვამძლევს.

ამგვარად, ნათელი ხდება მუდრების რეალური ძალა და ზემოქმედება ადამიანზე. მათ არ აქვთ რელიგიური დატვირთვა. ეს ენერჯია ადამიანის ნაწილია. ამ ენერჯით იღებს ადამიანი სიცოცხლისთვის აუცილებელ ძალებს და მათი უგულვებელყოფა იგივეა, სუნთქვაზე რომ ვთქვათ უარი. მათი გამოყენება არ ეწინააღმდეგება არცერთ რელიგიას, პირიქით, ქრისტიანული ინიციატია მიგვითითებს კიდევ, რომ გამოვიყენოთ ეს სწავლება. ეს სავსებით მისაღები ცოდნაა, რომელიც ჯერ კიდევ რელიგიების წარმოშობამდე არსებობდა, მუდრა — უძველესი საშუალებაა საკუთარი თავის (და არა მხოლოდ საკუთარი თავის) განკურნების.

დამცავი სიმბოლოები¹

1. დღეგრძელობის კვანძი:



კვანძი-საწყისისა და დასასრულის გარეშე, რომელიც ტიბეტური ბუდიზმიდან მომდინარეობს — უსასრულობის და ყოველივე აღმატებულის სიმბოლოა.

ის იცავს იმას რაც ადამიანისათვის ძვირფასი და მნიშვნელოვანია. ასევე იცავს ავი თვალისაგან. ის წარმოადგენს ენერგეტიკული წონასწორობის დიაგრამას.

ის ეხმარება ადამიანს დაფარულის ამოცნობაში.

მოაქვს ჯანმრთელობა, აახალგაზრდავებს ორგანიზმს და მატებს სიბრძნეს.

2. ტუარეგების ჯვარი:



ჯვარი იცავს მის მეპატრონეს ყოველივე გაურკვეველისგან, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს მას. ის, როგორც ფარი იცავს ადამიანს ნეგატიური ენერგეტიკისაგან (წყევლა, ჯადო, თვალი).

იცავს ადამიანს შიშებისგან. ჯვრის მტარებელი დაცული იქნება უეცარი მოვლენებისგან. ასევე კარგია მისი ტარება მოგზაურობისას.

¹ მოამზადა ნიკა დვალიშვილმა.



3. ღვთაებრივი სიბრძნის თვალი:



სამკუთხედში ჩასმული თვალი ბოროტებაზე გამარჯვების და სიკეთისკენ მისწრაფების სიმბოლოა. მის მეპატრონეს მატებს ძალასა და თავდაჯერებულობას, ეხმარება სიზარმაცის დაძლევაში. თვალი გამოხატავს ღვთაებრივ ხედვას სულში და პირიქით. თვალის ცენტრი სიმბოლურად მის მტარებლის სულს განასახიერებს, რომელიც დაცულია ყოველგვარი ბოროტებისა და შეცდომებისაგან.

4. თორის ურო (მიოლნირი):




ძველი სკანდინავიური სიმბოლო ღვთაება თორის საბრძოლო იარაღი. სიმბოლო (რომლის ბევრი ვარიაცია შეგხვდებათ) იცავს მის მეპატრონეს ყველანაირი ნეგატიური ენერგეტიკისაგან, ანგრევს ცხოვრებისეულ დაბრკოლებებს. მმატებს მეპატრონეს ძალასა და გამბედაობას.




ნიკა დვალისვილი

ზოგიერთი ეზოთერული სიმბოლო¹



სიმბოლოები — ყველაზე მისტიური და ამავედროულად საინტერესო ოკულტური ცოდნაა, რომელიც ძველი დროიდან მოგვსდევს და სამწუხაროდ უკვე დავიწყებას ეძლევა. ბევრი მათგანის წარმოშობა უცნობია, ბევრის მნიშვნელობაც ორაზროვანია, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ახდენენ გარკვეულ ზეგავლენას ჩვენზე. ამ სტატიაში გვინდა გავშიფროთ ამა თუ იმ სიმბოლოს მნიშვნელობა და მისი პრაქტიკული გამოყენების წესები. მაშ ასე:



«ტრისკელი»

კულტური წარმოშობის სიმბოლოა საკმაოდ მარტივი დასახატად. ის ბუნებასთან წონასწორობაში ყოფნის სიმბოლოა. მისი სამი სფერო: ცეცხლი, ჰაერი და წყალი იმყოფებიან წონასწორობაში ერთმანეთთან. ამიტომ ასეთი სიმბოლოს მატარებელი (რომელიც შესაბამისად ამულეტი ხდება) მშვიდდება და მოდის

¹ <http://GeoAstro.Ge>



ჰარმონიაში თავის თავთან და ბუნებასთან. ასევე ტრისკელი შესანიშნავი დამცავია უარყოფითი ენერგეტიკისგან. სჯობს ეს სიმბოლო ხეზე ამოტვიფროთ და როგორც ყელსაბამი ატაროთ, ან დახატოთ ფურცელზე და გულის ჯიბეში ჩაიდოთ. ასევე შეგიძლიათ სახლისთვის ასეთი ფორმის აქსესუარი დაამზადოთ არ შეგეშინდეთ მისი გალამაზების, გაფერადების ან მორთვის.



«კულტური ლაბირინთი»

რთული სიმბოლო, რომელიც, როგორც მიხვდით, კულტური წარმოშობისაა. კულტები მას უძლიერეს შესაძლებლობებს მიაწერდნენ, კერძოდ: ბოროტი ძალებისგან დაცვას და ადამიანის მედიტაციურ ტრანსში შეყვანას. მიიჩნევა, რომ მისი შესაძლებლობები უფრო ეფექტური მამინ ხდება, თუკი ის მთვარის ქვაზეა ამოტვიფრული. მედიტაციურ ტრანსში შესასვლელად კი საჭიროა ამოტვიფრულ სიმბოლოზე ხელის გადასმა.




«ორმაგი პენტაგრამა»

სურათზე ჩვენ ვხედავთ დიდ პენტაგრამას, რომლის ცენტრშიც მოთავსებულია მისი პატარა ზომის ანალოგი (დიდი პენტაგრამა — მაკროკოსმოსია, ანუ სამყარო, პატარა კი მიკროკოსმოსია, ანუ ადამიანი) ეს სიმბოლო ასახავს ადამიანის და სამყაროს ერთობას. ეს სიმბოლო დაკავშირებულია




ბუნების 5 ელემენტთან: ნება-მიწა, გული-წყალი, ინტელექტი-ჰაერი, სამშვიინველი-ცეცხლი, სული-ეთერი. ამგვარად ადამიანის ნება, გული, ინტელექტი, სამშვიინველი და სული დაკავშირებულია კოსმიურ ელემენტებთან, რომლებიც მოდიან ჰარმონიაში ჩვენთან.

სასურველია ამ სიმბოლოს მეტალისგან დამზადება და ყელსაბამად ტარება



«ორუბორუსი (ორაბორუსი)»

ძველი, ჯერ კიდევ წარმართული რელიგიიდან მომდინარე სიმბოლოა, რომელიც სხვადასხვა ქვეყნის კულტურაში გვხვდება. ყველაზე ხშირად ის შუმერულ მითოლოგიაში გვხვდება და უსასრულობის, დაცვის და მუდმივობის სიმბოლოა. შუმერულ მითოლოგიაში არსებობს ლეგანდა დიდ წყლის გველამაპზე, რომელიც მთელ დედამიწას გარს ერტყმის და თავისივე კუდს ყლაპავს. ორუბორუსი შეგიძლიათ დახატოთ ფურცელზე, გაიკეთოთ მისი ფორმის ბეჭედი ან ყელსაბამი. ჩემი სუბიექტური აზრით, ეს ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დაცვის სიმბოლოა. მისი ტარება სამყაროსთან ჰარმონიაში მოგიყვანთ. მაგრამ ფრთხილად უნდა იყოთ, სასურველია ორუბორუსი პერიოდულად და დროგამომშვებით ატაროთD იმის გამო, რომ ორუბორუსი თავისი დადებითი უნარების გარდა, შეუძლია რუტინაში ჩაგითრიოთ.



ნიკა დვალისვილი

წარმატების მომტანი სიმბოლოები¹

- 1) ნალი: ნალი ითვლება ერთერთ უძველეს წარმატებისმომტან სიმბოლოთ, ითვლება, რომ ის ცუდი თვალისგან იცავს ადამიანს. თუკი ნალი ჩამოკიდებულია ბოლოებით მაღლა ის დიდ წარმატებას მოიტანს თქვენს ოჯახში.
- 2) რკო: დიახ, ჩვეულებრივი რკო, რომელსაც მუხა ისხამს, ითვლება ერთერთ წარმატების სიმბოლოთ, რომელიც ბოროტი აამიანისგან იცავს. არის ნაყოფიერების და სიცოცხლის სიმბოლო. ძველად ჯარისკაცები ომში ჯიბით რკოს ატარებდნენ იმის იმედით, რომ ის მათ მტრისგან დაიცავდა.
- 3) სვასტიკა: ითვლება უძლიერეს წარმატების სიმბოლოთ, მისი სახელი სანსკრიტზე იშიფრება როგორც «სვ»-კარგი, «ასტი»-ყოფნა, «კა»-უბრალოდ სუფიქსია. ეს სიმბოლო ფართოდ გამოიყენება იუდიზმში და ბუდიზმში.



- 4) კადუცი: ეს სიმბოლო წარმოადგენს კვერთხს ორი ფრთიანი გველით შემოხვეულს. კადუცი ითვლება წარმატების სიმბოლოთ, ის ხშირად შეგვხვდებათ სხვადასხვა სამედიცინო ორგანიზაციებში იგივე აფთიაქში. ითვლება ჯამრთელობის და იმუნიტეტის გამამდიერებელ სიმბოლოთ. ორი გველი კვერთხს გარშემო შემოხვეული წარმოადგენენ წონასწორობის სიმბოლოს, ხოლო ფრთები, ჰერმესის(იგივე მერკურის) სიმბოლოა.


¹ <http://GeoAstro.Ge>



- 5) გასაღები: იგივე გასაღებიც წარმატების სიმბოლოთ ითვლება, ითვლება, რომ ის ყოველგვარ რთულ სიტუაციაში დაგეხმარებათ. ამიტომ შეგიძლიათ, როგორც აქსესუარი გასაღები ატაროთ ლამაზიცაა და თან წარმატებაც მოაქვს.
- 6) წითელი ძაფი: უბრალო წითელი ნატურალური მატერიისგან გაკეთებული ძაფი იცავს ავი თვალისგან თუკი მას ხელზე შემოხვეულს ატარებთ.



ზოგადად კი თქვენ თვითონ შეგიძლიათ მიანიჭოთ უბრალო ნივთსაც კი რაიმე აზრი და, როგორც თილისმა ატაროთ.



ნიკა დვალიშვილი

რა არის ქანქარა?¹



ქანქარასთან მუშაობა ცნობილია უძველესი დროიდან. მას იყენებდნენ მესოპოტამიაში, ბაბილონში, სირიაში, ეგვიპტეში, რომსა და საბერძნეთში. მისი დანიშნულება სხვადასხვაგვარი იყო: ზოგი ქანქარის მეშვეობით გებულობდა პასუხს მისთვის საინტერესო კითხვაზე, ზოგი ქანქარით წყალს, განძს პოულობდნენ.

როგორ მუშაობს ქანქარა?

ენერგოინფორმაციულ გამოსხივებებს გააჩნიათ იმხელავე სიხშირის დიაპაზონი, როგორც ადამიანის ასტრალურ სხეულს და მის ქვეცნობიერს. (ქვეცნობიერი ასტრალური სხეულის შემადგენელია) ეს გამოსხივებები აღიქმება ადამიანის ასტრალური სხეულით იქიდან ინფორმაცია გადადის ქვეცნობიერში, იქედან კი ხდება იმპულსის გაგზავნა კუნთის შესაბამისი ინფორმაციით რომელიც შემდგომში ქანქარაზე გადადის და გვიჩვენებს პასუხს. მარტივად რომ ვთქვად ჩვენმა ქვეცნობიერმა იცის პასუხი ყველა კითხვაზე, მაგრამ ცნობიერი უშლის ხელს მას იმაში, რომ ეს ინფორმაცია ჩვენამდე მოვიდეს სახეუცვლელი და სრულყოფილი. და ქანქარა არის ერთერთი ხელსაწყო, რომელიც ასევეთქვად აკავშირებს ჩვენს ქვეცნობიერს ცნობიერთან.

¹ <http://GeoAstro.Ge>





დავამზადოთ ქანქარა ჩვენი ხელით?

თქვენ შეგიძლიათ დაამზადოთ ქანქარა თქვენივე ხელით. არააქვს მნიშვნელობა რაიქნება ეს შეგიძლიათ უბრალო ლურსმანი ჩამოკიდოთ თოკზე და იმით იმუშავოთ თავდაპირველად, ან ბეჭედი გამოაბათ თოკს.

ქანქარისთვის თითქმის ნებისმიერი მასალის შერჩევა შეგიძლიათ ქვებიდან დაწყებული რკინით დამთავრებული(ერთადერთი სასურველია თავი შეიკავოთ ძვლისაგან ის სიკვდილის ენერგეტიკას ატარებს).

არც ქანქარას ფორმას არააქვს დიდი მნიშვნელობა, ნუ რათქმაუნდა წაწვეტებული ბოლოთი უკეთესია. თოკის სიგრძე დაახლოებით 15-20 სმ. სრულიად საკმარისი იქნება თვითონ ქანქარა კი დაახლოებით 20-30 გრამი. ეს სტანდარტული ზომებია თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ისეთი, როგორც თქვენთვის უფრო მოსახერხებელი იქნება.

როგორ დავუსვა კითხვა?

ეს ძალიან მარტივი რამაა ერთი შეხედვით...

კითხვა უნდა დაისვას ისე, რომ მასზე პასუხი გამოვიდეს ან «კი» ან «არა».

მაგალითად: მირანდა 25-ში ჩამოვა თუ 26-ში? — ეს არასწორი კითხვაა ქანქარა ფიზიკურად ვერ გაგცემთ ამაზე პასუხს, ამიტომ დაყავით ეს კითხვა ორ ნაწილად და პასუხიც გეცოდინებათ.

როგორც წესი ქანქარას მარჯვენა ხელში იჭერენ თითებით, ხელი მყარად დევს, ხელი მოდუნებულია, მაგრამ არ მოძრაობს.

თუ რომელ მხარეს იქნება სწორი პასუხი ქანქარის ქანაობისას ეს ინდივიდუალური რამაა ჩემი აზრით. ამიტომ სჯობს აიღოთ ქანქარა ხელში და დაუსვათ კითხვა: რომელი მოძრაობა ნიშნავს კი? თუკი მერჯენიდან — მარცხნივ მიდის დაიმახსოვრეთ შემდგომისთვის რომ ეს მოძრაობა «კი»-ს ნიშნავს და ანალოგიური რამ «არა»-ზე ჩაატარეთ, როგორც წესი ის წინდაუკან დაიწყებს ქანავს ანუ საპირისპიროდ.

მამუკა გურული

აიურვედა



რა მნიშვნელობა აქვს დროისა და კვების რეჟიმის სწორად განაწილებას? მაგალითად რატომაა მზის ამოსვლამდე ადგომა კარგი და დილით ლოცვა ყველაზე საუკეთესო სულიერი განვითარებისთვის? ამ და სხვა კითხვებზე აიურვედა იძლევა ლოგიკურ და დამაჯერებელ პასუხებს. მნელია რაღაცის ბრმად დაჯერება და გაკეთება თუ საკმაო არგუმენტაცია არ გაქვს ამისთვის. რამდენიმე სიტყვით ცოტა მნელია მაგრამ შევეცდები.

3-დან 5 საათამდე (დილის), ითვლება ყველაზე წმინდა დროდ. გარემოს (განსაკუთრებით) ხმის ნეგატიური ზეგავლენა ყველაზე ნაკლებია ამ დროს, გონება ყველაზე მშვიდ მდგომარეობაშია. ხოლო თუ ვისაუბრებთ გუნების (მოდუსების)

გავლენაზე (რაც ცალკე დიდი თემაა და ამაზე არ დავკონკრეტდები), ამ დროს ადამიანზე გავლენას არ ახდენს არც სათნოების, არც ვნების და არც უმეცრების ძალა, ანუ ეს დრო ყველაზე სუფთა და წმინდაა. 6 საათიდან (მზის ამოსვლიდან) უკვე იწყებს მოქმედებას სათნოების გუნა. ნათქვამია რომ რომელი გუნის დროსაც ადგება ადამიანი, ის გუნა იქონიებს მასზე გავლენას (უპირატესად) მთელი დღის განმავლობაში.

აიურვედა პირველ რიგში ცხოვრების ჯანმრთელ წესს გვასწავლის ოღონდ სისტემურად და მეცნიერულად და არა გაფანტული რჩევების და «ძველებმა იცოდნენ»-ს სახით. ძალიან რთული და სისტემური მეცნიერებაა სხვათა შორის და ვედების ერთ-ერთი ნაწილია.

სიტყვა აიურვედა ნიშნავს «სიცოცხლის ხელოვნებას», ანუ ეს არის მეცნიერება ჯანმრთელობის და არა ავადმყოფობების შესახებ, თუმცა რა თქმა უნდა ავადმყოფობებს შეისწავლის, როგორც ჯანმრთელობიდან გადახრებს.

მთავარი აქცენტი სულისა და სხეულის სწორ მდგომარეობაზეა. რეჟიმი და სწორი კვება ის მინიმუმებია, რომლის უგულვებელყოფის შემთხვევაში დანარჩენზე (იოგაზე, მედიტაციაზე, სულიერ განვითარებაზე) ლაპარაკი ზედმეტია, ამიტომაც ეთმობა უდიდესი მნიშვნელობა, თორემ სულიერად განვითარებული ხალხისთვის კვება და რეჟიმი უკვე მეორადი ხდება. ფიზიკური ვარჯიშები ჰათჰა-იოგის შემადგენელი ნაწილია და აიურვედა ამ სავარჯიშოებსაც იყენებს.


რამდენიმე რჩევას თემიდან «არა კლა»:

აიურვედის მიხედვით მცენარეული ზეთი საერთოდ არაა რეკომენდებული საჭმელად, მას მხოლოდ კანზე წასასმელად იყენებენ. საჭმელისთვის კი გამოიყენება ერბო, რომელიც ძალიან სასარგებლოა და უებარი წამალია ბევრი დაავადებისთვის. მასში არის კონცენტრირებული, სუფთა სახით მზის და იუპიტერის ენერჯია. ნუ მზის ენერჯიაზე ლაპარაკიც ზედმეტია და იუპიტერის ენერჯია იწვევს იმუნიტეტის სტიმულაციას და გაძლიერებას. ასევე ერბო აძლიერებს საჭმლის მომწელებელ «ცეცხლს» და მათთვის ვისაც დარღვეული აქვთ საჭმლის მონელება, საუკეთესო წამალია (ოღონდ ერბო ჯობია მხოლოდ შუადღით მივიღოთ).

თუ ერბოს შევინახავთ ბნელ ადგილას. 5 წლის მერე ის იძენს გაცილებით ძლიერ სამკურნალო თვისებებს და რაც უფრო დიდხანსაა შენახული, ეს თვისებები უფრო ძლიერდება. (არ უნდა მოხვდეს სინათლე).

საგანგებო სიტუაციებში. ომიანობის, შიმშილობის დროს და ა.შ. დღეში 1 კოვზი ერბო და 1 კოვზი თაფლი იმხელა ენერჯიას იძლევა რომ სრულიად საკმარისია თავის გასატანად.

საერთოდ გასათვალისწინებელია რომ ვეგეტარიანელს გაცილებით მეტი გამძლეობა აქვს ყველაფრისადმი და განსაკუთრებით შიმშილისადმი, ვიდრე ხორცის მჭამელს.



მინდა ორი სიტყვა ვთქვა იმ ხალხზე, ვინც ფიზიკურად დატვირთულია ან ფიზიკურად ვარჯიშობს. მათთვის აუცილებელია ყველი. იმიტომ რომ ყველაზე მეტ კუნთოვან ძალას იძლევა ყველი და ხორცი, მაგრამ ყველი «+» ნიშით, ხორცი «-» ნიშით, ანუ ხორცი იძლევა აგრესიის ენერგიას, ხოლო ყველი სიმშვიდის ენერგიას და მეომრისთვისაც კი (არათუ სპორტსმენისთვის) სიმშვიდე და თავის კონტროლი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე აგრესია! ყველი აძლიერებს კუნთებში როგორც ძალას, ასევე სიმტკიცესაც. კარგია სხვადასხვა თიაქრების დროსაც (თიაქარის მთავარი მიზეზი კუნთოვანი სისუსტეა).

კუნთებისთვის კარგია ასევე შვრიაც («ჰერკულესი»).

კუნთების, კისრის, ზურგის დაჭიმულობის დროს, ოსტეოქონდროზების დროს, ყურების ტკივილის დროს, თავის ტკივილის დროს წაისვით შესაბამის ადგილებზე ერბო და გარანტიას გაძლევთ სიმპტომები რამდენიმე წუთში გაგივლით (თუ ძალიან მძიმე შემთხვევაა მაშინ სისტემატიური მკურნალობით რამდენიმე დღეში ან კვირაში).

ასევე ერბო კარგია შეკრულობის, ყაზობის დროს. უნდა მივიღოთ ჭამამდე ან/და ჭამის მერე მცირე რაოდენობით (იგულისხმება სადილი), ან დავიზილოთ მუცელი (ჭიპის მიდამოში).

რაც უფრო დიდხანსაა შენახული ერბო, უფრო ძლიერი სამკურნალო თვისებები აქვს. აიურვედაში წერია, რომ ერბო, რომელიც 100 წლის შენახულია აბსოლუტურად ყველაფერს კურნავს. (მასში კონცენტრირდება ძალიან დიდი რაოდენობით სუფთა სახის მზის და იუპიტერის ენერგია), (უნდა ინახებოდეს გრილ და ბნელ ადგილას).


თუ ერბოს ნაკელის ფხვნილთან შევურევთ (პროპორციები ყველასთვის ინდივიდუალურია) ნაჭერს წავუსვამთ და სხეულის გარკვეულ ზონებზე შევიხვევთ. ეს კურნავს უამრავ შინაგან და გარეგან დაავადებას. ერბოში ყველაზე სუფთა სახის ცეცხლის ელემენტი, ნაკელში კი ყველაზე სუფთა სახის ჰაერის ელემენტი, ამიტომ მათი ურთიერთქმედებით ძალიან მაღალეფექტური ნაზავი მიიღება.

უცნაურია, რომ რძე, რომელშიც სუფთა სახის მთვარის ენერგიაა (ინი), რძის სხვადასხვა პროდუქტად გარდაქმნისას აბსოლუტურად განსხვავებულ ენერგიებს იღებს. (ერბო, სუფთა მზეა (და იუპიტერიც) ანუ იანი).

ძროხის შარდზეც ვიტყვოდი 1-2 სიტყვას გაგეცინებათ, მაგრამ მაინც:

ყველაზე ძლიერი ანტიოქსიდანტი და ტოქსინების გამომყვანია და ყველაზე სწრაფად გამოჰყავს ნაწლავური პარაზიტები, ასევე შლის კენჭებს (ისეთ კენჭებსაც, რომლებსაც ჩვეულებრივი მედიკამენტები ვერ შლიან. მთლიანად ასუფთავებს ორგანიზმს).

ძროხის შარდს აქვს მძაფრი (და არა მყრალი) სუნი და გემო, თუ წყლით გავაზავებთ უსიამოვნო დასალევიც აღარაა. ჯობია წამოდულებული იყოს (ბრუცელოზისგან და ა.შ. თავის დაზღვევის მიზნით). არ შეიძლება ხარის შარდი, იმიტომ რომ იმდენად დიდი მზის ენერგია (იანი) აქვს, რომ ბევრი ვერ უძლებს!



ძროხის შარდი ძალიან სწრაფად ხსნის ნარკოტიკულ ლომკებს (ალბათ ალკოჰოლურსაც).

ასევე ასუფთავებს ენერგეტიკულ არხებს (ნადიებს).

არის ძლიერი საფადართო საშუალება (ასტიმულირებს ნაწლავის მოტორიკას, ისე რომ არ რეგს მას).

ერთ მიღებაზე არ უნდა დავლიოთ 150 გრამზე მეტი. კურნავს ანგინასაც.

რაიმე ტოქსინით, ლითონებით მოწამვლით, სოკოთი ან სხვა რამეთი მოწამვლის დროს ყველაზე სწრაფმოქმედი და საიმედო საშუალებაა, იმიტომ რომ ძალიან სწრაფად აუვნებელყოფს შხამებს. (ერთ-ერთი აიურვედისტი ჰყვება, რომ მიუყვანეს მომაკვდავი ძაღლი, რომელიც სპეციალურად მოწამლეს და ძროხის შარდის მიღების შემდეგ მალევე გამოცოცხლდა და მეორე დღეს ჯანმრთელი იყო.)

აქვე ავღნიშნავ რომ ტოქსიკური მოწამვლის დროს ასევე ძალიან კარგია «შავი პერიცას» ნაყენი (ერთ ჭიქა ცხელ წყალზე ერთი ჩაის კოვზი და ცოტა მარილიც). შარდთან შედარებით უფრო რბილად მოქმედებს. შარდს უფრო «ტურბო» მოქმედება აქვს და ექსტრემალურ სიტუაციაში ჯობია.

ძროხის შარდით მკურნალობისას არ აღინიშნება ტკივილი, მაგრამ შეიძლება იყოს საერთო სისუსტე და მოთენთილობა. რის შემდეგაც ძლიერდება მადა.

შენახვის ვადა მაქსიმუმ 2 დღე (მაცივარში ან ცივ ადგილას).

კიდევ რაღაც გამახსენდა ერბოსთან დაკავშირებით.


თუ ყოველ ღამე ძილის წინ ფეხის ტერფებს ერბოთი დავიზელთ (მერე უნდა დავიზანოთ რა თქმა უნდა), დროთა განმავლობაში ამით თითქმის ყველა დაავადება იკურნება (ტერფებში მოთავსებულის ყველა ენერგეტიკული მერიდიანა და ხდება მათი სუფთა ცეცხლით გაწმენდა).

ეს ძალიან კარგი და აუცილებელიც კია ბავშვებისთვის (ყველა ასაკში, განსაკუთრებით წელიწადის ცივ პერიოდებში).

და ისევ ვიმეორებ, ყველა ამ მაღლის სანაცვლოდ რასაც ძროხა გვაძლევს ძროხის ხორცი არ უნდა ვჭამოთ! წინააღმდეგ შემთხვევაში მკურნალობას ეფექტი არ ექნება!

თეთრი (რაფინირებული) შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, მურაბა, ჯემი, სიროფები ამ ყველაფრის ხმარებას ჯობია მოვერიდოთ, რადგან შაქარი კუჭის წვენის სეკრეციას აფერხებს. თუ ტკბილეულობას სხვა საკვებთან ერთად იღებენ, ის კუჭში დიდხანს ჩერდება, დუღილს იწყებს და გარდა ამისა, კუჭის მოქმნილობას ასუსტებს. მჟავიანობა, კუჭის წვა — ამ პროცესის შედეგებია. თავლი შაქრიან პროდუქტებს ეკუთვნის, რადგან ის უკვე გადამუშავებულია ფუტკრების საკვების მომწელებელი აპარატის მიერ, სისხლში შეიწოვება მიღებიდან 20 წუთის შემდეგ და ამასთან, არ ტვირთავს ღვიძლს და ორგანიზმის არც ერთ სხვა სისტემას.

თეთრი შაქარი წარმოადგენს კანცეროგენს და ხელს უწყობს კიბოს განვითარებას, განსაკუთრებით დიდი დოზების მიღებისას.



მაგრამ ეცადეთ თანდათან დოზა შეამციროთ, მითუმეტეს იმ პერიოდში როცა ხილია. და თაფლით თუ ჩაანაცვლებთ მთლად უკეთესი

აქ თავად ტკბილზე არაა პრობლემა. ტკბილი რამდენიც გინდათ იმდენი ჭამეთ (მითუმეტეს მანდილოსნებმა, ოღონდ საღამოს მაინც არ გირჩევთ) რაფინირებული შაქრის შემცველი პროდუქტებია ცუდი და არა ტკბილი.

აი მაგალითად ჩურჩხელა, ტკბილი კვერი, თუ სუფთა ბადაგისგანაა გაკეთებული გემრიელად მიირთვით და შეგერგებათ კიდევ.

ასევე შეუმჩნეველი, მაგრამ რეალურად ცუდი მოქმედება აქვს ადამიანის ენერგეტიკაზე (პრანაზე) და ქიმიას და ფიზიკას რომ თავი დავანებოთ აბინძურებს ენერგეტიკას და აძლიერებს ადამიანის მიჯაჭვულობას მატერიალურ სურვილებზე. ტკბილი შეიძლება ვიდრე მამაკაცებისთვის) უნებისყოფონი არიან და მიდრეკილება უჩნდებათ სხვა უფრო მავნე ჩვევებისადმი მიჯაჭვისკენ.

ეს ბევრმა ფსიქოლოგმა და არა მარტო ფსიქოლოგმა იცის. მილოშ ფორმანის ფილმში «ამადეუსი» სალიერის პორტრეტის შექმნაში ერთ-ერთი დიდი როლი უკავია იმას, რომ მას უზომოდ უყვარს ტკბილეული.

არადა ცელიბატს იცავს და ღმერთს ამის სანაცვლოდ მუსიკალურ კარიერაში წინსვლა სთხოვა.

მოკლედ დიდ რეჟისორებს და ხელოვან ადამიანებს ქვეცნობიერად ყოველთვის აქვთ მარადიული ცოდნა. მხოლოდ დანახვაა საჭირო.

პ.ს. იგივეს ვიტყვოდი შოკოლადზე, სადაც დამატებითი მავნე ფაქტორი კოფეინია, რომელიც ასე ვთქვათ მსუბუქი «ნარკოტიკია» და მიჯაჭვულობას იწვევს.

კიდევ ერთი რჩევა: წყალი დალიეთ იმაზე გაცილებით მეტი, ვიდრე ორგანიზმი ითხოვს. ჭამამდე ნახევარი საათით ადრე და ჭამიდან 2-3 საათის მერე.

დილით გაღვიძებისთანავე დალიეთ 1 ჭიქა წყალი და ეს ყოველდღიური ჩვევა უნდა იყოს. (ჯობია ლოგინთან გედოთ რომ არ დაგავიწყდეთ.

საერთოდ ადამიანის ორგანიზმს იმაზე გაცილებით მეტი წყალი ჭირდება, ვიდრე ჩვენ ვსვამთ. წყურვილი რატომ არ გვაქვსო იკითხავთ ალბათ. წყურვილი იმიტომ არ გვაქვს რომ დაჩლუნგებულია ჩვენი მგრძნობელობითი სისტემა და სანამ კარგად არ გაიწმინდება ნატიფი და უხეში სხეული, მანამდე ძნელია რომ ორგანიზმის «მოთხოვნებს» ენდო.

თუ ნდობაა ყველაზე მეტად მაინც ყნოსვას ენდეთ და არა გემოს.

მამუკა გურული

დროის ცნება ვედებში



დროს სანსკრიტულად ქვია «კალა» ღმერთის ერთ-ერთი ასპექტის სახელია «დარა» (მომცემი) აქედან მოდის «კალანდარა». ანუ დროის მომცემი არის ღმერთი. სიტყვა კალენდარიც აქედან მოდის (და გურული კალანდაც რაღაც კავშირშია ეტყობა. გვარი — კალანდარიშვილიც).

დავიწყით დროის იმ შუალედის აღწერით, რომელსაც ქვია მაჰაკალპა (დიდი ციკლი). ეს არის ციკლი, როცა იქმნება ყველა მატერიალური ელემენტი და ის გრძელდება ექვსასოცდაორი ტრილიონოთხმოცი მილიარდი დედამიწის წელიწადი. შემდეგი ციკლია მატერიალური სამყაროს არსებობის ვადა. ეს ვადაა სამასთირთმეტი ტრილიონორმოციმილიარდი დედამიწის წელიწადი. ამჟამად გასულია ასორმოცდათხუთმეტი ტრილიონ 250 მილიარდი წელი (ანუ ჩვენ ვცხოვრობთ ამ ციკლის შუაში). აღწერილია რომ ერთი კოსმიური დღე უდრის ოთხიმილიარდსამასოციმილიონ დედამიწის წელს. ეს არის სამყაროს ერთი დღე. ამ დღეს უწოდებენ ბრაჰმას დღესაც. (ბრაჰმა არის ნახევარღმერთი, რომელიც სამყაროს შექმნაზე აგებს პასუხს). 1 კალპა, ანუ სამყაროს ერთი დღე დაყოფილია 1000 პერიოდად, რომლებსაც ქვიათ «ჩატურიუგები» (ჩატურ»-ნიშნავს ოთხს четыре (რუს)). რომელთაგან თვითოეული შედგება 4 ეპოქისგან (იუგისგან): ოქროს ეპოქა (სატია იუგა) გრძელდება 1 728 000 წელი. ამ დროს დედამიწაზე არის უზარმაზარი

ცივილიზაცია, ყველა იმყოფება სათნოების გუნაში. ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ამ დროს შეადგენს 100 000 წელს. (თუმცა ფსიქოლოგიურად ისინი ამას აღიქვამენ ისევე, როგორც ჩვენ აღვიქვამთ 100 წელს). მათი ზომა არის წარმოუდგენლად დიდი. არავინ არ იყენებს სხვა მეტალს გარდა ოქროსი. და ასევე იყენებენ ძალიან ძვირფას ქვებს. სულიერ პრაქტიკას ამ დროისთვის წარმოადგენს აშტანგა (რვასაფეხურიანი) იოგა.

ყოველი ეპოქის შემდეგ ხდება «აღსასრულის» პროცესი (ამ შუალედს ეწოდება პრაღია). თითქმის ყველაფერი წყლით იფარება დიდი ხნის განმავლობაში (რჩება ადგილები, კუნძულებივით, სადაც რჩებიან ადამიანები, კონკრეტული მისიებით, რომლებსაც ძალიან მაღალგანვითარებული ცნობიერება აქვთ) ყველა დანარჩენი ადამიანი სატია იუგის მერე ან უფრო მაღალ (სამოთხისეულ) პლაეტებზე გადადის, ან პირდაპირ სულიერ სამყაროში ხვდება). სულ 3%-ია ადამიანებისა, რომლებსაც «არ უმართლებთ» და სულიერი სამყაროს ნაცვლად სამოთხეში ხვდებიან).

ვერცხლის ეპოქა (ტრეტა-იუგა) გრძელდება 1 296 000 წელი. სიცოცხლის ხანგრძლივობა 10-ერ მცირდება და 10 000 წელს შეადგენს. 10-ჯერ პატარები არიან ზომაშიც და 10-ჯერ ნაკლები გონებრივი და მისტიკური ძალები აქვთ. სულიერ პრაქტიკას წარმოადგენს ღმერთისადმი ცეცხლით თაყვანისცემა (ცეცხლში «გის» (ერბოს) დასხმა და მანტრების გალობა. (არსით იგივეა რაც ანთებულ სანთელზე ლოცვა). სატია იუგისგან განსხვავებით, მეორე ეპოქაში მოსახლეობის 25% უკვე ცოდვილია. (იქ 3% იყო ცოდვილი (ის 3% რომელიც სამოთხეში ხვდებოდა)).

შემდეგ მოდის მომდევნო წარღვნა (პრაღია). და ის ადამიანები, რომლებიც ვერ მოხვდნენ სულიერ სამყაროში ან არ ავიდნენ სამოთხისეულ პლანეტებზე, დასაბამს აძლევენ შემდეგი ეპოქის ადამიანებს.

ბრინჯაოს ეპოქა (დვაპარა-იუგა) გრძელდება 864 000 წელი. სიცოცხლის ხანგრძლივობა 1000 წელია. ასევე 10-ჯერ მცირდება მათი ზომები და გონებრივ-ფიზიკური შესაძლებლობები. სულიერ პრაქტიკად ამ ეპოქაში ითვლება ღვთაებისადმი თაყვანისცემა ტაძარში. პლანეტის მოსახლეობის საშუალოდ 50% ცოდვილია. უკვე ბევრია კონფლიქტები, ომები და ა.შ.

სავარაუდოდ ნოეს ისტორია (და იგივე მანუს ისტორია ვედებში) ამ ეპოქისშემდგომ წყალდიდობას ეხება)

მეოთხე — რკინის ეპოქა (კალი-იუგა) რომელიც გრძელდება 432 000 წელი. გასულია 5000 წელზე ცოტა მეტი. სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ 100 წელია. ვედურ წინასწარმეტყველებებში აღწერილია რომ სიცოცხლის ხანგრძლივობა პირველ 5000 წლის განმავლობაში 30%-ით შემცირდება. ასევე ნათქვამია რომ პირველი 5000 წელი იქნება მზარდი დეგრადაცია და 75% ადამიანებისა იქმენა ძალიან ცოდვილი. და 25% — ს იქნება სათნოებისკენ მიდრეკილება, მაგრამ დანარჩენი 75%-ის გავლენის ქვეშ იქნებიან. სულიერ პრაქტიკად ამ ეპოქაში მოწოდებულია ღმერთის სახელების ერთობლივი გალობა. ძირითადი მეტალი — რკინა.



ორიოდ სიტყვას ვიტყვი ვედურ წინასწარმეტყველებებზე, რომლებიც შეეხება კალი იუგას:

კალი იუგის დამახასიათებელი ნიშნებია: ლოთობა, არაკანონიერი სქესობრივი კავშირები, ცხოველთა მოკვლა და მათი ჭამა და აზარტული თამაშები. ადამიანებს უმცირდებათ სიცოცხლის ხანგრძლივობა, მეხსიერება, ჯანმრთელობა, მორალური და რელიგიური პრინციპები.

საზოგადოებაში იქნება ე.წ. «განათლებული» ადამიანების ოთხი ტიპი:

«ვედა-ვადა-რაგები» — ადამიანები რომლებიც შეისწავლიან და სხვებს ასწავლიან ვედებს (არსწორი მიზნებისთვის და სპეკულაციებისთვის). ისინი უარყოფენ პურანების ჭეშმარიტებას. თავისებურ კომენტირებას უკეთებენ ვედურ ტექსტებს. არ იციან ვედების ჭეშმარიტი მიზანი. ყურს არ უგდებენ ვედების ავტორიტეტულ უძველეს მიმდევრებს და ისეთ კომენტარებს უკეთებენ ვედებს, როგორც თვითონ აწყობთ. ისინი წაიყვანენ ადამიანებს არა ღმერთისკენ, არამედ უმეცრებისკენ.

«მაია-პახრიტა-გიანები» თვითმარქვია «ღმერთები», სენსორები (ექსტრასენსები). დამოკიდებულნი იქნებიან მხოლოდ ფულზე. თავს ღმერთად, ღმერთის რომელიმე ავატარად ან მესიებად აღიარებენ. იქნებიან გავლენიანები და მოიპოვებენ დიდ ავტორიტეტს ხალხთა შორის. აღწერილია სამი ადამიანი, რომელიც მცოდნედ წარმოგვიჩენს თავს, სინამდვილეში კი დემონები არიან. ესენია: «მარქშა» (ალბათ მარქსი), «დარვინა» და «ხრეიდა» (ალბათ ფროიდი).


«ასურა-ბჰავამ» ანუ დემონები, ათეისტები (ასურა ნიშნავს დემონს), რომლებიც შექმნიან პრინციპს: «არ შეიძლება, მაგრამ თუ ძალიან გინდა შეიძლება!» მატერიალური მოთხოვნილებების გაძლიერებასთან ერთად ცვლიან კანონებს. ფართო გზას აძლევენ მატერიალური და გრძნობისმიერი სურვილების ასრულებას.

«ნართჰამები» ავტორიტეტული სახელმწიფოს მმართველები, რომლებიც უკანონოდ ცხოვრობენ, თავად იგონებენ კანონებს და თავად არ ასრულებენ მათ.

«ბჰავიშტია პურანაში» მოყვანილია წინასწარმეტყველება, რომელიც ეხება იესოს: აღწერილია მაჰარაჯა (ანუ დიდი მეფე) «შალვაჰანა» რომელიც მოგზაურობს ჰიმალაებში და მალა მთებში ის ხვდება თეთრებში გამოწყობილ «სადჰუს» (სადჰუ ნიშნავს წმინდანს, ღმერთის ერთგულს). მეფე ეკითხება ვინაობას, და ის პასუხობს (სანსკრიტზე):

«იშა პუტრა ჩან მან ვიდჰი, კუმარი გარბჰი სანბჰავამ, აჰამ ისამ ასიჰი ნამაჰა» (ზუსტი სანსკრიტის დადება გამიჭირდება, მაგრამ ქართული ასოებით ასე ჟღერს. თარგმანი ასეთია: «მე ვარ მე ღვთისა, შობილი ქალწულისგან და შენ უნდა იცოდე ეს. ადამიანები მიწოდებენ მე «იესო მესიას».

ვედებში ასევე რამდენიმე ადგილას არის მოხსენიებული იესოს (იშას, იეშუას) მისიის შესახებ. ასევე მას უწოდებენ «კრშტომას» («კრშ» ნიშნავს ყოვლისმიმზიდველს (ღმერთის ერთ-ერთი სახელი სანსკრიტზე, ხოლო «ტომა» ნიშნავს დაკმაყოფილებას, ანუ ის ვინც აკმაყოფილებს (ემსახურება) ღმერთს, ასევე ნიშნავს ღმერთის მიერ მირონცხებულს).



გიორგი ხუნზახიშვილი

რეიკი უნივერსალური სასიცოცხლო ენერჯია¹



ენერჯია რეიკი ჩვენს დროში ყველაზე ცნობილი და ერთ-ერთი უძველესი, ბუნებრივი სამკურნალო-გამაჯანსაღებელი სისტემაა. მისი არსი მდგომარეობს უნივერსალური სასიცოცხლო ენერჯიის გადაცემაში. ეს ის ენერჯიაა, რაც ჩვენს სამყაროში ყველაფერ ცოცხალს ასაზრდოებს.

იგი ეფექტურად კურნავს ადამიანს ფიზიკურ, ფსიქიკურ, ემოციონალურ და სულიერ დონეებზე. რეიკი ძველი ენერგეტიკული სისტემაა, რომელიც ტიბეტიდან წამოვიდა, გავრცელდა ეგვიპტეში, ძველ საბერძნეთში, რომში, ინდოეთში და შემდეგ აღმოსავლეთით — ჩინეთსა და იაპონიაში.

ძველად რეიკი ხელმისაწვდომი იყო განდობილთა მცირე ნაწილისთვის. ამის გამო, დროთა განმავლობაში ის თითქმის დაიკარგა.

XIX საუკუნის მიწურულს, იაპონიაში რეიკის სისტემას მიაკვლია და აალორძინა დოქტორმა მიკაო უსუიმ. იაპონურად Reiki ნიშნავს უნივერსალურს, Ki — სასიცოცხლო ძალას.

ამ ენერჯიაზე ხელი ყველას მიგვიწვდება. როდესაც სხეულის რომელიმე ნაწილი გვეტკინება, ხელს დაუფიქრებლად იმ ადგილას ვიდებთ და გვიჭირავს. სინამდვილეში, ამგვარად სამკურნალო ენერჯიას მტკივნეულ ადგილას ვგზავნით ისე, რომ ამაზე წარმოდგენაც არ გვაქვს. თუმცა გადავცემთ ენერჯიის მხოლოდ 5-10 პროცენტს. ენერჯიის ოპტიმალური რაოდენობის მისაღებად კი საჭიროა ენერგეტიკული არხი სრულად გაიხსნას, რასაც ოსტატის მიერ ინიციაციის

¹ ჟურნალი «ასტრო News», წლის ოქტომბერი 2013.

პროცედურის ჩატარება სჭირდება. რეიკის სისტემაში ჩართვის წყალობით შეგვიძლია სასიცოცხლო ენერჯის პოტენციალი სრულად გამოვიყენოთ.

ენერჯის მიღებას არ უნდა შევხედოთ ისე, როგორც რაღაც მისტიურ მოვლენას. როგორც ჟანგბადი არსებობს ბუნებაში და ის შთაინთქმება ჩვენი ორგანიზმის მიერ, ასევე შევიწოვთ» სამკურნალო ენერჯიას. რეიკს სწავლობენ, ასწავლიან, იკვლევენ, აღწერენ, მაგრამ ერთმნიშვნელოვანი პასუხი კითხვაზე — სინამდვილეში თუ რა არის რეიკი, პასუხგაუცემელი რჩება. შეიძლება ითქვას, რომ რეიკი ეს არის ზეცით მომადლებული საჩუქარი. ამ ენერჯის ღირებულება უდიდესია. ის ხსნის ემოციურ და ფიზიკურ დატვირთვებს, ასუფთავებს ორგანიზმს დაგროვილი ტოქსინებისგან და გვეხმარება გავთავისუფლდეთ მავნე ჩვევებისა და დამოკიდებულებებისგან. იგი აძლიერებს ადამიანის შემოქმედებით პოტენციალს და ენერგეტიკას, აუმჯობესებს მეხსიერებას და გვიქმნის პოზიტიურ განწყობას. გვეხმარება დავძლიოთ შიში, სიბრაზე. გვასწავლის ჰარმონიაში ცხოვრებას.



იმისთვის, რომ შევისწავლოთ რეიკი, არ არის საჭირო რაიმე ზებუნებრივი, ცნობიერების განსაკუთრებული მდგომარეობა. საკმარისია მხოლოდ სურვილი. რეიკის ენერჯია ჩვენს ირგვლივ არსებობს, მაგრამ ამას ვერ ვაცნობიერებთ მანამ, სანამ სპეციალური მომზადების შემდეგ მასთან უშუალო კონტაქტს არ დავამყარებთ. ეს საშუალებას მოგვცემს შევიგრძნოთ და წარვმართოთ რეიკის ენერჯია.

ინიციაციის შემდგომ, ენერჯის ნაკადი შეიგრძნობა ხელებში ვიბრაციისა და სხეულის სხვადასხვა უბნის ტემპერატურის შეცვლის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი ამ ენერჯის თვითონ არ ქმნის, ის მხოლოდ გამტარია.



არსებობს რეიკის 3 საფეხური:

- I საფეხური: როდესაც ადამიანი ეცნობა რეიკის ენერჯის და სწავლობს მასთან მუშაობას;
- II საფეხური: როდესაც ადამიანი სწავლობს სიმბოლოებთან მუშაობას;
- III საფეხური: ადამიანი, რომელსაც უკვე აქვს ოსტატის წოდება და შეუძლია თავად გასცეს ინიციაცია.

რეიკი ასევე არაჩვეულებრივი საშუალებაა აურის გასაწმენდად და ჩაკრების დასაბალანსებლად. ის არ მოქმედებს მხოლოდ ფიზიკურ სხეულზე, არამედ მოიცავს ადამიანის შვიდივე ენერგეტიკულ სხეულს. მისი საშუალებით შესაძლებელია ცხოველებისა და მცენარეების მკურნალობაც.



ოლეგ ბოკაჩოვი

სულიერი განვითარების ტექნოლოგიები

თარგმნა: მამუკა გურული



რა წარმოადგენს სულიერი განვითარების ტექნოლოგიას?

— ყველაფერი, რასაც მე აღვიქვამ და ვგრძნობ, წარმოადგენს საშუალებას ან ინსტრუმენტს საკუთარ თავში სულის შეგრძნების უნარის განვითარებისთვის.

ეს მართლაც ასეა. ყველაფერი, რასაც აღვიქვამ და ვგრძნობ, უნდა მეხმარებოდეს უფრო ძლიერად ვიგრძნო, ანუ შევიცნო ჩემი სული — ჩემი ცხოვრების მმართველი. სულთან მიმართებაში შეგრძნების, მოსმენის, მორჩილების და მსახურების ნებისმიერი ტექნოლოგია განავითარებს მის ჩემს თავში შეგრძნების უნარს. თუ სულის გულისთვის ქვებს გადავზიდავ ერთი ადგილიდან მეორეზე, ჩემი სული უფრო ძლიერად შეგრძნებადი გახდება. თუ სულის გულისთვის ვიცეკვებ, ის უფრო გაძლიერდება ჩემში. თუ სულის გულისთვის საფრთხეებში აღმოვჩნდები, ან პირიქით, სიამოვნებებში, იგი ამით უფრო გაძიერდება. მნიშვნელოვანი არაა — რას ვაკეთებ. მნიშვნელოვანია — რისთვის ვაკეთებ.

მაგრამ საკმარისი არაა, უბრალოდ ვუთხრა საკუთარ თავს — «ამას მე ჩემი სულის გულისთვის ვაკეთებ», შემდეგ კი ვაკეთო და სრულიად დავივიწყო ის, ვისი გულისთვისაც ვაკეთებ. თუ საყვარელი ადამიანისთვის ვაკეთებ რაიმეს, ჩემი მოქმედების ყოველ მომენტში მასზე ვფიქრობ, ვგრძნობ, მწყურია, რომ ვასიამოვნო. იმედი მაქვს, რომ ადვილად მიიღებს ჩემი მოქმედების ნაყოფს, როგორც ძღვენს მისადმი, იმისთვის, რათა უფრო ძლიერი გახდოდეს იგი. მხოლოდ ასეთი მოქმედება სულის გულისთვის შეიძლება ჩაითვალოს მსხვერპლშეწირვად მის მიმართ, ანუ სულიერი განვითარების ტექნოლოგიად.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ სულისთვის რაიმეს ვაკეთებ ადვილია, დაე სცადოს. ჩვენი პირველი ზრახვა შესაძლოა იყოს სურვილი — ვაკეთოთ ჩვენი სულისთვის ის, რაც გვსიამოვნებს. მაგალითად, ვეუბნები საკუთარ თავს — «ამ ნამცხვარს სულის გულისთვის შევჭამ». ვიწყებ ნამცხვის ჭამას და ის ისეთი გემრიელია, რომ უფრო მეტადაც კი მომწონს, ვიდრე სული. «რა კარგი ტექნოლოგია მოვიფიქრე — შევჭამ ნამცხვარს საკუთარი სიამოვნებისთვის,


ამასობაში კი სულიც გამიძლიერდება». ეს საკუთარი თავის მოტყუებაა. სულის ნაცვლად ნამცხვრის არსი გაიზრდება ჩვენში.

სულიერი განვითარების ყველაზე რთული ტექნოლოგიები — ეს ის ტექნოლოგიებია, რომლებიც სიამოვნებას გვანიჭებენ. მათ შეიძლება მივაკუთვნოთ სექსუალური ტექნოლოგიები ან მცენარეთა, სოკოთა და სხვა იმ არსებათა გამოყენება, რომლებიც ამა თუ იმ ძალას გვამღევენ, როგორც დამხმარეებს სულის განვითარებისთვის. ეს ტექნოლოგიები სახიფათოა იმით, რომ თავად ტექნოლოგია, ანუ თავად დამხმარე სული, მსახურის ნაცვლად შესაძლოა შეუმჩნევლად ჩვენს ბატონად იქცეს, საკუთარი თავის გაძიერებისთვის გამოგვიყენოს და სულის ძალა წაგვართვას.




მოვლენათა ასეთი განვითარების თავიდან აცილება საკმაოდ რთულია, თუ ჩვენი ნებით მივდივართ ასეთი არსებების შესახვედრათ. გაცილებით უფრო ადვილია გამოვიყენოთ ის ტექნოლოგიები და არსებები, რომლებიც არასასიამოვნოა ჩვენთვის. მაგალითად, შიმშილობა, ნებისმიერი ასკეტური პრაქტიკა, რაღაც სასარგებლო საქმისთვის მსახურება. თუ გაცნობიერებულად ვწირავთ რაღაცას უფრო მაღალი ძალისთვის, ამით ძალას მოვიპოვებთ. ეს სულის განვითარების ფაქტიურად წაუგებელი ტექნოლოგიაა.

მე არ ვარ სულის გულისთვის ტანჯვის ფილოსოფიის მომხრე. მე ყველა შესაძლებლობას მივესალმები სულიერი განვითარებისთვის. მაგრამ ყოველმა ჩვენგანმა უნდა აირჩიოს ის საშუალებები, რომლებიც მის სულთან ახლოსაა თვისებებით და დონით. მე უფრო მეტი ეჭვის თვალით ვუყურებ იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც გვთავაზობენ სულთან მიახლოებას კომფორტულად და სასიამოვნო კომპანიაში, და ასევე ტექნოლოგიებს, სადაც ვიღაც ყველაფერს შენს მაგივრად აკეთებს, და გთავაზობს მხოლოდ მოდუნდე და ხელი არ შეუშალო, სანამ არ გაგასხივოსნებენ. ვერანაირი მასწავლებელი ვერ მოგცემთ გასხივოსნებას. ის ხომ მხოლოდ გზას გაჩვენებთ. ხოლო პირადი ძალისხმევების და ნაბიჯების გადადგმა სულთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად, ყოველ თქვენგანს თვითონ მოგიწევთ.



ემა ომანაძე


ეზოთერული ფილოსოფია სიყვარულსა და ქორწინებაზე (იდეალური ქორწინება)



იდეალური ქორწინება ძალზე იშვიათია, თუმცა ყველა ადამიანს აქვს იმედი, რომ ამგვარი კავშირი ყველაზე დიდ მიწიერ ბედნიერებას მოუტანს. მან ინტუიციურად ისიც იცის, რომ თავისი ევოლუციის გზის გავლა მხოლოდ მეორე, საპირისპირო პოლარულობის მქონე არსებასთან ერთად შეეძლება. იმ იმედით, რომ მიაღწევს განვითარების უმაღლეს საფეხურს, ერთგვება ცხოვრების რიტმში, რაც ეფუძნება საწინააღმდეგო სქესის ადამიანთან ურთიერთქმედებას, მაგრამ ქორწინებიდან იშვიათად დებულობს იმას, რაც ასე ძლიერ სწყურია მის სულს.

ხშირად ქორწინების შენარჩუნება ხდება მხოლოდ ატანის ხარჯზე. ბევრი წყვილი არ წყვეტს ურთიერთობას საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის გამო ან მერკანტილური მოსაზრებით. თუმცა უმეტესობა ქორწინდება იმ მისწრაფებით, რათა შეიგრძნოს ისეთი უმაღლესი სულიერი ერთიანობა, რაც მხოლოდ ცოლ-ქმრულმა კავშირმა შეიძლება მოუტანოს.

სწორედ ესაა ის, რაც დევს ქორწინების საფუძველში — მოთხოვნილება იმისა, რომ გასაქანი მიეცეს მოზღვავებულ სასიცოცხლო ენერგიას, ან მიიღოს ძალები, რაც ადამიანს არ ჰყოფნის თავისი ბუნებიდან გამომდინარე. მიზნის მისაღწევად კი მხოლოდ ის კავშირი იქნება მართებული, როდესაც ერთი პარტნიორი მეორეში ხედავს არა მხოლოდ საკუთარი სურვილების დაკმაყოფილების ობიექტს, არამედ აცნობიერებს იმასაც, რომ თვითონაც უნდა გასცეს ის, რასაც თავისი მეორე ნახევრისაგან ელის (აქ იგულისხმება ენერგიების ურთიერთგაცვლა და არა ენერგიის მხოლოდ ცალმხრივად გაცემის პროცესი).



წყვილს შორის შეიძლება როგორც ნაწილობრივი, ასევე სრული გაუცხოება მოხდეს. ადამიანმა ზურგი აქციოს თავის პარტნიორს ან ნაწილობრივ ჩამოშორდეს და ქორწინების გარეთ ურთიერთობებში ეძებოს მხოლოდ ინტელექტუალური სიახლოვე და თანაგრძნობა, ფიზიკური ურთიერთობისგან კი თავი შეიკავოს.

ცოლს არაფერი აქვს საამაყო, თუ ქმარი მას პატივს სცემს მხოლოდ ფიზიკური მონაცემების გამო. ამ დროს შესაძლებელია, რომ მისი მეუღლის სიახლოვის შინაგანი სწრაფვა მიმართული იყოს სხვა მიზნისკენ. ასეთ შემთხვევაში მამაკაცი პოულობს ისეთ ქალს, რომელთანაც ქორწინების გარეშე სიყვარული დააკავშირებს.

ქალისა და მამაკაცის ერთიანობის კანონებში იგულისხმება ბევრად მეტი, ვიდრე უბრალო ფიზიკური კავშირი, როგორც ეს ეზოთერულ ფილოსოფიაშია, სადაც განიხილება ადამიანის შვიდი სხეული (ფიზიკური, ეთერული, ასტრალური, მენტალური, კაუზალური, ატმანური, ბუდჰის). ეზოთერული ფილოსოფია გვასწავლის, რომ სანამ ადამიანის თითოეული სხეული არ მიაღწევს თავისი განვითარების ოპტიმალურ დონეს, მანამდე საყვარელ ადამიანთან ერთიანობას ვერ მოიპოვებს, მისი ქორწინება არ იქნება სრულყოფილი და სექსუალური შიმშილის» გამო კვლავაც გააგრძელებს პარტნიორის ძებნას. თუმცა ადამიანები ერთნაირად არ ვითარდებიან. ჩვენს დროში საშუალო დონის ადამიანის მხოლოდ პირველ სამ სხეულს შეუძლია გაერთიანება — მის ფიზიკურ გარსს, ინსტინქტურ (ეთერულ) სხეულსა და ემოციონალურ (ასტრალურ) სხეულს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მას შეუძლია ფიზიკური კავშირი, ინსტინქტური ლტოლვა და ნაზი გრძნობების გამოხატვა. ამავე დროს, ძალიან სუსტი წარმოდგენა აქვს ინტელექტუალურ სიახლოვეზე.

მაგრამ შედარებით განვითარებულ ადამიანს, ამასთან ერთად თუ მენტალური სხეულიც უფუნქციონირებს, ეძებს ისეთ პარტნიორს, რომლის ცხოვრებისეული ინტერესები ახლოს იქნება მის ინტერესებთან. მეორე მხრივ, შედარებით უფრო პრიმიტიული ტიპის ადამიანი პარტნიორისგან მოითხოვს მხოლოდ საკუთარი ფიზიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას და ამ ვნების მიღების შემდეგ მის მიმართ რჩება სრულიად გულგრილი.

აქედან გამომდინარე, თუკი მამაკაცი, რომელსაც განვითარებული აქვს სამი სხეული და აქვს უნარი გამოავლინოს ნაზი გრძნობები ქალის მიმართ, დაქორწინდება ქალზე, რომლის მხოლოდ ორი სხეული ფუნქციონირებს და ქორწინებაში ხედავს მხოლოდ ხორციელი ვნებების დაკმაყოფილებას, ამ შემთხვევაში კატასტროფა გარდაუვალი იქნება.

თუკი მამაკაცი, რომელიც ფლობს ოთხ (ფიზიკურ, ეთერულ, ასტრალურ და მენტალურ) სხეულს, დაქორწინდება ქალზე, რომელსაც შეუძლია უყვარდეს, მაგრამ თუ არ შეუძლია მისი მეგობარიც იყოს, წყვილი იგივე პრობლემის წინაშე დადგება. ცოლი ქმრისგან მიიღებს ყველაფერს, რაც მისთვის აუცილებელია, რადგანაც ის ფუნქციონირებს მხოლოდ სამ შრეზე და მისი სამივე სხეული დაკმაყოფილებულია. თუმცა მისი მეუღლის მენტალური სხეული, რომელიც პარტნიორის გარეშე დარჩა, აუცილებლად დაიწყებს პარტნიორის ძებნას და



შესაძლებელია ის იპოვოს მაღალი ინტელექტუალური მონაცემების მქონე ქალში. სწორედ ამ დროს აღმოვჩნდებით პლატონური ურთიერთობის პირისპირ, რომლის არსებობასაც ინსტინქტურად ყველა აღიქვამს იმად, რაც ძალიან ახლოსაა ღალატთან, მაგრამ ვერავინ გაბედავს ეს ქმედება განსაჯოს, როგორც საყოველთაოდ აღიარებული მორალის დარღვევა.

რთული გასაგები არ არის ის ფაქტი, რომ მამაკაცი, რაც არ უნდა ლოიალურად იყოს განწყობილი ცოლის მიმართ, მათი კავშირი უმადლეს პლანზე მაინც დაკარგავს თავის მნიშვნელობას და ფორმალურ ურთიერთობად გადაიქცევა. ახლა წარმოვიდგინოთ მაღალგანვითარებული ადამიანი, რომელიც ემზადება დასაქორწინებლად და განვსაზღვროთ იდეალური პირობები ასეთი კავშირისთვის. პირველ რიგში, მას უნდა ახსოვდეს, რომ მისი შვიდი ნატიფი სხეულიდან თითოეული განვითარების მაღალ დონეს სხვადასხვა ასაკში აღწევს. ფიზიკური სხეულის განვითარება ხდება თითქმის დაბადებისთანავე. სურვილების სხეული ფუნქციონირებას იწყებს სქესობრივი მომწიფების ასაკში, რაც ფაქტიურად მისი სხეულის ფორმირების სიგნალია. ნაზი გრძნობები ვითარდება ადამიანის ცხოვრების მეორე ათწლეულში, ხოლო კონკრეტულად მენტალური სხეულის ფორმირება სრულდება მესამე ათწლეულში.

ზოგიერთ ეზოთერულ სკოლაში დანერგილია შვიდწლიანი ციკლის მკაცრი აღრიცხვა, მაგრამ ადამიანები ვითარდებიან სხვადასხვანაირად, ამიტომ თეორიული დაყოფა, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, სავსებით მისაღებია. აბსტრაქტული გონება ვითარდება მეოთხე ათწლეულში, ადამიანის სულიერი ბუნება კი უმადლეს საფეხურზე ადის მხოლოდ მეხუთე ათწლეულის ბოლოს.



ამიტომ მაღალინტელექტუალურმა ადამიანებმა არ უნდა იჩქარონ ქორწინება იქამდე, სანამ ბოლომდე არ ჩამოყალიბდება მათი ნატურა და სანამ არ გაიგებენ, თუ რა მიმართულებით მოძრაობს მათი ევოლუცია.



სამწუხაროდ, ბევრი ახალგაზრდა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ სურვილების სხეულით, ჩქარობს ხელში ჩაიგდოს მუდმივი პარტნიორი და ქორწინდება საპირისპირო სქესის პირველივე შემხვედრზე, რომელშიც ხედავს ერთადერთ საშუალებას დაიკმაყოფილოს თავისი მწველი სურვილები. არის სულსწრაფობის ისეთი შემთხვევაც, როდესაც ადამიანი ემოციურ აღმავლობას შეცდომით აღიქვამს ერთიანობის ნამდვილ ჰარმონიად ისე, რომ არც კი ცდილობს საკუთარი თავი და შესაძლებლობები ბოლომდე შეიცნოს და განვითარება გააგრძელოს ქორწინების შემდეგაც.

ბედნიერია წყვილი, რომლის განვითარებაც ხდება ერთნაირად და ერთდროულად. ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში მათი სიყვარული გახდება უფრო ღრმა და მდიდარი, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ დაიწყება მათ ცხოვრებაში სხეულების შემოსვლა სათითაოდ და როგორ იპოვიან თავიანთ პარტნიორს იმავე სხეულში, რომელიც ნელ-ნელა ცამდე ამაღლდება.

თუკი ერთ-ერთი მეუღლე უფრო ადრე აღწევს ევოლუციური განვითარების უმაღლეს მწვერვალს, მაშინ როცა მეორე ჯერ კიდევ ზრდის პროცესშია, ასეთ შემთხვევაში, ბედნიერად დაწყებული ქორწინება ან კომპრომისით მთავრდება, ან სრული წარუმატებლობით, რადგანაც შედარებით განვითარებულ პარტნიორს უჩნდება მოთხოვნილებები, რომელსაც მისი მეუღლე ვერც გაუგებს და მითუმეტეს, ვერც დააკმაყოფილებს.

იდეალურ ქორწინებაში წყვილი ერთიანდება ერთდროულად ყველა მისი უმაღლესი სხეულით, იქიდან გამომდინარე, რომელი სხეული იწყებს ფუნქციონირებას და ყოველი აქტის დროს განიცდის სიყვარულის ახალ სიღრმეებს: ფიზიკური კავშირი ორმხრივი მიზიდვის შემთხვევაში, მათ მოუტანს ჰარმონიასა და ნერვული სისტემის მდგრადობას. სიყვარული გააერთიანებს მათ სურვილს და ერთიანობისკენ ლტოლვას — გახდნენ ერთი პიროვნება. საერთო ცოდნის დაგროვება უფრო მჭიდროდ დააკავშირებს და დაახლოებს მათ. ერთი და იმავე იდეალებისა და პრინციპების რწმენა მათ ცხოვრებას ერთ მიმართულებას მისცემს და ერთ არხზე გადაიყვანს. საერთო სფეროდან სულიერი მიზნები და იდეალები კი ამ კავშირს შეავსებს.

და ბოლოს, მათი ცნობიერება ამაღლდება წმინდა სულის სფერომდე და უმაღლესი სიყვარული, რომელიც ორი სულით ჩაისახა, დამლევს ყველა დაბრკოლებას და ასეთი კავშირი შექმნის ერთიანობას. მისტიკოსი ფილოსოფოსების აზრით, ამგვარად იწყება ევოლუციაში იმ მაქსიმალური სტიმულის გამოყენება, რისი მოცემაც შეუძლია ფიზიკურ სამყაროს და ეს ორი, ყველა სფეროში გაერთიანებული სული შედის სინათლეში და აღარ გამოდის იქიდან». ისინი იქცევიან ერთიან ინდივიდად ორმხრივი ნატურით, რომელსაც გააჩნია შინაგანი სრულყოფა და თვითკმაყოფილება. ასეთი სხეულები გადადიან სიცოცხლის გამოვლინების უფრო მაღალ საფეხურზე, ვიდრე ჩვენია და რომლის აღქმა ჩვენი გრძნობის ორგანოებით უკვე აღარ ხდება.

მირიან ბეგიაშვილი

სიზმრის სამყაროში



ადამიანებს ყველა დროში აინტერესებდათ სიზმრის ფენომენი. ძველ ებრაელებს სწამდათ, რომ სიზმრებს ღმერთი უგზავნიდა, რათა ისინი ჭეშმარიტების გზაზე დაეყენებინა. ძველ და ახალ აღთქმაში ხშირად არის ნახსენები წინასწარმეტყველების, მოციქულების და წმინდანების სიზმრები. იოსებს სწორედ სიზმარში გამოეცხადა ანგელოზი და აუწყა, რომ მარიამი სულიწმიდისგან იყო ორსულად და რომ ზავშვისთვის იესო უნდა დაერქმიათ. ისლამის დაამარსებელმა მუჰამედმა ასევე სიზმარში ანგელოზისგან შეიტყო, რომ ალაჰის მოციქული უნდა გამხდარიყო.

არაერთ გამოჩენილ ადამიანს — ფილოსოფოსს, მეცნიერსა თუ კომპოზიტორს შთაგონების წყარო სწორედ სიზმრიდან მიუღია. მათ შორისაა ცნობილი რუსი მეცნიერი დიმიტრი მენდელეევი. ქიმიურ ელემენტთა პერიოდული სისტემა მან სიზმარში ნახა. მანამდე, დიდი ხანი ცდილობდა ქიმიური ელემენტები მოწესრიგებული სისტემის სახით ჩამოეყალიბებინა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ბოლოს, მრავალი უძილო ღამის შემდეგ, დაიძინა და.... ნათლად დაინახა თავისი ცხრილი!


მე-20 საუკუნის 40-იან წლებში იყო მცდელობა, რომ შეეგროვებინათ სიზმრები, რომლებიც ამა თუ იმ მოვლენას წინასწარმეტყველებდნენ. ამისთვის ნიუ-იორკში სპეციალური ბიუროც კი გაიხსნა. ყოველდღიურად იწერდნენ ასობით სიზმარს, რაც ადამიანებს მომავალ კატასტროფებსა და ხელისუფლების ცვლილებებს აუწყებდა. 60 წლიანი მუშაობის შემდეგ ჩაატარეს სტატისტიკური ანალიზი, რის შედეგადაც გაირკვა, რომ წინასწარმეტყველური სიზმრები გლობალურ ცვლილებებზე არც თუ ისე ბევრი იყო — დაახლოებით 10 სიზმარი. თუმცა ბიუროში რეგისტრირებული სიზმრები, რომლებიც ადამიანთა პირად ცხოვრებას ეხებოდა, ხშირ შემთხვევაში მართლდებოდა.

მომავლის წინასწარმეტყველება ადამიანს შეუძლია, თუმცა დღეს ამას ყურადღება თითქმის არ ექცევა. ჩვენ ვიზრდებით იმ აზრით, რომ სიზმარი ეს არის რაღაც არარეალური, დღის განმავლობაში დაგროვილი შთაბეჭდილებების და ემოციების ნაზავი, ეშმაკეული ან სულაც უბრალო ფანტაზია. ეს წარმოდგენები

განაპირობა მატერიალისტურმა ხანამ და მცდარმა რელიგიური წარმოდგენებმა. თუ გავიხსენებთ, ყველა ჩვენგანს გვინახავს ერთი წინასწარმეტყველური სიზმარი მაინც — ესა თუ ის მნიშვნელოვანი მოვლენა, ჩვენი ცხოვრების მომავალი თანამგზავრი, ახლობლის გარდაცვალება თუ სხვა რამ. მაგრამ, როგორც წესი, ამას მალევე ვივიწყებთ და სიზმრის სამყაროს ისევ მისტიურ, შავ ფარდას ვაფარებთ. და მაინც, საიდან ჩნდება წინასწარმეტყველური სიზმრები? თუ ფიზიკურ სამყაროში რაღაც მოვლენა არ მოხდარა, მაგრამ მას სიზმარში ვნახულობთ, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ სამყაროში ყველაფერი წინასწარ არის ცნობილი?

ამ კითხვას პასუხი რომ გავცეთ, საჭიროა სამყარო წარმოვიდგინოთ როგორც საერთო ენერგო-ინფორმაციული სივრცე. სანამ რაიმე მოვლენა ჩვენს სამყაროში მატერიალიზდება, ის მზა სახით წარმოიქმნება ასტრალურ სამყაროში, რომელსაც პირობითად შეიძლება «სიზმრების სამყარო» ვუწოდოთ. ჩვენი ყოველი აზრი, სურვილი, მისწრაფება, ასტრალურ სამყაროში წარმოქმნის მოვლენების განვითარების ამა თუ იმ კონკრეტულ სცენარს და იზრდება ალბათობა იმისა, რომ ის ფიზიკურ სამყაროში მატერიალიზდეს. აქედან გამომდინარე, სიზმარში პირდაპირ ვუკავშირდებით ამ საერთო-ენერგო-ინფორმაციულ სივრცეს და ვნახულობთ მოვლენების განვითარების სხვადასხვა სცენარს, საიდანაც ზოგი რამ ზუსტად ახდება ხოლმე და ზოგი რამ, რასაც შეიძლება ძალიან ველოდოთ, არც კი ახდეს, რადგან მას მატერიალურ სამყაროში შემდგომი ქმედებებით თავადვე შევუშალოთ ხელი.

სიზმრის სამყარო მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეცნობიერებასთან. მაგალითად, თუ გონებით, ლოგიკური აზროვნებით გვიჭირს რაიმე რთული სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა, ჩვენმა ქვეცნობიერებამ იცის გამოსავლის საუკეთესო გზა. პასუხს სიზმრიდან მივიღებთ, თუ დღის განმავლობაში ჩვენს ქვეცნობიერს ამას ვთხოვთ. გაღვიძებულს პასუხი გვეცოდინება, რაც შეიძლება გონებას არარეალურადაც კი მოეჩვენოს, მაგრამ ბოლოს აღმოჩნდება, რომ ამ გზამ მართლაც სამშვიდობოს გაგვიყვანა.



გაცნობიერებული (ლუციდური) სიზმრები

ახლა კი გვინდა შევეხოთ გაცნობიერებულ სიზმრის ფენომენს. ბოლოს დროს ძალიან პოპულარულია მხატვრული ფილმი «დასაწყისი» (ინცეპციონ), რაც გაცნობიერებული სიზმრის მოტივებზეა აგებული და სულაც არ არის მისი შემქმნელების მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი. გაცნობიერებული სიზმარი — ეს არის მოვლენა, როდესაც სიზმარში «ვიღვიძებთ», ანუ როდესაც ვხვდებით, რომ გვძინავს და ვაცნობიერებთ, რომ განსხვავებულ სამყაროში აღმოვჩნდით. ლუციდურ სიზმარში მოხვედრილი ადამიანი გაოგნებულია, რადგან აღქმა, შეგრძნებები და გარე-სამყარო ხშირად იდენტურია ფიზიკური სამყაროსი.

რა პრაქტიკული დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს გაცნობიერებული სიზმრის პრაქტიკას? პირველ რიგში, ეს არის სამყაროს მანამდე უცნობი ნაწილის შეცნობის საშუალება. გაცნობიერებულ სიზმარში მოხვედრილი ადამიანი ხვდება, რომ სიზმარი სულაც არ არის ის უმნიშვნელო ფენომენი, რასაც ბავშვობიდან აგონებდნენ.

არსებობს გაცნობიერებულ სიზმარში მოხვედრის მარტივი ტექნიკა. დღის განმავლობაში, რაც შეიძლება ხშირად უნდა გააცნობიეროთ თქვენი თავი და კარგად დააკვირდეთ გარემოს, ჰკითხოთ საკუთარ თავს, სიზმარში ხომ არ ხართ, რამე უცნაური ხომ არ ხდება ირგვლივ, რაც მიგახვედრებთ, რომ სიზმარში მოხვდით. რამდენიმე დღის პრაქტიკის შემდეგ, ავტომატურად სიზმარშიც იგივე გააკეთებთ და სწორედ მაშინ გაიღვიძებს ლოგიკური აზროვნება, გაცნობიერებულობა. კარგი იქნება თუ მოიფიქრებთ ისეთ რამეს, რაც ხშირად გაგახსენებთ, რომ უნდა შეამოწმოთ, თუ რომელ რეალობაში იმყოფებით. შეგიძლიათ ხელზე დაისვათ ნიშანი ან დაწეროთ ქალაქდზე სიტყვა — სიზმარი და ჩამოკიდოთ ისეთ ადგილას, სადაც დღის განმავლობაში ხშირად დაინახავთ. ეს სიზმრის გაცნობიერებას ძლიერ შეუწყობს ხელს.

გაცნობიერებულ სიზმარში შესვლის საუკეთესო დროა დილის პერიოდი. ღამით, ძილის პირველ ნახევარში, სხეულს დასვენება სჭირდება და მისი მთელი ენერჯია ამაზე იხარჯება. დაახლოებით დილის 5-6 საათზე ადამიანმა უნდა გაიღვიძოს და მტკიცე განზრახვით, რომ შევა გაცნობიერებულ სიზმარში, ისევ დაიძინოს. ეს მნიშვნელოვანი მომენტია ლუციდური სიზმრისთვის, რადგან ამ დროს ცნობიერება ძილ-ღვიძილის საზღვარზეა და ადვილად შეუძლია სიზმარში ლოგიკური აზროვნება დაიბრუნოს.

თუმცა ეს მხოლოდ თეორიაა და თეორიადვე დარჩება მანამ, სანამ თავად არ დაიწყებთ სიზმარზე დაკვირვებას. დაიწყეთ სიზმრების ჩაწერა და ნახავთ, თუ რამდენი წინასწარმეტყველური ინფორმაცია მოგივათ, რასაც რეალურ ცხოვრებაში პრაქტიკული თვალსაზრისითაც გამოიყენებთ. დაიწყეთ გაცნობიერებული სიზმრის პრაქტიკა, როგორც ჰობი და დარწმუნდებით, თუ რაოდენ ფართო და ღრმაა ის სამყარო, სადაც ვცხოვრობთ, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ერთი რეალობით.



ასტროლოგ ს.ვ. შესტოპალოვის

კარმული ასტროლოგია¹



კარმულ ასტროლოგიას ოკულტური საფუძველი აქვს. კარმა მიუთითებს იმაზე, თუ რით იბადება ადამიანი. კარმა — ეს ქმედებაა, ყველა ქმედება კი შედეგს ბადებს. ანუ არსებობს მიზეზი და არსებობს შედეგი. კარმის კანონი ფორმულირებულია მოსეს მიერ:

«თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ».

ყოველი ქმედება ბადებს კარმას. აზრები შეიძლება არ განხორციელდეს, მაგრამ ნეგატიური განზრახვები თავად ადამიანს — მის გულს — ვნებს. აზრების და ქმედებების შედეგები კარმული თვალსაზრისით ერთმანეთისგან განსხვავდება. ადამიანი ერთხელ არ იბადება — მისი სული ასეულობით ცხოვრების განმავლობაში განიცდის ევოლუციას.

სული — ღმერთისგან, სხეული — მიწისგან. შუაში ერთმანეთს ხვდებიან. მიდიოდა ერთდროულად ორი პროცესი — ინვოლუცია და ევოლუცია. ჩნდება ადამიანი — სული + სამშვიინველი. სულის (ზეცის ვაჟის) დაცემა + მიწის ასულები. დაბადებისას სული იწყებს ასტრალური, ეთერული გარსების შენებას. ინკარნაციის პროცესი თანდათანობით მიდის, 3 თვიდან ჩასახვამდე, და 6 წლამდე.

როდის დამთავრდა ინკარნაცია? როცა ადამიანი აღიქვამს სხვების კრიტიკას და თავად შეუძლია სიტუაციის ანალიზი — ეს ნიშნავს, რომ გაჩნდა თავისუფალი ნება. ამ მომენტამდე ბავშვს არ ესმის, რა არის «კარგი» და რა არის «ცუდი». შესაძლოა ეს შემდგომაც არ ესმოდეს, თუკი თავისუფალი ნების, გონების სფერო სუსტია. «სადაც არის განძი თქვენი, იქვე არის გული თქვენი». არსებობს განძი ყველასთვის — სხეული, ემოციები, გრძნობები, გონება, უკვდავი სული... ადამიანი ამის მიხედვით ცხოვრობს და ქმნის თავის «მე»-ს.

რატომ აქვს ადამიანს ასეთი ბედი? ერთნი არიან მდიდარნი, იბადებიან უზრუნველყოფილ ოჯახებში, მეორენი კი მთელ ცხოვრებას სიღარიბესა და ტანჯვაში ატარებენ. ეს დაკავშირებულია კარმასთან. ღმერთის ნებით ადამიანი იბადება შესაბამის ოჯახში. თუ იგი იტანჯება, ე.ი. არის მიზეზი.

¹ ლექციებიდან, GeoAstro.Ge

ვინ ქმნის კარმას? კარმის შექმნა შეუძლიათ მხოლოდ ცნობიერ არსებებს, რომლებსაც თავისუფალი ნება გააჩნიათ (ანგელოზები, სულები, დემონები, ადამიანები). ცხოველები არ ქმნიან კარმას. ცხოველები არ ქმნიან კარმას, რადგანაც არ არღვევენ ბუნების კანონებს (ისინი ასეთებად დაიბადნენ და თავის დანიშნულებას ასრულებენ). მხოლოდ ცნობიერ არსებებს შეუძლიათ ბუნების ეთიკურ-მორალური კანონების დარღვევა. ამით ქმნიან ნეგატიურ კარმას და არღვევენ ეკოლოგიას. ეს კანონები კარგადაა აღწერილი იოგაში, ბიბლიაში.

რა ხდება ადამიანის სიკვდილის და დაბადების მომენტში? სიკვდილის მომენტში ხდება ყველა ნატიფი სხეულის განცალკევება. დაბადების დროს — პირიქით. ნატიფი სხეულები ჭიპლარს უკავშირდებიან 3 დღის განმავლობაში. სიკვდილის დროს მესამე დღეს ამ სხეულებთან კავშირი წყდება — ესაა ბუნებრივი მიზეზი. ეთერული სხეულის განცალკევება. დანარჩენი სხეულები 9 დღემდე არიან შეერთებულნი. 9 დღეს ჭიპლარი წყდება — შორდება ასტრალური გარსი. შემდეგ, 40-ე დღეს იშლება ასტრალური და მენტალური სხეულები. რჩება სული + მენტალი. ისინი არასოდეს არ შორდებიან.

ბუნებრივი სიკვდილი ავადმყოფობით და ბუნებრივი პროცესებით მოდის. არაბუნებრივი სიკვდილი — უბედური შემთხვევებით, მკვლელობებით. ადამიანს «ეგოს» (4 პრინციპის ერთიანობას) შეუძლია არ მოიშოროს ეთერული სხეული და ხელახლა დაიბადოს. უარეს შემთხვევაში — არ იშორებს ასტრალურ გარსს, და ამასთან სული ზემოთ არ ადის. სახიფათოა დაბალი სულებისათვის — განსაკუთრებით როცა არის ვნება, შურისძიების წყურვილი. სული ეძებს იარაღს თავისი შურისძიებისთვის — სახლდება სხვა ადამიანებში (შესაძლოა ცხოველებში). ასე ჩნდება ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი.

ინკარნაციების რაოდენობა დაახლოებით 1000-ია და ის იყოფა 7 რასაზე. რასების განსხვავება — სულიერი პრობლემაა.

- მთვარე — 1 რასა.
- მერკური — 2 რასა.
- ვენერა — 3 რასა — ლემურიელები.
- მზე — 4 რასა — ატლანტები.
- მარსი — 5 რასა — არიელები.
- იუპიტერი — 6 რასა.
- სატურნი — 7 რასა.

ატლანტები — ატლანტებს არ ჰქონდათ სინდისი და ამიტომ არ ჰქონდათ შეზღუდვები. მათი რასა ცოდვებისგან გაშავდა. შავკანიანები — ატლანტების პირდაპირი შთამომავლები არიან, მაგრამ სულები თანამედროვე შავკანიანებს უკვე არიული აქვთ. არიელები — თეთრი რასა (კავკასიელები). ლემურიელები — ავსტრალიელები. ესენიც არიული სულის ადამიანები არიან.

ყოველ რასაში 144 ინკარნაციაა. ნიშანი 12-ია. $12 \text{ ნიშანი} \times 12 \text{ ამოცანაზე} = 144$ ინკარნაციას. ყოველ რასაში ჩვენ უნდა განვახორციელოთ ერთი და იგივე ამოცანა. $144 \text{ ინკარნაცია} \times 7 \text{ რასაზე} = 1008$ ინკარნაციას. ყოველი გადასვლა ახალ რასაში კატასტროფული იყო. ჩვენ ახლა გადავდივართ 5-დან 6 რასაში. $144 \times 5 \text{ რასაზე} =$



720 ინკარნაციას (ახლა). 5 რასის მორალურ-ეთიკური საფუძვლები მორყეულია. ჩვენ გვაქვს სინდისი, მაგრამ არ გვაქვს ეთიკა.

6 რასის წარმომადგენლები ძალაში შედიან (მათი დაბადება 1978 წლიდან დაიწყო).

ისინი წარმართავენ მსოფლიოს 2017 წლის არჩევნების შემდეგ. 144×6 რასაზე = 864 ინკარნაციას. ინტელექტუალურად განვითარებული ადამიანები — ეს უკვე არ არიან ახალგაზრდა სულები. ახალგაზრდა სულები — ესენი არიან დებილები, იდიოტები, გონებრივად არასრულფასოვანი ადამიანები. ისინი ცხოველები იყვნენ. მათ დახმარება სჭირდებათ და მათი თავიდან მოცილება არაა საჭირო (დაუნის დაავადება). წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ცივილიზაცია კატასტროფისკენ წავა. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი სულები უნდა აღვზარდოთ. კარგი იქნება, თუ სახელმწიფო დაგვეხმარება ამაში. ესენი არიან ასევე დამნაშავეები და გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანები, რომლებიც ბედის ანაბარად არიან მიტოვებულნი. ლამები ინკარნაციას თვითონ ირჩევენ. ეს უკვე ხელოვნური პროცესია.

როგორ იცვლება სქესი რეინკარნაციების დროს? არ არსებობს 7-ზე მეტი და 3-ზე ნაკლები ინკარნაცია ერთნაირი სქესით. სქესის შეცვლას შესაძოა ჰომოსექსუალიზმი — წარსულში სექსუალური აღვირახსნილობა. ხშირად გულგრილობა ან უშვილობა, თუ ადრე არ იყო ქორწინება — არ არის გამოცდილება. მკვლეელი ანთავისუფლებს მსხვერპლს კარმისგან, ქურდი თავის თავზე იღებს ვალებს. გადასვლა მოქმედებების შედეგად ხდება. კარმის ნაყოფი 7 ინკარნაციამდე მწიფდება. ადამიანმა შესაძოა დაარღვიოს კანონი პირველ ინკარნაციაში, შედეგი კი 7-ში მიიღოს. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ნაყოფი მომწიფდა — დიდი თუ პატარა.


როგორ გამოვისყიდოთ ცოდვა? თუ ვეხმარებით (გადავარჩინოთ) სხვას — შესაძოა ჩვენთანაც მოვიდეს დახმარება საფრთხის მომენტებში. კატასტროფა, უბედური შემთხვევები მეტყველებენ იმაზე, რომ მკვლელობის კარმა უკვე მთავრდება. ცხოველების მოკვლა გამოსაკვებად არ წარმოადგენს ცოდვას. ჩვენ მათზე ვზრუნავთ, ვკვებავთ. ეს ჰარმონიაა სამყაროში და კანონი არ ირღვევა. მაგრამ ნადირობა გართობის მიზნით კანონის დარღვევაა და მასზე პასუხისგება.

თუ ადამიანი ვინმეს იცავს (ომი, ძალადობისგან თავდაცვა) და ამასთან ერთად მოკვლა უწევს — კარმა რბილდება. მაგრამ ყველანაირი მკვლელობა ქმნის კარმას (თუ ადამიანმა მოკლა, თვითონაც მოკლული იქნება). არსებობს გამოსყიდვის მექანიზმი, თუ დავეხმარებით სხვებს, ჩვენც დაგვეხმარებიან, მაგრამ საფრთხე მაინც იქნება. წარსულის მტრები ყოველთვის ჩვენთან არიან ცოდვების გამოსყიდვისთვის. გამოსყიდვის ვარიანტია: ადამიანის მტრები — მისი ახლობლებია». ყველაზე მთავარი მტერი მეუღლე და ნათესავები არიან. ყველაზე მეტი მკვლელობა მეუღლეებს შორის ხდება.

ინკარნაციების პროცესში ადამიანის სქესი იცვლება და, თუკი არსებობდა სიძულვილის დიდი ვნება, შეიძლება ეს სუბლიმირდეს სიყვარულში. იმისთვის, რომ მტრებს დავაღწიოთ თავი — კარგია რომ უბრალოდ მოვშორდეთ მათ.



საერთოდ არ ვიფიქროთ მათზე, განურჩევლები გავხდეთ მათ მიმართ. არსებობს გადახდის ფულადი ფორმაც, როგორც კომპენსაცია. ეს თანხები ძალიან-ძალიან დიდია. ფული წარმოადგენს კარმიულ საფასურს. შრომის კარმა — საფასურია.




კარმა არსებობს:

1. მომწიფებული კარმა. იგი მოდის მოვლენების სახით. მომწიფებული კარმა უნდა გამოვისყიდოთ.
2. მოუმწიფებელი კარმა მიუთითებს ჩვენი ხასიათის მიდრეკილებებზე ჩვენს მეხსიერებაში — აზრები, მიდრეკილებები, თანდაყოლილი თავისებურებები., რომლების კორექციაც საკუთარ თავზე მუშაობით შეგვიძლია (აგრესიულობა, ცუდი აზრები). მოუმწიფებელი კარმის გამოსწორება საკუთარ თავზე მუშაობითაა შესაძლებელი.
3. კარმა შეიძლება იყოს ნეიტრალური, პოზიტიური და ნეგატიური.

ჩვენი ხასიათი კარმული დაგროვების შედეგია. მოქმედებს თავისუფალი ნება + კულტურა (სხვა ადამიანებთან ურთიერთობა). ნატალში ჩვენ ვხედავთ ბედს, როგორც წინა ცხოვრებების შედეგს, მაგრამ ვერ ვხედავთ მიზეზებს. მთვარე — კარმული მახსოვრობაა, როგორც მისი მატარებელი. მინორული ასპექტები არ ქმნიან მოვლენებს. ისინი მიუთითებენ კვალზე, წარსულის ნარჩენებზე ან მომავლის ჩანასახებზე. ბედი — ეს კარმის შედეგია.

რატომ ასეთი ბედი? უნდა გავაანალიზოთ მეხსიერება — როგორ ცხოვრობდა ადამიანი წარსულში (მემკვიდრეობა, ნიჭი, წარმომავლობა). ვნახოთ ნატალში 4-ე სახლი. ასევე ვნახოთ, რამდენად ადრე ცხოვრობდა ადამიანი, რას საქმიანობდა, როგორ დაასრულა თავისი ცხოვრება, როგორი იყო აღსასრული (ასპექტები აღმავალ მთვარის კვანძთან). აღმავალი კვანძი მთავარია, ხოლო დაღმავალი კვანძი მიუთითებს წარსულთან ურთიერთობაზე (სერგეი შესტოპალოვის მეთოდი).

როდის იყო წინა ინკარნაცია? ქვეყანა და პირობები წინა ცხოვრებაში განისაზღვრება 4 სახლის კუსპიდით, მისი ზოდიაქოს ნიშნით ნატალურ რუქაში.



ადამიანი ცხოვრობს 26 000 წელი. წინა სიკვდილსა და დაბადებას შორის მოცემულ ინკარნაციაში გავიდა:

- **ცეცხლი:** ცოტა ხნის, რამდენიმე წლის წინ.
- **ჰაერი:** შედარებით ხანგრძლივი პერიოდი — ათეულობით წლები.
- **წყალი:** ასეულობით წლები.
- **მიწა:** ათასეულობით წლები.

მიწის ნიშნები: ქალწული — 1 500 წელი. კურო — 2 000 წელი. თხის რქა — 2 500 წელზე მეტი.

ყველაფერი ეს სამართლიანია 1978 წლამდე. შემდეგ ხდება მოსახლეობის ძლიერი ზრდა და ინკარნაციის ვადები მცირდება. ეს დაკავშვრებულია იმასთან, რომ ჩვენ გადავდივართ ახალ ერაში, ჩნდება ახალი რასა. ყველა სული უნდა ინკარნირდეს დედამიწაზე.

გახსოვდეთ: ადამიანის ხასიათს მოტივაცია ქმნის. მოტივაცია ქმედებებს ქმნის. ქმედებები მოვლენებს ქმნიან.

4 სახლის კუსპიდი ნატალურ რუქაში:

- **ვერძი** — აღმოსავლეთი, კორეა, იაპონია, ალიასკა (ინგლისი. გერმანია).
- **კურო** — ნაყოფიერი მიწების ტერიტორიები — უკრაინა, სპარსეთი, პოლონეთი, ჰოლანდია, კვიპროსი.
- **ტყუპები** — სადაც ქარიანი კლიმატია, ხშირი ქარბუქები, კომუნიკაცია — აშშ-ს შუა ნაწილი, ჩრდილო-აღმოსავლეთი, აფრიკა.
- **კირჩხიბი** — დასახლება, სადაც არის მდინარეები, ნაკადულები, ტბები, ლამაზი ბუნება — აშშ-ს პროვინციები, შამპანი (საფრანგეთი), არგენტინა, ჩინეთი.
- **ლომი** — თბილი, მზიანი კლიმატი — საფრანგეთი, იტალია, რუმინეთი, კალიფორნია.
- **ქალწული** — კარგად განვითარებული მიწათმოქმედება, მარცვლეულის კულტურები, შრომისმოყვარე ხალხი — შვეიცარია, იაპონია.
- **სასწორი** — ზომიერი კლიმატი — ინგლისი, ლიბანი, ჩრდ. ჩინეთი, კანადა, ეგვიპტე.
- **მორიელი** — ჭაობიანი, ან უდაბრური ადგილი შხამიანი ცხოველების სიჭარბით — ამაზონი, ინდო-ჩინეთი, სიცილია, კორსიკა.
- **მშვილდოსანი** — მსხვილი კუნძულები — მადაგასკარი, ცეილონი, მალტა, ესპანეთი, უნგრეთი. იტალია.
- **თხის რქა** — მაღალმთიანი რაიონები — სამხრ. ჩინეთი, ინდოეთის მთიანი ნაწილი, აღმ. ციმბირი, ტიბეტი, კავკასია.
- **მერწყული** — ცივი წვიმიანი კლიმატი — სკანდინავია, შვედეთი, ინდოეთი, რუსეთი.
- **თევზები** — ზღვის სანაპიროები ან არქიპელაგები — ტაიტი, ბაჰამი.



პლანეტები 4 ნატალური რუქის სახლში ან ასპექტებში აღმავალ კვანძთან: ორბ აღმავალ მთვარის კვანძთან = ± 5 გრადუსი.

მზე:

- + წინა ინკარნაცია ბედნიერი იყო (მსახიობი, მასწავლებელი, სპორტსმენი). ჩვენ ბევრ რამეს ვიმეორებთ წარსულიდან.
- მდგომარეობის (სტატუსის) დაკარგვა.

იუპიტერი:

- + ადამიანი შესაძოა ყოფილიყო მდიდარი, კარგი გვარიდან, არისტოკრატიული. მეცნიერი ან რელიგიური მოღვაწე, ვაჭარი, მეცნიერი, ზღვაში მოგზაური, თავგადასავლების მაძიებელი, ექიმი.
- მიუთითებს, რომ ადამიანი შესაძოა ყოფილიყო ავანტიურისტი, ცხოვრება დაასრულა სამშობლოსგან მოშორებით.

ვენერა:

- + ბედნიერი ცხოვრება, მამაკაცებისთვის — კარგი ქორწინება, სიმდიდრე, ფუფუნება. ხელოვნება, ხელობა, მიწათმოქმედება, მეზღვაობა, თერძი, ქსოვილებთან კავშირი, მღებავი.
- სიმდიდრე დაკარგულია, თავაშვებული აღვირახსნილი ცხოვრება.

მთვარე:

- + მშვიდობიანი, მშვიდი ცხოვრება. კარგი პირობები, კეთილდღეობა. საკუთარი სახლი. ახლობლების გარემოცვა. ვაჭარი, მეზღვაური, მეთევზე. მამაკაცებში მიანიშნებს პირად ცხოვრებაზე.
- უბედური აღსასრული, უბედური შემთხვევისგან, წყლისგან.

მერკური:

- + მეცნიერი, ექიმი, მწერალი, პოლიტიკოსი, ვაჭარი. თარჯიმანი, გადამწერი, მსახური, შუამავალი.
- ქურდი, წვრილმანი თაღლითი. ან თვითონ იყო მატყუარა, ან ცილი დასწამეს და ამისგან დაზარალდა.

მარსი, პლუტონი:

- + ლიდერი, ბელადი, კუმირი. ადამიანს შესაძოა ჰქონოდა სამხედრო ჩინები. მეწარმე, ბანკირი, ყასაბი, მჭედელი, ქირურგი, ქიმიკოსი, მეხანძრე, პოლიციელი.
- ქურდი, მოძალადე, მკვლელი, ძალადობრივი სიკვდილი წარსულში. უბედურების ფორმულა.

ლილიტი:

- + კარგი მატერიალური მდგომარეობა წარსულში, კავშირი ბიზნესთან.
- მატერიალური დანაკარგები, გვარის კარმა ან ადრეული გარდაცვალება წარსულში.

სატურნი:

- + წარსულში კარგი მდგომარეობა, ავტორიტეტი, რეპუტაცია, მაღალი საპასუხისმგებლო პოსტი, პატივისცემა. ჩინოვნიკი, მეცნიერი, ექიმი, მათემატიკოსი.



სტატიები

- ცხოვრება რთული იყო, დანაკარგებით აღსავსე, ბედის სიურპრიზები, საჭიროებები. შავი მუშა, მეშახტე, ქანების მბურღავი. შესაძლოა ადამიანმა ცხოვრება მარტოობაში დაასრულა, ყველასგან მივიწყებულმა. ამიტომ ამ ცხოვრებაში არ არის ნდობა სხვებისადმი. უბედურების ფორმულა.

ურანი:


- + უჩვეულო, არაორდინალური საქმიანობა, მეცნიერი, ასტრონომი, ასტროლოგი, ექიმი, ინჟინერი, რეფორმატორი, რეჟისორი.
- მიუთითებს რევოლუციონერებზე, განდევნილებზე, კეთროვნებზე. ადამიანი უარყოფს სოციალურ პირობითობებს, ან საზოგადოება სდევნის მას.

ნეპტუნი:

- + შესაძლოა იყო სიმდიდრე: ვაჭარი, ზღვაოსანი, სულიერი ადამიანი, კომპოზიტორი, მუსიკოსი, მეთევზე, მეზღვაური, მოგზაური, ექიმი ფარმაცევტი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი.
- თაღლითი, მატყუარა, ილუზიონისტი, მკითხავი, მოხეტიალე ბოშა, მათხოვარი. შესაძლოა ადამიანი დაზარალდა ეკლესიისგან ან დაიღუპა ზღვაში, გემის ჩაძირვის შედეგად.

პლუტონი:

- + საზოგადო მოღვაწე, ლიდერი, ბელადი, კუმირი. ადამიანს შესაძლოა ჰქონოდა სამხედრო ჩინები, ბანკირი, ქირურგი, მეხანძრე, პოლიციელი.
- ქურდი, მოძალადე, მკვლელი, ძალადობრივი სიკვდილი წარსულში.



კარმული კითხვები და პასუხები:

1. პროფესიის არჩევის საკითხები (ასევე კარმული). უნდა გვესმოდეს ჩვენი შესაძლებლობები, რით მოვიდა ადამიანი ამ ცხოვრებაში, რა გამოცდილება დააგროვა და საქმიანობის რა სფეროებში. არასოდეს არაა გვიანი რაიმეს დაწყება. სიკვდილამდე 2 საათით ადრეც კი. შესაძლოა ეს საფუძველი გახდეს მომავალი ცხოვრებისთვის. მთელი ინფორმაცია, რომელიც ჩვენს მეხსიერებაში დევს, აუცილებლობის შემთხვევაში ამოტივტივდება. შეიძლება ითქვას, რომ ეს თანდაყოლილი უნარებია. საჭიროა მოვუსმინოთ ადამიანს, მის მოთხოვნილებებს და განვსაზღვროთ მისი დონე (ყველასთან მის ენაზე უნდა ვისაუბროთ).
2. პირადი ცხოვრების პრობლემები — ქორწინება, ქორწინების არარსებობა, მრავალშვილიანობა, უშვილობა, ადრეული დაქვრივება. შვილების გაჩენა

მთელი ცხოვრება შეიძლება — ესაა არა მხოლოდ საკუთარი შვილები, არამედ აყვანილი ბავშვები, ნათლულები, წიგნები, იდეები. უნაყოფობა — მთვარე მ.ბ. და არ არის დაზიანებული. უბრალოდ ბავშვი ელოდება თავის მშობელს, თავის საათს. მშობიარობა კარგი არაა, თუკი აღმავალი მთვარის კვანძვ დაძაბულ ასპექტებშია იუპიტერთან — შესაძლოა იყოს პრობლემები შვილებთან დაკავშირებით. კარგია, როცა აღმავალი მთვარის კვანძი + იუპიტერი.

3. წინასწარგანწყობა ავადმყოფობებისადმი. ჩვევები წარსულიდან — კარგი ან ცუდი ოჯახისადმი, პირობებისადმი, კავშირებისადმი, ძალაუფლებისადმი. თუ ადამიანი წარსულში ზღვარს გადააბიჯა — შესაძლოა იყოს სასჯელი: გვინდა ძალაუფლება, მაგრამ არ გვაქვს შესაძლებლობა, გვიჭირს საკუთარი თავის გამოხატვა. ის ვინც გვქურდავს — ის კარმას თავის თავზე იღებს, ან წინა ცხოვრებაში რაღაც ბოლომდე არ მივეცით, და ახლა ქურდობის შედეგად ჩვენ გვართმევენ. სხვებს უნდა მივცეთ ისე, რომ არ დავძაბოთ ისინი. თუ აბრუნებენ ვალს, ე.ი. ყველაფერი ნორმალურადაა. უძრავი ქონება — მთვარე და 4 სახლია.


ასევე ესაა სულიერი პრობლემები. უნდა მივიყვანოთ საქმე 10 სახლამდე — უზრუნველყოთ შვილები, მოვახდინოთ უძრავი ქონების რეგისტრაცია. მემკვიდრეობის პრობლემები — ეს სულის, ვალების პრობლემებია. შესაძლოა არ იყოს შვილიშვილები. კარმა ფასდება ქმედებებით. ბავშვს რაღაც თავისი უნდა ჰქონდეს (ადგილი, კუთხე). თუ დედა მოზრდილ ბავშვს კვებავს — ე.ი. მას სჭირდება, რომ ბავშვი ახლოს იყოს. მშობლებმა უნდა გაუშვან ზრდასრული ბავშვები (ფრინველები აგდებენ კიდევ ბარტყებს ბუდიდან). მშობლებს სიბერეში რაიმე გასართობი უნდა მივცეთ. და არ უნდა ვიყოთ უბრალოდ ძიძები, წინააღმდეგ შემთხვევაში არც მშობლები და არც შვილები არ შეასრულებენ თავიანთ სწორ მისიას. სულის პრობლემები — ფსიქიური დაავადებებია. რომ აღარაფერი ვთქვათ თვითმკვლელობისადმი მიდრეკილებაზე. ეს ადამიანური «ეგოა». ადამიანი ასე გაურბის პრობლემებს იმის ნაცვლად, რომ მოაგვაროს ისინი. მას არ ესმის (სიამაყე) და ხშირად არ ცდილობს გაიგოს, რომ ამით მხოლოდ აზიანებს საკუთარ სულს.

4. საზოგადოებისგან იზოლაციის პრობლემა. არსებობენ დაბადებიდან დამნაშავენი. ადამიანს შეუძლია განუდგეს საზოგადოებას. განუდგეს წესებს, ჩვეულებებს, ყოველდღიურობას.

5. ცხოვრების ვითარებები — წარმატებები და ტრაგედიები. ერთ ინკარნაციაში მწვერვალების წვედომა შეუძლებელია. საჭიროა მინიმუმ 3 ინკარნაცია ვიმუშაოთ ერთი მიმართულებით, დავკავდეთ ერთი საქმიანობით. თუ ადამიანი მდიდარ ოჯახში დაიბადა და მთელი ცხოვრება მდიდარია, ე.ი. ის არ იყო ღარიბი წინა ცხოვრებაში. ის ადრეც სტრუქტურაში იყო — სიმდიდრე, მეცნიერები, ექიმები... მას ბავშვობიდან ახსოვს წარსული ჩვევები და ცდილობს თავისი გზით იაროს.



სულიერი მამები რეინკარნაციაზე¹



*«გახსოვდეთ მე თქვენთან ვარ!
მე კი არ ვკვდები, არამედ მივდივარ
და მალე მოვალ!» —
მამა გაბრიელი*

¹ მოამზადა: ემა ომანაძე.



ჩვენს სტატიაში გვინდა წარმოგიდგინოთ ამონარიდები არიან ჩაგუნავას და ლელა ყოლბაიას წიგნებიდან, სადაც არაჩვეულებრივად არის წარმოდგენილი მამა გიორგის (ბასილაძე) სულიერი ხედვა. ამ ადამიანზე ბევრი ლეგენდა დადის, მისი ფრაზები ხალხში ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა და კამათის საბაზიც კი ხდებოდა, მაგრამ ღიად ვერავინ ბედავდა მასზე ცუდი ეთქვა, მიუხედავად იმისა, რომ მის სულიერ მასწავლებელს მამა გაბრიელს, სასულიერო და საერო პირები არაერთხელ დაუპირისპირდნენ. ჯერ კიდევ კომუნისტების დროს, ეს დიდი ადამიანები დევნის მსხვერპლნი გახდნენ. ჩვენს დროშიც კი, ზოგიერთმა სასულიერო პირმა მამა გაბრიელი ხან ლოთად, ხან გიჟად შერაცხა. ის კი «ჩვეულებრივი» სალოსი იყო და როგორც მამა გიორგი ამბობს — «ძალიან ძველი სული».

თქვენი ყურადღება გვინდა შევაჩეროთ მამა გიორგის რამოდენიმე ფრაზაზე, სადაც ნათლად ჩანს მისი და არა მარტო მისი კავშირი ზე-სამყაროსთან, მისი ხედვა სულიერებაზე და სიწმინდეზე, მატერიასა და სულიერებაზე. იმაზე, თუ ვინ არიან წმინდანები და რას ნიშნავს «ძველი სულები».

«წმინდანი თუ ამბობს, რომ ის ცოდვილია, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ის იმ კონკრეტულ მომენტშია ცოდვაში, არამედ ის თავის წარსულს გულისხმობს».

საინტერესოა რომელი წარსული აქვს მხედველობაში მამა გიორგის? თუ გადავხედავთ წმინდანების ბიოგრაფიებს, მისი მოღვაწეობის პერიოდში არცერთ წმინდანს არ აქვს ჩადენილი ისეთი ცოდვა, რაც იმის ვარაუდის საბაზს მოგვცემს, რომ ისინი «ცოდვილებად» ჩავთვალოთ.

«ცოდვა მატერიაა, ის არ ქრება. ის უარყოფითი ენერგიაა და მისი განეიტრალება მხოლოდ ცოდვის გამოტირებით ან ტანჯვითა და ტკივილებით არის შესაძლებელი».

ეს კონკრეტული მომენტი, რომელზეც მამა გიორგი საუბრობს, კონკრეტული სიცოცხლეა და თუ ამის დასადასტურებლად უფრო მეტი ფაქტია საჭირო, მაგალითად მოვიყვანოთ მამა გიორგის პასუხს კითხვაზე: «როდის გახდა მამა გაბრიელი წმინდანი?» — მამა გაბრიელი კი **არ გახდა**, არამედ **დაიბადა** წმინდანად! «გაბრიელ ბერი სულიწმინდის ჭურჭელი იყო».

წმინდანები არ ხდებიან, წმინდანებად იბადებიან, ხოლო ის «წარსული» ცოდვები წინა რეინკარნაციებიდან მოდიან. აი, ამას გულისხმობდა მამა გიორგი, რადგანაც:

წმინდანები სულით სხვა განზომილებაში არიან. მათ ვნებები ძლეული აქვთ, ამდენად მათ მიწიერი ცოდვებით დაცემის საფრთხე არ ემუქრებათ!»

წმინდანები დედამიწაზე ცხოვრობენ სხვებისთვის».

წმინდანი, სულიერი განვითარების ახალ საფეხურზე გასაღწევად, აუცილებლად გადის ტანჯვას «გათიშულ» მდგომარეობაში, ანუ ჩვეულებრივი ხორციელი ადამიანის სახით».


წმინდანები, ღმერთამდე გაღწევით, წმინდათს სისტემის წევრები ხდებიან და იქ ყველას თავისი დავალება და ამოცანა აქვს, მოქმედებენ რა მსოფლიოს გადასარჩენად».



ამგვარად, ყველა წმინდანს აქვს თავისი მისია. ისინი ეხმარებიან ადამიანებს სულიერი განვითარების ახალ საფეხურზე ასასვლელად. ეს ის გზაა, რაც თვითონ უკვე გაიარეს და ახლა სულიერ სამყაროში ჩვენთვის გზამკვლევის როლს კისრულობენ. მამა გიორგის აზრით, წმინდანები იმიტომ მოდიან ჩვენს დასახმარებლად, რომ მათ «ცოდვის გზა» უკვე გავლილი აქვთ და აქედან გამომდინარე, ცოდვილი ადამიანების ყველაზე უკეთ ესმით.

წმინდანობა არის განსაკუთრებული სულიერი მდგომარეობა. სულიერი ძალმოსულება და მადლმოსილება, რომელსაც ადამიანი ღმერთამდე პირადი გაღწევით აღწევს, თუმცა წმინდათა ცხოვრებაში არის მაგალითები იმისა, რომ დედის მუცლიდანვე წმინდანებად მოვლინდებიან წუთისოფელს, როგორც წმინდა ნიკოლოზი. არის ასევე მაგალითები, რომ ღმერთს ადრეულ ასაკში შეუმოსავს მისი რჩეული წმინდანები: წმინდა პანტელეიმონი — 5 წლის, წმინდა გაბრიელი-6 წლის, წმინდა ნილოსი-7 წლის, წმინდა ტრიფონი-14 წლის და ა.შ. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ადამიანთა ადრეულ ასაკში წმინდანობა, არის ღვთისა და წმინდათა სისტემის საიდუმლო. წმინდანობა არის მიწიერ ბრძოლებში გამარჯვების ბეჭედი ღმრთისაგან».

წმინდანს თავის მდგომარეობაში არც სტკივა და არც შია. როგორ შეიძლება, მას სტკიოდეს, როცა შეუძლია, გაქრეს და გაჩნდეს. შეუძლია გაჩნდეს რამდენიმე კილომეტრის მოშორებით და არა მხოლოდ სულით, არამედ ხორციელადაც. აი, ასე ფლობენ წმინდანები დროს, სივრცეს და საკუთარ სხეულს. მაგრამ წმინდანები დედამიწაზე ჩამოდიან სატანჯველად-ადამიანთა გადასარჩენად».



ნეტარი ანდრია სალოსი თავის ქადაგებებში ამბობდა, რომ ილია წინასწარმეტყველი, იოანე მახარობელი და ენუქი წინასწარმეტყველი ცად არ ასულან და ისინი მისი სიცოცხლის პერიოდში ცხოვრობდნენ ადამიანებს შორის, რომლებსაც მხოლოდ წმინდანები სცნობდნენ. ამ აზრს არ იზიარებს მართმადიდებლობა და ამტკიცებს, რომ ეს მხოლოდ სალოსური ცხოვრების გამოხატულება იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით მამა გიორგის პასუხი ასეთია:

«ანდრია სალოსის სიტყვები ჭეშმარიტებაა! ცოტა ვინმეს სულიერი ხედვა თუ გაუტოლდება წმიდათაგან ნეტარი ანდრიას ხედვას!..ის ძალიან შორს იხედებოდა!..ყველაფერი ეს მალე გამჟღავნდება. მე კი გეტყვით-მოციქული და მახარობელი იოანე დღეს საქართველოში არის!.. ის ჩვენში დადის ხორციით!..ელიასაც ნახავთ საქართველოში!..».

კიდევ ერთი მსგავსი შემთხვევა, როდესაც რუსი წმინდა მამა, თეოდოსი კავკასიელი (კაშინი) ამბობდა, რომ 1000 წლის იყო. მისი ეს სიტყვებიც სალოსობას მიაწერეს, მამა გიორგი კი გვპასუხობს:

არა, ეგ სალოსობით ნათქვამი არ არის!..სალოსობა მოჩვენებითი სიგიჟეა, გინება, ლოთობა,შიშველი სიარული, წყევლა და ა.შ. იქ კი ნახეთ, წმ. თეოდოსი როგორ პასუხობს: «ღმერთია მოწმე, რომ არ ვტყუი და ჭეშმარიტებას გეუბნები, რომ მე 1000 წლისა ვარო». ჰოდა, რახან ასე ამბობდა ე.ი. იყო!..ის სიცოცხლეშივე დიდი წმინდანი იყო, წმინდანის მახსოვრობა და ცოდნა გააჩნდა».

...ასეთი ისტორიები უამრავია, რაც ჩვენამდე ან არ აღწევს, ან იმდენად შეცვლილი სახით მოდის, რომ რეალურისგან ძალიან შორსაა... ის გულდაწყვეტილი ამბობს, რომ: «მართლმადიდებლობის მთელი ისტორია, მართალი რწმენის, წმინდანების სწავლების დევნის ისტორიაა».

რატომ არ იზიარებს მართმადიდებლობა წმინდა მამების ხედვას, ან რატომ უჭირს მორწმუნეს ჩვენი სულიერი მამების სიტყვების დაჯერება? იქნებ იმიტომ, რომ:

წმინდანის სიტყვა ამხელს და ანგრევს მორწმუნის წარმოსახვით, არაჭეშმარიტ სამყაროს. ეს საშინლად მტკივნეულია მორწმუნისათვის, რადგანაც ის ამპარტავანია! მისთვის მიუღებელი ხდება ახალი რეალობა. ის მიჩვეული იყო გამოგონილ, წარმოსახულ და მისთვის სასურველ «სინამდვილეს» ღმერთზე. ამპარტავან სულს ჩაკეტილი აქვს ჭეშმარიტების შეცნობის კარები!..მას კი ჰგონია, რომ მორწმუნეა, მაგრამ ის ცოდვის ფესვებს არც კი შებრძოლებია ჭეშმარიტად და არ არის თავისუფალი ცოდვებისგან...როდესაც არ ებრძვი წუთისოფლის სულს, ეს სული შემოდის ადამიანში და ასეთ ადამიანს უკვე აწყობს ისეთი «ჭეშმარიტება», რომელიც მის სინამდვილედ იქცევა და რომელიც არანაირად არ ამხელს მას!... ის მარხულობს, ლოცულობს, სწამს «ღმერთი», მაგრამ ისეთი, რომელიც მას სურს და აწყობს! ღმერთი კი ასეთი არ არის!!! წმინდანის ცოდნა ღმერთზე ჭეშმარიტი და ზეციურია, ხოლო ასეთი მორწმუნისა კი ცრუ და ხორციელი, სწორედ ამიტომ ვერ «ჯდება» წმინდანი დღევანდელი მორწმუნის არსებაში და როცა მორწმუნე ვერ ღებულობს ჭეშმარიტ სიტყვას, ის ან გაურბის, ან კიდევ ეწინააღმდეგება მას!»



«წმინდანი სულიერი განვითარების მაღალ საფეხურზეა, ამიტომ მისი სიტყვის მიღება მორწმუნის მხრიდანაც მოითხოვს გარკვეულ სულიერ დონეს. შეუძლებელია, ნულ კლასში ბავშვმა გაიგოს უმაღლესი მათემატიკის საკითხები...და რადგანაც მორწმუნე ისევ ნულ კლასშია, მას არ შეუძლია წმინდანის სულიერი სწავლების, დიდი ცოდნის მიღება, ამიტომ არის ბევრი რამ დაფარული, ასე ვთქვათ, ჩაკეტილი თვით წმინდანების მიერვე, რადგან დიდი ცოდნა, უბრალოდ რომ ვთქვათ, ძალზე სახიფათოა სულიერად მოუმზადებელი ადამიანებისათვის...»

რთული გასაგები არ არის თუ რატომ არის ეს ცოდნა დაფარული წმინდანების მიერ, მაგრამ სხვა საკითხია რატომ დაგვარგეთ ასეთი ცოდნა და ვის ინტერესებშია ადამიანის «ნულ კლასში» ჩატოვება. ფიზიკურ სხეულში ნებისმიერი ადამიანის სიცოცხლის მიზანი, სულიერი განვითარება და სულიერების მაღალ საფეხურზე ასვლაა. ასე რომ არ იყოს, წმინდანები არ ჩამოვიდოდნენ დედამიწაზე და არ აიტანდნენ ამდენ ტანჯვას, იმისთვის რომ ადამიანებს დახმარებოდნენ საკუთარი მისიის შესრულებაში. ზოგადად კი, ეს მისია სასულიერო პირებს ევალებათ. ნამდვილმა სულიერმა მამამ ეს განათლება ეტაპობრივად უნდა მიგვადებინოს და გზა გაგვიკვალოს. ხოლო თუ ვინ შეიძლება იყოს ნამდვილი სულიერი მოძღვარი, მამა გიორგი ამაზე გვეუბნება: «ნამდვილი დიაკონი: არჩევს სულს, ხედავს ჰაერში ბოროტ სულს, კითხულობს ადამიანის აზრებს და ტელეპატურ დონეზე შეუძლია ისაუბროს მღვდელთან. ნამდვილი მღვდელი: ხედავს ადამიანის სულსა და გულს, იცის მისი ცოდვები, წარსული. ფლობს დროსა და სივრცეს, შეუძლია სხეულიდან გამოსვლა, შორ მანძილზე ესმის ლაპარაკი, იცის ადამიანთა აზრები და ზრახვებიც, აქვს უწყება მიცვალებულის სულის ადგილსამყოფელზე. სულიერ არსებებზე და ასევე მატერიაზეც ზემოქმედების დიდი ძალა. ნამდვილი მღვდელი ნამყოფია სასუფეველში და ზუსტად იცის, როგორ მიიყვანოს იქ მრევლი».

ამიტომაც უპირისპირდებოდა მას ზოგიერთი სასულიერო პირი და არ იზიარებდა მის სწავლებებს. უფრო მეტიც, ირონიულად ამბობდნენ « ხიბლში» არისო...

სტატიას მისივე სიტყვებით დავასრულებთ და დასკვნა თქვენთვის მოგვინდვია:

...მე არც ფული მინდა, არც დიდება და არც თანამდებობა. მე ყველაფერი მაქვს-იქ ზევით!.. ადამიანები მეცოდება, თორემ ხმის ამომღებიც არა ვარ საერთოდ, ჩემი საკეთებელი გაკეთებული მაქვს!.. ზევითაც ვარ ნამყოფი!.. ეს ისეთივე სინამდვილეა, როგორც ახლა აქ, თქვენ გიყურებთ თვალებში და არც არავისი დასტური ამაში არ მჭირდება, მით უმეტეს იმათი, *ვინც იქ არასოდეს მინახავს!*..

«...ამიტომ ვიძახი ბაბუა, ცოცხალი წმინდანები ეძიეთ-მეთქი!»



ტვინის ტალღების სიხშირეების თეორია¹



არსებობს ტვინის ხუთი ძირითადი ტალღა: ბეტა, ალფა, ტეტა, დელტა და გამა. ისინი მუდმივ მოძრაობაში არიან. ყველაფერი, რასაც ვაკეთებთ, არეგულირებს ტვინის ტალღების სიხშირეს. მაგალითად, როცა ვინმეს ვესაუბრებით, გონება იმყოფება ბეტა მდგომარეობაში. ბეტა ტალღების სიხშირე წამში 14-28 ციკლს უტოლდება. ანუ, როდესაც ვმოქმედებთ, ვართ აქტიურნი — ეს ბეტა მდგომარეობაა.

ალფა მდგომარეობაში ტვინის ტალღების მოძრაობის ციკლი 7-14 წამის დიაპაზონში მერყეობს. ალფა სიხშირე დგება ღრმა მედიტაციისას. ალფა ეს არის ხიდი ბეტასა და ტეტას შორის. ალფა ტალღები იღვიძებს ოცნებისას. ის გამოხატავს გონების მშვიდ მდგომარეობას. შესაძლებელია გაქრეს ტკივილიც, ამიტომ ალფა სიხშირე დიდ მნიშვნელობას იძენს მკურნალობის დროს.

ტეტა ღრმა მოდუნების მდგომარეობაა, რაც ჰიპნოზის და ძილის დროს დგება. ტვინის ტალღები ნელდება და წამში 4-7 ციკლს აღწევს. როდესაც ადამიანი მედიტირებს, ტეტა სიფხიზლის დაუკარგავად დგება. ამით განსხვავდება ის ალფა მდგომარეობისგან. ტეტა ტალღებით შესაძლებელია ქვეცნობიერში შეღწევა. ის განსაზღვრავს ჩვენი ცნობიერების იმ ნაწილს, რაც ცნობიერსა და ქვეცნობიერს შორის იმყოფება. იქ ინახება ჩვენი შეგრძნებები და მოგონებები.

ამ სიხშირეზე ტვინის მუშაობის დროს შესაძლებელია შევცვალოთ ჩვენი შეხედულებები და ჩავტვირთოთ გარკვეული შეგრძნებები. ის აჩენს მხატვრულ შთაგონებასაც. ტეტა შეიძლება შევადართო ტრანსის ისეთ მდგომარეობას, რა დროსაც ადამიანს შეუძლია ნაკვერჩხალზე ფეხშიშველი გაიაროს და არ დაიწვას.

¹ მოამზადა ლაშა თოფურიაძე.



ტეტას ადამიანის ცნობიერება მაღალ დონეზე აჰყავს. ეს არის იდუმალი, განსაკუთრებული მდგომარეობა. მეცნიერებს დიდი ხნის განმავლობაში არ შეეძლოთ ის გამოეკვლიათ, რადგან ჩვეულებრივ, ადამიანი მას დიდი ხნით ვერ შეინარჩუნებს ისე, რომ ძილში არ გადავიდეს.

დელტა ტალღები აქტიურდება ღრმა ძილში. მისი ტალღების სიხშირე წამში 0-4 ციკლს შეადგენს. ამ დროს იღვიძებს ინტუიცია. მაგალითად, ტელეფონი რეკს და თქვენ უკვე იცით თუ ვინ შეიძლება იყოს. ანუ, ეს არის სიხშირე, რა დროსაც ვლინდება ექსტრასენსორული შესაძლებლობები.

გამა ტალღები გამომუშავდება, როდესაც სწავლის და ინფორმაციის გადამუშავების პროცესში ვიმყოფებით. ამ მდგომარეობაში ტვინის ვიბრაცია წამში 40-დან 5000-მდე ადის.




სალონი «კასანდრა»

ქალაქის წენტრში, პატარა მყუდრო ეზოში გაიხსნა მაგიური სალონი «კასანდრა». სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები დაგეხმარებიან გადაჯრან თქვენი პრობლემები პირად ცხოვრებაში, აგრეთვე პროფესიულ და ბეზნეს სფეროებში.

ტარო, ასტროლოგია, პარაფსიქოლოგია, ბიოენერგეტიკა, აურის წმენდა, ბედის კორექტირება, ჯანმრთელობის, ცხოვრებისეული სიტუაციებისა და პრობლემების.

დიაგნოსტიკა. შავი და თეთრი მაგიის რიტუალების ჩატარება და შესწავლა, დიდი არჩევანი მომსახურეობების სახეობებში და სპეციალისტებში.



შაბათ დღეს მსურველებისთვის ტარდება შეკრება, სადაც იქნება განხილული სასურველი თემები მაგიაზე და აგრეთვე ჩატარდება ერთობლივი რიტუალები და სხვა ღონისძიებები (მოლაპარაკებით).

სალონის მისამართი — ქ. თბილისი რუსთაველის ქუჩა 36.

წინასწარ ჩაწერა ტელეფონით +995592987846 ალექსანდრე

კონსულტაცია ყველა სახის კითხვებზე — ტელეფონით, ინტერნეტით — მუშაობა (რუსულ ენაზე) +995597783366 ანნა.



სიბრძნის გზაზე, შესაძლოა, არაა საფრთხე სასიკვდილოზე მეტი, არაა შხამი მომწამვლელზე მეტი, და ცდუნება მცირე, ვიდრე სულიერი სიამაყე, მზესავით ნათელი, ის მოქმედებს პირდაპირ გულში, ამის გარდა, ის იძრდება და აძლიერებს ეგოს, ამიტომ მის მსხვერპლს შავ გუბებში ჩავარდნისა და სამუდამოდ იქ დარჩენის საფრთხე ემუქრება.

ეს საფრთხე შეუძლია მოსპოს ორმა ანტიდოტმა:

საღმა აზრმა და იუმორის გრძნობამ.

როცა გამოფიტული წევხარ ვიშვარუპადარშანის შემდეგ, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის ფიქრი, რომ «ახლა ყველაზე წმინდა ადამიანი ვარ მსოფლიოში, რა თქმა უნდა, ჯონ მ. ყოტკინსის შემდეგ», ჯობია გაიხსენო სიტყვები საკმაოდ სკეპტიკური მსაჯულისა «წმინდა ტუპიკში», ა. პ გერბერტის, მან მათგან მანტრა შექმნა:

«გეუბნებით თქვენ—

გეუბნებით თქვენ—

გეუბნებით თქვენ—

გაიგრილეთ თავი».

ალისტერ ვროული,

»მაგია ცრემლების გარეშე«, თავი 44